

სვ.



# საქართველოს ბიბლიოთეკა

პროფესიული ჟურნალი ბიბლიოთეკარებისთვის

1239

2015







# საქართველოს ბიბლიოთეკა

პროფესიული ჟურნალი ბიბლიოთეკარებისთვის

დავით გურამიშვილი - 130

იაკობ გოგებაშვილი - ქართული ენის სწავლების შესახებ

თბილისი 2015



ქურნალი ჩამოყალიბდა როგორც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალური ორგანო; ქურნალი გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ დაურიგდებათ საჯარო ბიბლიოთეკებს; ქურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება როგორც ხელნაწერი, ისე - ელექტრონული ფორმით. აკრეფილი ტექსტი უნდა იყოს Sylfaen შრიფტით და გადმოიგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: sakartvelosbiblioteka@gmail.com

ალექსანდრე ლორია - მთავარი რედაქტორი;

სარედაქციო კოლეგია:

გურამ თაყნიაშვილი - რედაქტორის მოადგილე;

გულნარა სტურუა - კორესპონდენტებთან მუშაობის რედაქტორ-კოორდინატორი;

მირიან ხოსიტაშვილი - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე;

რუსუდან ასათიანი - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი;

მაია მიქაბერიძე - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის განყოფილების უფროსი.

ირინა ალიაშვილი - ტექნიკური მენეჯერი;

ხვინა ყალაბეგაშვილი - დამკაბადონებელი;

ნინო ინჯია - ყდის დიზაინი.

საქართველოს ბიბლიოთეკა N2 (59) - 2015; გამოიცემა 2000 წლიდან.

საავტორო უფლება: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია.



შინაარსი

რუსუდან ასათიანი - რეალობა და პერსპექტივა ----- 5

ბიბლიოთეკა სოციალური ფსიქოლოგიის ხედვის არეში ----- 6

ბიბლიოთეკათმცოდნეობით ძიებანი

ლაშა გველესიანი - როგორ დავგეგმოთ საბიბლიოთეკო კვლევა ----- 9

გმზია ხოსიტა შვილი - სოციოლოგიური კვლევები ბიბლიოთეკების მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნების სამსახურში ----- 12

ფილოლოგიური ძიებანი

ფერიდე კვაჭანტირაძე - დავით გურამიშვილი და "დავითიანის" პირველი ბეჭდური გამოცემები --- 15

ნანა ფირცხალავა - ფარული ლექსის გამომზეურება ----- 18

გურამ თაყნიაშვილი - ა.წერეთლის პოემა "ვორონცოვი" და მეფის ცენზურა----- 19.

წიგნი და წიგნიერება

გულნარა სტურუა - წიგნი სულ სხვა საუნჯეა -----22

წიგნის ისტორია

ნინო ხვედელიძე - განსაკუთრებული ინკუნაბულა ----- 25

მეთოდური სამსახური

გურამ თაყნიაშვილი - მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი (კონსულტაცია)----- 28

თანამედროვე ტექნოლოგიები

მაია შონია - ეროვნული ბიბლიოთეკის „კარი ციფრულ სამყაროში“ ----- 31

ირინა ალიაშვილი - ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას ----- 32

სახელოვანი წინაპრები

რუსუდან წაქაძე \_ იაკობ გოგებაშვილი ქართული ენის სწავლების შესახებ ----- 35

თეა იოსავა - მარიჯანი \_ საბავშვო მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ----- 37

საბიბლიოთეკო კვირეული 2015

ინოვაციური ბიბლიოთეკა თანამედროვე საზოგადოებისთვის ----- 40

კორესპონდენციები

ნინო აფციაური - „ჩემის კაცობის გვირგვინო, ჩემო სამშობლო მხარეო“ ----- 45

ნაირა სარჯველაძე - ბიბლიოთეკის მუშაობა ბენეფიციარებთან ----- 46

მანონ ხორავა - ბიბლიოთეკის 106-ე წლისთავის აღნიშვნაზე ----- 47

ლამარა კვიციანი - სტუმრად პოლონელ კოლეგებთან ----- 49

დალი მარტაშვილი - "პიონერფილმი" სტუმრად მთავარ ბიბლიოთეკაში ----- 49

მაია სიმონიშვილი - ქართული წიგნის კუთხე ნიუ-იორკში ----- 51





თამარ კაპანაძე - ხიდი ძველსა და ახალ თაობას შორის ----- 53  
 ბეჟან ხორავა, გიორგი სარაჯიშვილი - ღვაწლმოსილი იუბილარის უსაზღვრო ღვაწლი  
 (აკაკი ბრეგვაძე - 80)----- 55

ინფორმაცია

ორი წიგნი ერთი მოღვაწის შესახებ ----- 57  
 კრებული კინოსა და მუსიკის შესახებ ----- 58  
 შემკვიდრებით დატოვებული შემოქმედება ----- 58

რევიუ

დავით გიგინეიშვილი - ვებერის მუსიკა ბერლინში ----- 60

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები----- 62

ნეკროლოგი

ღვაწლმოსილი ადამიანის გამოთხოვება (გ. კიპაროიძე) ----- 63  
 მარიამ ჯაფარიძე ----- 63

## ჟურნალის მკითხველებს!

მიმდინარე წლის დასაწყისიდან დაიწყო ჟურნალ "საქართველოს ბიბლიოთეკის" რეფორმა, რაც, ძირითადად, შეეხო კადრების შევსებას, ჟურნალის ტექნიკურად მომზადებას, დაბეჭდვას, გაერცელებას, დიზაინს, ხელმძღვანელობასა და მართვის სისტემას. ამასთან დაკავშირებით, დამფუძნებლებს მრავალი გაუთვალისწინებელი სირთულის გადალახვა მოუხდათ. ამან შეაფერხა უკვე მომზადებული ნომრის გამოცემა. ამიტომაც ამ ნომერში წარმოდგენილი ზოგიერთი მასალა, ერთგვარად, დაგვიანებულია, მაგრამ გადავწყვიტეთ, მაინც მიგვეწოდებინა ის მკითხველისათვის, რათა გაგვეშუქებინა ყოველივე ისე, რაც იმ დროისათვის იყო გათვალისწინებული. ამის გამო ბოდიშს ვიხდით და ვიმედოვნებთ, შევძლებთ შემაფერხებელი გარემოებისგან თავის დაღწევას და ჟურნალი იმ რეჟიმით გამოიცემა, როგორცდაც მანამდე გამოდიოდა.

მთავარი რედაქტორი: ალექსანდრე ლორია





საქართველოში სოფლის მოსახლეობას არ აქვს იმის ფუფუნება, რომ თანამედროვე მედიათეკებით, ინტერნეტ-კაფეებით, წიგნის მაღაზიებით, კინოთეატრებითა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებით ისარგებლოს. როგორ წესი, ხშირად ამ ჩამოთვლილი დაწესებულებების ფუნქციებს მხოლოდ ერთი ორგანიზაცია - ბიბლიოთეკა ასრულებს.

როგორც წესი, სოფლის ბიბლიოთეკები ახალი გამოცემებით განებივრებულები არ არიან, კომპიუტერებითა და ინტერნეტით მომსახურებაზე სომ ლაპარაკიც ხედმეტია. ძველი, ამორტიზებული შენობები და წიგნადი ფონდის სიმცირე ანელებს იქ მომუშავე პერსონალის ენთუზიაზმს, არც მკითხველს უჩენს მოტივაციას, ბიბლიოთეკით ისარგებლოს. შესაბამისად, საზოგადოებრივი თავშეყრის, კულტურის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის, დისკუსიისა და საჯარო სივრცის ფუნქციას ბიბლიოთეკა ვერ ასრულებს.

გფიქრობ, მოძველებულია იმის მტკიცება, წიგნი ჯობია, თუ - კომპიუტერი, ინტერნეტი თუ - ნაბეჭდი გამოცემა. დღეს თანამედროვე მსოფლიო შეთანხმდა იმაზე, რომ ყოველი მედიუმი, იქნება ეს წიგნი, გაზეთი, ჟურნალი, ტელევიზია თუ - ინტერნეტი, ადამიანის ინფორმირებას და განათლების მიცემას, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას ემსახურება; შესაბამისად, ნებისმიერი ბიბლიოთეკა, პირველ რიგში, სწორედ ამ მედიუმების ერთობლიობა უნდა იყოს და მკითხველს სასურველი ინფორმაცია

ამომწურავად, ყველა საშუალების გამოყენებით მიაწოდოს.

ძალიან მიხარია, რომ 2014-2015 წლები რეგიონების ბიბლიოთეკებისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა. პრეზიდენტის ფონდის მხარდაჭერით წიგნადი ფონდები განვახლებთ საქართველოს ყველა რეგიონში, ამ მიზნით, 500-ლარიანი წიგნის ვაუჩერები დაურიგდა ყველა სოფლის ბიბლიოთეკას; შემდეგი ეტაპი განსაკუთრებით მძიმე ვითარებაში მყოფი ბიბლიოთეკების შენობების და ტექნიკური აღჭურვილობის მოწესრიგება იყო, რომელიც ასევე პრეზიდენტის ფონდის მხარდაჭერით გაკეთდა.

ამჟამად სოფლების ბიბლიოთეკებს კომპიუტერებითა და ინტერნეტ-მოდემებით ვამარაგებთ. “ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას” კახეთის რეგიონში დაიწყო და წლის ბოლომდე ყველა რეგიონს მივვდებ. ძალიან მიხარია, რომ ამ საქმეში არა მხოლოდ ბიბლიოთეკების თანამშრომლები, არამედ რაიონის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მოსახლეობა აქტიურად იყვნენ ჩართულნი. ზოგან შენობა გაარემონტეს, ზოგან - ახალი ფანჯრები და გისოსები ჩააყენეს... მოკლედ, რომელ ბიბლიოთეკასაც რა ჭირდებოდა და რისი შესაძლებლობაც ჰქონდა ადგილობრივ ხელისუფლებას, ყველაფერი გაკეთდა.

თითქოს შვებულების დროა, მაგრამ ჯერ კიდევ აქტიურად დავდივართ კახეთში და ჩაგვაქვს ტექნიკა. ბიბლიოთეკის პერსონალს კი, ამავე პროექტის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ტრენინგებს ვუტარებთ. მათი მოტივაცია რომ იმატებს, იმით ვხვდებით, რომ უკვე გვგმავენ, რას გააკეთებენ ამ სასწავლო წლისთვის - რა აქტივობებს და ღონისძიებებს ჩაატარებენ, ვის ჩამოიყვანენ, ვის დააპატიუებენ...

“საქართველოს ბიბლიოთეკის” ზაფხულის ნომერი ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და პრეზიდენტის ფონდის ახალ პროექტებზე უფრო დეტალურად მოგითხრობთ. გარდა ამისა, წაიკითხავთ სხვადასხვა საჯარო ბიბლიოთეკების აქტივობებისა და ღონისძიებების შესახებ; იშვიათი და საინტერესო გამოცემების შესახებ, რომლებიც ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული და კიდევ უამრავ სხვა საინტერესო მასალას ბიბლიოთეკებისა და წიგნის შესახებ.

**რუსუდან ასათიანი- საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი.**





ბიბლიოთეკა და მთელი საბიბლიოთეკო საქმიანობა სოციალური გარემოს უმნიშვნელოვანესი ელემენტია. სოციალური გარემო უმთავრესი ფაქტორია, რომელიც სოციალური ფსიქოლოგიის საფუძველს ქმნის, მასზე დიდადაა დამოკიდებული საზოგადოების შეგნებულობის, მოთხოვნების, ეთიკურ - ესთეტიკური თვითშეგნებისა და თავისებურებების ჩამოყალიბება, იგი ასევე აქტიურად ზემოქმედებს პიროვნების ფსიქოლოგიაზე, მის ხარისხსა და ხასიათზე, ადამიანის მოთხოვნებებსა და ინტერესებზე, მის შეხედულებებსა და მისწრაფებაზე, მრწამსსა და რწმენაზე. სოციალური ფსიქოლოგიის მეშვეობით იქმნება წარმოდგენები, შეხედულებები, მოსაზრებები, დამოკიდებულებები საგნებისა და მოვლენების მიმართ. აქედან გამომდინარე, უმეტესწილად, ხდება პიროვნების საზოგადოებრივი ორიენტაციის ჩამოყალიბება.

სოციალური ფსიქოლოგიის ერთგვაროვნული სურათის (სახის) შექმნა მთელი სივრცისა შეუძლებელია. ის იმ გარემოს შეფერვა, შეესატყვისება, რომელშიც კონკრეტული ადამიანები იმყოფებიან, ცხოვრობენ და მოღვაწეობენ.

არ უნდა გვეგონოს, რომ სოციალური ფსიქოლოგია ყველა პიროვნების ინდივიდუალურ ფსიქოლოგიაზე ერთგვაროვნად ზემოქმედებს და ერთსა და იმავე გავლენას ახდენს. ეს განპირობებულია ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, თუმცა არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ სოციალური ფსიქოლოგია თითქოს არ წარმოიქმნებოდეს სოციალური გარემო პირობებისაგან, რომელიც შეიძლება საერთოა ყველასათვის, მაგრამ არა ერთი და იმავე გავლენის მქონე - ყველასათვის თანაბარი.

სოციალური ფსიქოლოგია ეს ის დარგია, რომელიც იკვლევს იმ კანონზომიერებებს, რომლებიც ვლინდება ადამიანთა ურთიერთობის პირობებში. სწორედ ამ პირობებში ყალიბდება "თანაარსებობისა" და "თანააქტივობის" პრინციპები, რაც ხელს უწყობს ერთიანი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას. ამაში თავის როლს თამაშობს სხვადასხვა მოვლენები: ურთიერთმიბაძვა, ურთიერთკავშირები, კომუნიკაციურობა, ადამიანთა შეხედულებებისა და ორიენტაციის ფორმირების პროცესები - ე. წ. კონფორმაცია. ერთი მხრივ, ეს აადვილებს ადამიანთა შეთანხმებულ სოციალურ საქმიანობას, მაგრამ, მეორე მხრივ, ახშობს პიროვნების დამოუკიდებლობას, ინიციატივას, ანელებს სოციალურ აქტივობას. ცივილიზებული საზოგადოება ენერგიულად მოქმედებს, რომ, რამდენადაც შეიძლება, თავი-

დან აიცილოს კონფორმულობის არასასურველი ეფექტები.

ადამიანთა შორის ურთიერთობანი, რომლებიც არსებობს სოციალურ გარემოში, დიდ გავლენას ახდენს განწყობილებების ფორმირებაზე, მოქმედების, იდეოლოგიური და სოციალური ტენდენციების ჩამოყალიბებაზე. საზოგადოება განუხრელად უნდა ცდილობდეს, სოციალურად მიღებული და გავრცელებული საშუალებებით, იბრძოდეს ამ სფეროში მავნე და მიუღებელი მოვლენების გამოვლენის წინააღმდეგ, რომელსაც, როგორც წესი, ყოველთვის აქვს ადგილი ადამიანთა ერთობლივ ცხოვრებაში.

სოციალური ფსიქოლოგიის ერთგვარი ზეგავლენის შედეგია, მაგალითად, ისეთი ზეგავლენა ადამიანთა ცნობიერებაზე, როგორც სტერეოტიპული - შაბლონური მიდგომა. ბევრ შემთხვევაში ეს მოვლენა არ თამაშობს რაიმე განსაკუთრებულ როლს, მაგრამ ძალიან დიდწილად უარყოფითი სახით გამოვლინდება ხოლმე. ამ ფაქტს საზოგადოების ყველა სფეროში აქვს ადგილი და, რა თქმა უნდა, საბიბლიოთეკო საქმეშიც.

იმან, რომ ჩვენს ხალხში საკმაოდ დამკვიდრებული და ურყევი წარმოდგენა იყო გავრცელებული ბიბლიოთეკაზე, როგორც ჩვეულებრივ რიგით დაწესებულებაზე, სადაც თავს უყრიან წიგნებს და მსურველებს ემსახურებიან, ხელი შეუშალა ამ დარგში რეფორმაციას. მასის დიდ ნაწილში ბიბლიოთეკის საქმიანობა აღიქმებოდა მხოლოდ როგორც მომსახურების სფერო და არ იყო ცნობილი ის შესაძლებლობები, რომლებიც ამ დაწესებულებებს ეხელეწიფებოდა; არც ის იცოდნენ, რამდენად რთული, პროფესიული საქმიანობა ხორციელდებოდა აქ, მიაჩნდათ, რომ ბიბლიოთეკარის ფუნქციები იმდენად მარტივი და უმნიშვნელოა, მისი შესრულება ყველას თავისუფლად შეუძლია, ვინც წერა - კითხვა იცის და მეტ - ნაკლებად ნაკითხია. ამან ცუდი გავლენა იქონია საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაზე, ხელი შეუშალა მის გარდაქმნას, პრესტიჟის ამაღლებას, მისდამი ყურადღების მიპყრობას, მოწინავე ახალგაზრდა კადრების მოზიდვას, მეცნიერ - მკვლევართა დაინტერესებას და ა. შ.

ბიბლიოთეკის შესახებ არამარტო წარმოდგენები და უფლება - მოვალეობათა არასამართლიანად განსაზღვრა, ისტორიული ასპექტით, ძველი დროიდან მოდის. ჩვენში განსაკუთრებით გამყარდა გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან, როცა ახალდამყარებულ სოციალისტურ სახელმწიფოში მასების თითქმის გადამჭრელი უმრავლესობა წერა -



კითხვის უცოდინარი იყო, სრული უწიგნურობა სუფევდა. მთავარი იყო, გამოჩენილიყო ადგილზე ვინმე განათლებული, თუნდაც წერა - კითხვის მცოდნე, და მას უყოყმანოდ სთავაზობდნენ ბიბლიოთეკარის ადგილს, ან რომელიმე მასწავლებელს შეუთავსებდნენ ამ საქმეს. იყო შემთხვევები, როდესაც პატარა ქალაქებსა და სოფლებში სპეციალურად აგზავნიდნენ ადამიანებს ბიბლიოთეკარად, რომლებიც იდეოლოგიური პროპაგანდისტების როლსაც ასრულებდნენ. იდეოლოგიური მუშაობა თითქმის ყველა ბიბლიოთეკის ძირითად საქმიანობად ითვლებოდა. ამგვარად, დამკვიდრდა წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ ბიბლიოთეკისათვის მთავარია წიგნიერი ცოდნა და სწორი იდეოლოგიური საფუძვლები. გამომდინარე აქედან, ბიბლიოთეკარის პროფესია სავსებით გამარტივებულად იყო წარმოდგენილი, რასაც (ბევრი ადამიანის გაგებით), არავითარი რაიმე სპეციალური განათლების მიღება არ ესაჭიროება.

ძალიან დიდხანს გრძელდებოდა ეს - თითქმის 50 წლის განმავლობაში, ვიდრე საბიბლიოთეკო საქმეში არ გაჩნდა მრავალი შემაფერხებელი პირობა. აღარ კმაროდა მხოლოდ მეთოდური სემინარები და კვალიფიკაციის ამალღების კურსები, მაშინ, როცა სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში უკვე მაგისტრებიც კი მზადდებოდნენ, იცვებოდა სადოქტორო დისერტაციები, იქმნებოდა ძლიერი ასოციაციები, იზრდებოდა მოთხოვნები კვალიფიციურ სპეციალისტებზე. ამის წყალობით, ამ ქვეყნების საბიბლიოთეკო საქმიანობა ნაბიჯ - ნაბიჯ რეფორმირდებოდა, ფეხს უწყობდა თანამედროვეობას; მეცნიერული აზროვნების განვითარება კატეგორიულად მოითხოვდა საბიბლიოთეკო საინფორმაციო მხარდაჭერის გაძლიერებას. სხვათა შორის, ელექტრო გამომთვლელი მანქანები, რომლებმაც სათავე დაუდეს კომპიუტერიზაციას, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო უწყებაში გამოიყენებოდა; თითქმის პარალელურად ყველაზე ადრე ის საბიბლიოთეკო - საინფორმაციო საქმეში შეიჭრა. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა ყურადღებას ბიბლიოთეკებისა და მისი პერსონალის სპეციალიზაცია - კვალიფიკაციის მიმართ.

ბოლოს და ბოლოს, ბიბლიოთეკებმა სავსებით განსხვავებული სახე მიიღეს, განსხვავებული ფუნქციები შეიძინეს, გაუფართოვდათ უფლება - მოვალეობანი, გაიზარდა მათი დიაპაზონი, სავსებით ახალ ნიადაგზე დაფუძნდა მოთხოვნები მათ მიმართ, ამალღდა კადრის კვალიფიკაციის საქმიანობის დონე. თანამედროვე ბიბლიოთეკა სავსებით დაშორდა ტრადიციულ ბიბლიოთეკას და სრულიად ახალი სახე მიიღო. ამიტომაც,

შეიძლება არამართებულად, მაგრამ მაინც ზოგან მას საინფორმაციო ცენტრს ან მედიაციონტრსაც კი უწოდებენ, მაგრამ საქმე არა ამაში, არამედ არსებით მხარეშია, თუმცა ტერმინოლოგიურ მხარესაც ესაჭიროება შესწავლა და დახვეწა.

სამწუხაროდ, ჩვენში ამას თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა და, ჩვენ და სამარცხვინოდ, ბევრ შემთხვევაში ბიბლიოთეკები ისე წარმოიდგინება მავანთა და მავანთა მიერ, როგორც გასული საუკუნის 20-იან წლებში იყო გაგებული.

როცა საბიბლიოთეკო საქმეში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები წარმოდგენელ რეფორმებს ახორციელებდნენ, ამ დროს საბჭოთა კავშირში და, ცხადია, ჩვენშიც, კვლავ ჩაბლაუჭებული იყვნენ ბიბლიოთეკებში იდეოლოგიური პრიორიტეტის პრინციპებს და ნაკლებად ექცეოდა ყურადღება ახალი, ინოვაციური, რეფორმატორული იდეების განხორციელებას, ახალ მოსაზრებებსა და ტენდენციებს. ცხადია, უცხოეთის ზეგავლენით, ძალაუვნებურად, ერთგვარი შეჯიბრის სულისკვეთების გავლენით, რაღაც პოზიტიური ნაბიჯებიც იდგმებოდა, მაგრამ ყოველივე ეს იმდენად მოკრძალებულად ხორციელდებოდა, არსებით გავლენას ვერ ახდენდა საქმეზე.

სამწუხაროდ, თანამედროვე პირობებში, მრავალ სიახლეთა დანერგვის ხანაშიც კი, მოხდა ისე, რომ ჩვენში თავი ვერ დააღწიეს გამყარებულ, სტერეოტიპულ მოსაზრებებს საბიბლიოთეკო საქმის შესახებ. ელექტრონული წიგნიერების ზედაპირულად, არასწორად და დილექტანტურად გაგებას თან ახლდა უწყვედ დანერგილი გაგება ბიბლიოთეკის შესახებ, რომ ის თითქოს წიგნის გროვას წარმოადგენს, რაც უმეტესად ვაი - პოლიტიკოსებისა და ჩინოვნიკების მხრიდან არაშესაბამის, უაზრო და არაგონიერულ გადაწყვეტილებების გამოტანას იწვევდა. მათი აზრით, ელექტრონული წიგნის შემოჭრის გამო ბიბლიოთეკების არსებობა ყოველგვარ აზრს არის მოკლებული; წიგნის არსებობაც კი ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული.

ამან ერთ პერიოდში, თითქმის ერთბაშად უამრავი ბიბლიოთეკის გაუქმება და შეერთება გამოიწვია. ჩვენი სოფლების უზარმაზარი მასივები უბიბლიოთეკოდ დარჩა. განადგურდა წიგნადი ფონდები. მოსახლეობას ხელიდან გამოაცალეს სოფლად დარჩენილი ერთადერთი კულტურული დაწესებულება. საქმე იქამდე მივიდა, რომ სავსებით უგულვებელყოფილ იქნა "საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ", კულტურის სამინისტროს მთლიანად აღებინეს ხელი ხსენებული კანონით განსაზღვრულ უფლება - მოვალეობებსა და ფუნქციებზე.



ყოველივე ამან, ფაქტობრივად, საქართველოში საბიბლიოთეკო საქმეში, მთლიანი ვაკუუმი გამოიწვია. შეიძლება ითქვას, რომ ამას ერთგვარად ასახვადობდა ის სოციალური ფსიქოლოგია, რომელიც იმჟამად დომინირებდა, რომელიც დაფუძნებული აღმოჩნდა არასწორ, სტერეოტიპულ, შაბლონურ წარმოდგენებზე, რაც განპირობებული იყო არსებული სოციალური ვითარებით. იმის ნაცვლად, საზოგადოების განვითარების ტენდენციები გამოეწვია ჩვენს პირობებში მყოფ ადამიანებში, იმ შეგნების დანერგვა, რომ საჭირო იყო ბიბლიოთეკების გარდაქმნა და მათი დონის ამაღლება, მოხდა საპირისპირო: დამკვიდრდა აზრი, რომ უსუსურ ბიბლიოთეკებს სჯობს, სულ არ იყოს ბიბლიოთეკები. სწორედ ამას მოჰყვა საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში ბიბლიოთეკების მასობრივი გაუქმება. ფაქტობრივად, მოხდა ისე, რომ მოთხოვნა და რეალობა დაშორდნენ ერთმანეთს შექმნილი პოლიტიკური ვითარების ზეგავლენით. შეიქმნა იმგვარი გარემო - პირობები, რამაც ბიბლიოთეკის არასწორი, ნეგატიური ფსიქოლოგიური სიტუაციის შექმნას. მიგვაჩნია, რომ ეს იმ რუტინის, ჩამორჩენილობის, შეზღუდულობის, სტერეოტიპული წარმოდგენების შედეგია, რომელიც ნაწილობრივ შემორჩა სოციალურ ფსიქოლოგიას ჩვენში, ნაწილობრივ კი პოლიტიკურმა ზეგავლენამ განაპირობა.

საჭირო იყო არა უარის თქმა ჩამორჩენილ ბიბლიოთეკებზე, არამედ ამ ბიბლიოთეკების იმგვარად გარდაქმნა - ამაღლება, რომ ისინი გამხდარიყვნენ თანამედროვე მოთხოვნილების გამომწვევი ფაქტორები, რომლებიც საზოგადოების ცნობიერებაზე გარკვეულ დადებით ზეგავლენას განახორციელებდნენ.

საბედნიეროდ, ამჟამად პოლიტიკური ვითარება საგრძნობლად შეიცვალა, არის გადადგმული პოზიტიური ნაბიჯები, თუმცა საერთო საქმე იმდენად დანგრეული და აშლილია, მისი საგრძნობლად გამოკეთება ჯერ კიდევ ბევრ შრომასა და ენერგიას მოითხოვს. ამისთვის საჭიროა შეურიგებელი ბრძოლა სოციალური ფსიქოლოგიის პროგრესულად განვითარებისათვის, მოწინავე, პერსპექტიული მოქმედებისათვის ზრუნვა, რეფორმისტული მოსაზრებების დამკვიდრება საზოგადოებაში, რომ საბიბლიოთეკო საქმე განვითარების სწორ გზას დაადგეს. განვითარების ლოგიკა დღეს ამას გვკარნახობს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბიბლიოთეკების წინააღმდეგ წარმოებული შეუსაბამო მოქმედებანი და მათ მიმართ გამოთქმული დილემანტური, ზოგ შემთხვევაში, უგუნური მოსაზრებანი გახდა ის ფონი, რომელიც ახლდა საზოგადოებრივი აზრის შექმნას ჩვენში და რამაც ხელი შეუწყო შე-

ქმნილიყო არაჯანსაღი, არასწორი, ჩამორჩენილი და მოძველებული შეხედულებები: სამწუხაროდ, ამგვარი ვითარება დღემდე შემორჩენილი, რაც სოციალურ ფსიქოლოგიაშიც პოვნებს ასახვას ანომალიის სახით. არამც თუ მხოლოდ ის ჩინოვნიკები, რომლებზედაც დამოკიდებულია დღეს საბიბლიოთეკო საქმე, ბევრი სპეციალისტი - პროფესიონალიც კი, ძველებური ხედვით წარმოდგენს თანამედროვე ბიბლიოთეკას. ეს დიდად უშლის ხელს ბიბლიოთეკების დონის იმ სიმაღლეზე აყვანას, როგორც თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას შეესაბამება.

პრაქტიკიდანაც ნათლად ჩანს: იქ, სადაც დარღვეულია მოძველებული გაგება ბიბლიოთეკების შესახებ, სადაც ხელმძღვანელებს ადებული აქვთ ახალი ორიენტირი, სადაც გარკვეულნი არიან თანამედროვე მდგომარეობაში, ახლებურად ხედავენ ამ დარგის აწმყოსა და მომავალს, ესმით თავიანთი მოვალეობანი - საქმე შედარებით უკეთაა და პროგრესი შეინიშნება; სადაც ბიბლიოთეკა კვლავ მოძველებულად, ანაქრონიზმად მიჩნიათ, რომელმაც დაასრულა თავისი როლი, იქ ბიბლიოთეკა ან საესებით უქმდება, ან სრულიად იგნორირებულია, არავითარი ყურადღება და დახმარება არ ეწევა.

სხვათა შორის, არავითხელ გამოთქმულა აზრი, რომ ბიბლიოთეკა დღეს მოძველებული რამ არის. ზოგჯერ ერთგვარი აღრევა ხდება "ძველისა" და "მოძველებულის" გაგებისა. "ძველი" ყოველთვის "მოძველებული" კი არ არის, ზოგჯერ, პირიქით, საესებით აქტუალურია, მაშინ, როცა "მოძველებული" ყოველგვარ აქტუალობადაკარგულია. სრული ნონსენსია ბიბლიოთეკა მოძველებულ ელემენტად გამოაცხადო!

საერთოდ, ამჟამად, ჩვენს სინამდვილეში სპეციალისტების, ახალი თუ ძველი თაობის წარმომადგენლების, პროფესიონალებისა თუ ამ დარგის დაუფლების მსურველების, საბიბლიოთეკო საქმის მუშაკების, ბიბლიოთეკის მხარდამჭერების, მკითხველთა და მომხმარებელთა, ყველა ინტელექტუალური ადამიანისა თუ განათლებული მოქალაქეების მიერ საჭიროა გაერთიანებული, ერთიანი ცივილიზებული მოქმედება იმისათვის, რომ წარსულს ჩაბარდეს ის წარმოდგენები, ჩამორჩენილი და მოძველებული შეხედულებები, რომლებიც დღემდე არსებობს ბიბლიოთეკის მიმართ. ძლიერი ზემოქმედებაა საჭირო განხორციელდეს სოციალურ ფსიქოლოგიაზე, რომ სწორი და სამართლიანი შეხედულებები, მოთხოვნილებები და ინტერესები შექმნას საზოგადოებას. ამისათვის საჭიროა აქტიურად ამაღლდეს როგორც საბიბლიოთეკო საქმე, ისე დამოკიდებულება მის მიმართ.



## ლავა გველსიანი

### როგორ დავებამოთ საბიბლიოთეკო კვლევა: პირველი ნაბიჯები

რა არის საბიბლიოთეკო კვლევა? რას ემსახურება იგი? რამდენად ადვილია ან ძნელია ხარისხიანი სამეცნიერო კვლევის ჩატარება თუნდაც მცირე ბიბლიოთეკაში? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, რა თქმა უნდა, ჟურნალის ერთი-ორი გვერდი არ კმარა, თუმცა იმედი გვაქვს, რომ ეს მცირე მიმოხილვა გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ყველას, ვისაც საბიბლიოთეკო საქმის ეს სფერო აინტერესებს. ამ თემაზე სტატიებისა და საინტერესო რჩევების გამოქვეყნება სამომავლოდაც იგეგმება.

\* \* \*

#### რა არის კვლევა?

„საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ კანონის თანახმად, ნებისმიერი ბიბლიოთეკის მოვალეობაა, „წარმოოს საბიბლიოთეკო სტატისტიკა“ და „საბიბლიოთეკო-სამეცნიერო გამოკვლევების ხელშეწყობის მიზნით ეწეოდეს დამატებითი საბიბლიოთეკო მონაცემების ობიექტურ აღრიცხვას“... სტატისტიკა და მონაცემები სამეცნიერო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია, თუმცა მათი მოგროვება და აღრიცხვა კვლევის მხოლოდ ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს. დასავლეთ საქართველოს რამდენ სოფელს აქვს ბიბლიოთეკა? რომელი გაზეთები უყვართ ყველაზე მეტად ეროვნული ბიბლიოთეკის მკითხველებს? ამის გარკვევა შეიძლება საინტერესო, სახალისო პროცესიც კი იყოს, მაგრამ ეს ინფორმაცია სრულყოფილი კვლევითი ანგარიშისთვის არასაკმარისია. მაშ რა არის კვლევა?

ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ „სამოქალაქო განათლების ლექსიკონში“ მოყვანილია კვლევის საკმაოდ ზოგადი განმარტება: „აქტიური, შრომატევადი, სისტემატური შესწავლის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს რაიმე იდეის მხარდაჭერისა და უარყოფისათვის აუცილებელი ფაქტების დადგენას, ახსნას და ამის საფუძველზე დასკვნების გამოტანას“ (3). სოციალური კვლევის მეთოდების ერთ-ერთ სახელმძღვანელოში მოყვანილია უფრო ვრცელი განმარტება: „... კვლევა ციკლური, თვითმაკორექტირებელი პროცესია, რომელიც შეიძლება ძირითადი ურთიერთდაკავშირებული საფენებისგან შედგება: კვლევის საკითხის განსაზღვრა, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, კვლევის დიზაინის [ანუ გეგმის - ლ. გ.] შემუშავება, გაზომვა, მონაცემთა

შეგროვება, მონაცემთა ანალიზი და განზოგადება. თითოეული ეს საფენური უკავშირდება თეორიას, რამდენადაც გავლენას ახდენს მასზე და თავის მხრივ, მისგანაც განიცდის გავლენას“ (2, გვ. 17). კვლევა შეიძლება იყოს ფუნდამენტური, ანუ მიზნად ისახავდეს დარგის ძირითად ცნებებსა და მათ ურთიერთმართებებში გარკვევას, ჰიპოთეზებისა და თეორიების შემოწმებას ან გამოყენებითი, ანუ ყოველდღიური საქმიანობის კონკრეტული პრობლემების გადაჭრაზე იყოს ორიენტირებული. კვლევის ამ ორ სახეს შორის განსხვავება საკმაოდ პირობითია: ფუნდამენტურ კვლევას ხშირად მოეძებნება პრაქტიკული გამოყენება და გამოყენებითი კვლევებიდანაც არაერთხელ გამოუტანიათ ფუნდამენტური მნიშვნელობის დასკვნები. როგორც ფუნდამენტური, „წმინდა“, ისე გამოყენებითი კვლევა მიზნად ისახავს მეცნიერული ცოდნის გამდიდრებას; ორივე პრაქტიკულია იმ გაგებით, რომ ადამიანური პრობლემების გადაჭრას ემსახურება. მთავარი, ალბათ, სწორედ ისაა, რომ კვლევა - როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი - საჭირობოროტო პრობლემებს ეხებოდეს.

გამოყენებული მეთოდების მიხედვით, კვლევები, ასევე შეიძლება დაიყოს რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებად. კვლევის რაოდენობრივი მეთოდები ემყარება - რამდენადაც ეს შესაძლებელია - ცნებების ზუსტ რიცხობრივ გამოხატვას მათი გაზომვისა და შეფასების მიზნით. თვისებრივი მეთოდებისთვის დამახასიათებელია მოვლენათა აღწერა მათი უშუალო მონაწილეების გადმოსახედიდან, რაც ინდივიდთა ქცევის უკეთ გაგებას ემსახურება. როგორც ვხედავთ, თვისებრივი კვლევები ცდილობს, უფრო „ბუნებრივად“ მიუდგეს საკვლევ საკითხს. ზოგი კვლევა იყენებს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მეთოდებს და მათ შეიძლება შერეული კვლევები ვუწოდოთ.

#### კვლევის ზოგადი მონახაზი: რაზე ვაგამახვილოთ ყურადღება?

დარგისა და შესაგროვებელი მონაცემების სპეციფიკიდან გამომდინარე, მკვლევრები მრავალ სხვადასხვა მეთოდოლოგიას მიმართავენ, თუმცა კვლევათა უმეტესობა ერთ და იმავე ზოგად მონახაზს მიჰყვება და მსგავსი



კომპონენტებისგან შედგება. კვლევის იდეის ჩამოყალიბების პროცესი, როგორც წესი, იწყება იმით, რომ მკვლევარს უჩნდება კითხვა. მაგალითად, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა, თუ რატომ იკლო ან, რაც უკეთესია, მოიმატა მის ბიბლიოთეკაში სტუდენტების რიცხვმა. ამ ეტაპზე - ისევე, როგორც კვლევის დაგეგმვის მთელი პროცესის განმავლობაში, სასურველია, რომ მკვლევარი საფუძვლიანად გაეცნოს მის დარგში უკვე გამოქვეყნებულ კვლევებს.

შემდეგი ლოგიკური ეტაპია **საკითხის დასმა**, ანუ იმ პრობლემის დადგენა, რომელიც ბიბლიოთეკარისთვის საინტერესო მოვლენის მიღმა დგას. მას შეიძლება ჰქონდეს ვარაუდი, რომ სტუდენტები ნაკლებად იყენებენ ბიბლიოთეკას იმიტომ, რომ მათ უმეტესობას ბიბლიოთეკით სარგებლობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები აკლია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეალური პრობლემა, რომლის წინაშეც ბიბლიოთეკარი დგას, საბიბლიოთეკო უნარ-ჩვევების დეფიციტია, რასაც, საბოლოო ჯამში, ბიბლიოთეკისადმი ინტერესის კლება მოჰყვება. ასევე, ბიბლიოთეკარმა შეიძლება დაასკვნას, რომ პრობლემა არა ერთია, არამედ რამდენიმე, ანდა საქმე გვაქვს ერთი მთავარი პრობლემის ქვეპრობლემებთან. მაგალითად, ბიბლიოთეკარი შეიძლება დაფიქრდეს, ხომ არ უკავშირდება სირთულეები რომელიმე კონკრეტულ უნარ-ჩვევას ან ხომ არ იჩენს პრობლემა თავს სხვადასხვანაირად უმცროს და უფროსკურსელებთან.

კონკრეტული საკვლევი პრობლემის დადგენის შემდეგ მკვლევარმა უნდა სცადოს მისი **განხილვა უფრო ფართო თეორიულ ჭრილში**. შესაძლოა, უკვე არსებობს მეტ-ნაკლებად ადეკვატური თეორია, რომელიც ამ საკითხს ეხება; მაგრამ ზოგჯერ თეორიის შემუშავება მკვლევარს თავადვე უწევს.

ძირითადი პრობლემის, მისი ქვეპრობლემებისა და შესაფერისი თეორიის გათვალისწინებით, ბიბლიოთეკარმა უნდა **წამოაყენოს ერთი ან რამდენიმე ვარაუდი, ანუ ჰიპოთეზა**, რომლითაც იგი თავის მომავალ კვლევაში იხელმძღვანელებს. ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკარმა შეიძლება წამოაყენოს ჰიპოთეზა, რომ საბიბლიოთეკო უნარ-ჩვევებს აქვს დადებითი გავლენა ბიბლიოთეკით სარგებლობაზე. ეს ჰიპოთეზა შეიძლება ეყრდნობოდეს თვალსაჩინო ამოსავალ დებულებებს, როგორიცაა, მაგალითად, „ბიბლიოთეკით სარგებლობის სწავლებას მართლაც შეუძლია გარკვეული საბიბლიოთეკო უნარ-ჩვევების გაუმჯობესება“ ანდა „სტუდენტები შეძლებენ სასწავლო პროგრამის ფარგლებში შექმნილი უნარების პრაქტიკულ გამოყენებას ბიბლიოთეკით

სარგებლობისას“.

მთელი ამ პროცესის განმავლობაში, განსაკუთრებით კი ჰიპოთეზის წამოყენების შემდეგ, ბიბლიოთეკარს მოუწევს პრობლემის გადასაჭრელად გარკვეული **გეგმის შემუშავება** - ანუ იმის გადაწყვეტა, თუ **რა მეთოდები და მონაცემთა შეგროვების რომელი ხერხები** გამოიყენოს კვლევაში. ბიბლიოთეკარს შეუძლია ჩაატაროს ექსპერიმენტი: ჩაუტაროს სტუდენტებს ბიბლიოთეკით სარგებლობის კურსი, შემდეგ კი შეაფასოს (შეამოწმოს, გაზომოს) მათი საბიბლიოთეკო უნარ-ჩვევები. ანდა შეიძლება ჩატარდეს გამოკითხვა, რომლის დროსაც, მაგალითად, სტუდენტებს დაუსვამენ კითხვებს მათი უნარ-ჩვევებისა და იმის შესახებ, თუ რამდენად ხშირად იყენებენ ბიბლიოთეკას.

ნებისმიერი კვლევის განუყოფელი მახასიათებელია **ფაქტების გააზრების აუცილებლობა**. ეს განსაკუთრებით ეხება მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ეტაპებს. სწორედ ამ ეტაპებზე უნდა სცადოს მკვლევარმა პრობლემის გადასაჭრელად საჭირო ინფორმაციის მოგროვება, მისი დაჯგუფება-კატეგორიზაცია და მნიშვნელობის გაანალიზება. საბიბლიოთეკო უნარ-ჩვევათა სწავლების კვლევის პროცესში მოპოვებულ მონაცემებს შორის შეიძლება იყოს ტესტებში მიღებული ქულები, ბიბლიოთეკისადმი განწყობის ამსახველი გამონათქვამები და საბიბლიოთეკო უნარ-ჩვევების თვითშეფასება.

დაბოლოს, ბიბლიოთეკარს უნდა ყოველთვის ახსოვდეს, რომ **კვლევის პროცესი თავისი ბუნებით ციკლურია**. მკვლევრის მიერ საკუთარი კვლევის შედეგების ანალიზმა და ინტერპრეტაციამ შეიძლება ახალი კითხვები გააჩინოს ანდა სულაც ვერ უპასუხოს თავდაპირველ საკითხს; ამ შემთხვევაში კვლევის პროცესი შეგვიძლია თავიდან დავიწყოთ. ნამდვილი მეცნიერული კვლევის ბუნება ისეთია, რომ იგი იმდენივე პრობლემას წამოჭრის, რამდენსაც გადაჭრის.

რამდენად შესაძლებელია ხარისხიანი კვლევის ჩატარება?

გარდა იმისა, რომ კვლევა ზოგადი მონახაზის შესაბამისად უნდა დაიგეგმოს, მიიწვევა, რომ ფუნდამენტური კვლევა - თუ გვსურს, რომ ჩვენი კვლევა ამ განსახილველ იმსახურებდეს - უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. **უნივერსალურობა** - ნებისმიერ მკვლევარს უნდა შეეძლოს თქვენი კვლევის ჩატარება იმ სახით, რა სახითაც იგი თქვენ ჩაატარეთ, ანუ თქვენივე გეგმის მიხედვით.

2. **განმეორებადობა** - კრიტერიუმი,



რომელიც უნივერსალურობას უკავშირდება. კვლევა უნდა იყოს განმეორებადი: არა მარტო ნებისმიერ სხვა კომპეტენტურ მკვლევარს უნდა შეეძლოს იმავე კვლევის ჩატარება, არამედ მან უნდა მიიღოს დაახლოებით იგივე შედეგები და კვლევის განმეორება შესაძლებელი უნდა იყოს იმდენჯერ, რამდენჯერაც ამას სხვა მკვლევრები მოისურვებენ.

3. კონტროლი - ეს კრიტერიუმი გულისხმობს კვლევის არსებითი ფაქტორების გამოყოფას, რაც ხელს უწყობს განმეორებადობას.

4. გაზომვა - მოვლენაზე დაკვირვებისა და ჩაწერის შედეგად მოპოვებული მონაცემები უნდა ექვემდებარებოდეს გაზომვას. გაზომვა (და კონტროლი), ზოგადად, უფრო ადვილია საბუნებისმეტყველო, ვიდრე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში.

კვლევის დაწყებამდე მკვლევარი უნდა დაფიქრდეს, რამდენად შეძლებს არა მარტო ამ ოთხი ძირითადი კრიტერიუმის დაკმაყოფილებას, არამედ უფრო პრაქტიკული ამოცანების გადაჭრასაც. არსებობს თვითშეფასების მარტივი, პრაქტიკული ანკეტა, რომელიც დაგეხმარებათ იმის განსაზღვრაში, რამდენად შეგიძლიათ თქვენი კვლევის განხორციელება. ამ მცირე მიმოხილვის დასრულება სწორედ ამ ანკეტის გაცნობით გვსურს. იგი რამდენიმე ბლოკისგან შედგება:

**პრობლემა**

1. რომელ სფეროს ეხება თქვენი საკვლევი პრობლემა?

ადამიანებს\_\_ ნივთებს\_\_ ჩანაწერებს, ლოკუმენტაციას\_\_ ფიქრებსა და იდეებს\_\_ დინამიკასა და ენერჯიას\_\_

2. ხელმისაწვდომია თუ არა თქვენ მიერ მონიშნული საკვლევი სფეროების შესაბამისი მონაცემები? დიახ\_\_ არა\_\_

3. უპირატესად რომელ აკადემიურ დისციპლინას ეხება პრობლემა?

4. კიდევ რომელ აკადემიურ დისციპლინებს შეიძლება ეხებოდეს ეს პრობლემა?

5. რა კონკრეტულ უპირატესობას ფლობთ, როგორც ამ პრობლემის მკვლევარი?

ინტერესს ამ საკითხისადმი\_\_  
შესაბამის განათლებასა და პროფესიულ მომზადებას\_\_  
საკვლევი სფეროში მუშაობის გამოცდილებას\_\_

სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ)

**მონაცემები**

6. რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთვის მონაცემები?

თავისუფლად ხელმისაწვდომია\_\_  
ხელმისაწვდომია, თუმცა მოითხოვს ნებაართვას\_\_  
ძნელად ან იშვიათად ხელმისაწვდომია\_\_  
არაა ხელმისაწვდომი\_\_

7. რამდენად ხშირად გიწევთ შეხება მონაცემთა წყაროსთან?

ყოველდღიურად\_\_  
კვირაში ერთხელ\_\_  
თვეში ერთხელ\_\_  
წელიწადში ერთხელ\_\_  
არასოდეს\_\_

8. არის თუ არა პრობლემური სიტუაცია მონაცემების უშუალო წყარო?

დიახ\_\_  
არა\_\_ (თუ თქვენი პასუხია „არა“, სად ან როგორ აპირებთ მონაცემთა მოპოვებას?)

9. რა მეთოდით აპირებთ მონაცემების მოგროვებას?

დაკვირვებით\_\_  
ანკეტით\_\_  
ტესტებით ან კითხვარებით\_\_  
ლოკუმენტაციის ფოტოასლების გადაღებით\_\_  
ინტერვიუებითა და აუდიოვიდეოჩაწერით\_\_  
სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ) \_\_\_\_\_

10. დაგჭირდებათ თუ არა მონაცემთა მოგროვებისა და დამუშავებისთვის სპეციალური აპარატურა ან განსაკუთრებული პირობები?

დიახ\_\_ (თუ თქვენი პასუხია „დიახ“, დააკონკრეტეთ) \_\_\_\_\_  
არა\_\_

11. თუ სპეციალური აპარატურა დაგჭირდებათ, მიგიწვდებათ თუ არა მასზე ხელი და იცით თუ არა მისი გამოყენება?

დიახ\_\_  
არა\_\_ (თუ პასუხია „არა“, როგორ აპირებთ ამ სირთულის გადალახვას?) \_\_\_\_\_

12. თქვენი აზრით, რამდენი დრო და



ფული სჭირდება მონაცემთა მოგროვებას? \_\_\_\_\_

13. რის საფუძველზე მიგაჩნიათ, რომ თქვენ მიერ მოგროვებული მონაცემები გამოდგება საკვლევი მოვლენის ღირებულ და სანდო ინდიკატორად? \_\_\_\_\_

**შეფასება კრიტერიუმების მიხედვით**

14. აკმაყოფილებს თუ არა თქვენი კვლევითი პროექტი ოთხ ძირითად კრიტერიუმს?

- უნივერსალურობა \_\_\_\_\_ დიახ \_\_\_\_\_ არა
- განმეორებადობა \_\_\_\_\_ დიახ \_\_\_\_\_ არა
- კონტროლი \_\_\_\_\_ დიახ \_\_\_\_\_ არა
- გაზომვა \_\_\_\_\_ დიახ \_\_\_\_\_ არა

15. გადაავლეთ თვალი თქვენს პასუხებს. შეუძლია რომელიმე შემოაღნიშნულ ან სხვა ფაქტორს, ხელი შეუშალოს თქვენი კვლევის განხორციელებას?

დიახ \_\_\_\_\_ არა \_\_\_\_\_

(თუ პასუხია „დიახ“, ჩამოთვალეთ ეს ფაქტორები) \_\_\_\_\_

როგორც ხედავთ, თვითშეფასების ანკეტა ეხება ისეთ პრაქტიკულ პრობლემებს, როგორცაა მკვლევრის კომპეტენცია, მო-

ნაცემთა ხელმისაწვდომობა და კვლევის საგარეო მეთოდები. სასურველია, ნებისმიერმა მკვლევარმა, განსაკუთრებით კი დაწყებმა, გადაავლოს თვალი ამ ანკეტას და დაფიქრდეს, რამდენად შეუძლია მას ამა თუ იმ კვლევის დაწყება და დასრულება. გახსოვდეთ: რაგინდ პოტენციურად მნიშვნელოვანი იყოს კვლევა, თუ მისი განხორციელებისას მრავალ სირთულეს წააწყდებით, დიდია იმის ალბათობა, რომ საბოლოო შედეგს არავითარი მეცნიერული ღირებულება არ ექნება.

**გამოყენებული წყაროები:**

1. Connaway, L. S., & Powell, R. R. (2010). Basic research methods for librarians. Santa Barbara, Calif: Libraries Unlimited.

2. კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში / ჩავა ფრანკფორტ-ნაჩმიასი, დევიდ ნაჩმიასი. - თბ. : ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009. - ISBN 978-9941-9116-7-5

[https://www.tsu.ge/data/file\\_db/faculty\\_psychology/Res\\_Meth\\_Soc\\_Sc.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_psychology/Res_Meth_Soc_Sc.pdf) (27.05.2015)

3. „კვლევა“, განმარტებითი ლექსიკონი/ეროვნ. სასწ. გეგმებისა და შეფასების ცენტრი. - [თბ., 2008].

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16562> (27.05.2015)

**მზია სოსიტაშვილი**

**სოციოლოგიური კვლევები ზიზლიოთიკაჰის მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნების სამსახურში**

თანამედროვე ბიბლიოთეკების მომსახურების განვითარებაზე ორიენტირებული სარეკომენდაციო მასალა აგებულია მომხმარებლის მოთხოვნებსა და ინტერესებზე. ის გარემოება, რომ ბიბლიოთეკა სხვადასხვა სახის საინფორმაციო რესურსით უნდა უზრუნველყოფდეს ყველას, განურჩევლად ენისა, ასაკისა, რასისა, ეროვნებისა თუ სოციალური მდგომარეობისა, დღის წესრიგში აყენებს არსებული ან პოტენციური მკითხველის/მომხმარებლის შესწავლას.

საბიბლიოთეკო-საინფორმაციო ბაზრისა და მისი რესურსების მომხმარებელთა შესწავლისას იყენებენ კვლევის ეკონომიკურ, სტატისტიკურ და სოციოლოგიურ მეთოდებს.

სოციოლოგიური კვლევები გულისხმობს მეთოდოლოგიურ, მეთოდურ და საორგანიზა-

ციო-ტექნიკური პროცედურების სისტემას, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მივიღოთ სანდო, უტყუარი მონაცემები შესასწავლ საკითხზე ან პროცესზე მათი პრაქტიკაში დასაწერად. ეს არის ერთი რომელიმე დარგის მკვლევარის მიზანმიმართული კონცენტრაცია გარკვეულ საკითხებზე, ამ დროს შესაძლებელია მეტად საინტერესო ნიუანსების გამოვლენა.

სოციალური მოვლენებისა და პროცესების კვლევებისთვის, რომელსაც მასობრივი ხასიათი აქვს, იყენებენ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მეთოდებს - საექსპერტო შეფასებას, სკალირებას, ტესტურ პროცედურებს, სტატისტიკურ და მათემატიკურ მეთოდებს. ეს არის ხელმისაწვდომი ინფორმაციის შეკრების, დამუშავებისა და ანალიზის წესების სისტემა. კვლევის



პროცედურები უფრო ზოგადი ცნებაა და სოციოლოგიური ინფორმაციის დამუშავების საშუალებებს მიეკუთვნება. კვლევა გარკვეული თანმიმდევრობით ხორციელდება, მაგალითად, ჩასატარებელი კვლევის მეთოდად თუ ვირჩევთ ანკეტირებას, მეთოდთა ანკეტის შევსების ინსტრუქცია იქნება. არსებითი საკითხია ანკეტაში შეკითხვების ფორმულირება.

სოციოლოგიური კვლევების ჩატარება რთული პროცესია და საკმაოდ ძვირადღირებულ საქმიანობადაც ითვლება, ბიბლიოთეკების მწირი ფინანსური სახსრებიდან გამომდინარე. სოციოლოგიური კვლევის მეთოდებიდან მომხმარებლის გამოსაკვლევად შესაძლებელია შედარებით მარტივი მეთოდების გამოყენება, ესენია: გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი, ექსპერიმენტი, აღწერა და ტიპოლოგიზაცია. ეს მეთოდებიც ბიბლიოთეკის სპეციფიკაზე იქნება მორგებული. ყველაზე ხშირად გამოყენებადი გამოკითხვაა.

გამოკითხვის მეთოდი - მას პირველადი ინფორმაციის მოპოვებისთვის იყენებენ. ამგვარად მიიღება მონაცემთა დაახლოებით 90%. გამოკითხვას შეუძლია გამოავლინოს საკვლევი საკითხის ისეთი დაფარული მხარე, რომელსაც ვერ მივიღებთ მომხმარებელზე ან პროცესზე დაკვირვების შედეგად. ეს მეთოდი შეუცვლელია, როდესაც საქმე ეხება ადამიანის, კონკრეტული პიროვნების დამოკიდებულებას საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენისადმი. გამოკითხვები, რომლებიც ბიბლიოთეკის პოტენციურ მკითხველებზე მიმართული, შეიძლება სავსე პირობებშიც ჩატარდეს. ამგვარი გამოკითხვები შეიძლება ინტერვიუს ხასიათსაც ატარებდეს და ანკეტის შევსებასაც ითვალისწინებდეს.

კვლევის პროცედურაში 5 ეტაპი გამოიყოფა: პროგრამის შედგენა, ობიექტისა და ერთეულის განსაზღვრა, დაკვირვება; მასალის შეკრების საშუალებების - კვლევის მეთოდთა; მასალების შეკრება, მასალის ანალიზი და მისი განზოგადება.

კვლევის დაწყებას წინ უძღვის:

- კვლევის მიზნის დასახვა, მაგალითად, კითხვის მნიშვნელობის განსაზღვრა სხვადასხვა ასაკობრივ თუ სოციალურ ჯგუფებში;
- კვლევის ამოცანები, კითხვის ადგილის დადგენა ინფორმაციის მიღების სხვადასხვა არხებს შორის; მიზეზები, რის გამოც ახალგაზრდობა აღარ კითხულობს; ბიბლიოთეკაში მკითხველის მოსაზიდად გასატარებელი ღონისძიებები;

- **კვლევის მეთოდის შერჩევა** - ანკეტირება. (ასევე უნდა განისაზღვროს მონაცემების დამუშავებისთვის შექმნილი პროგრამა);

- **კვლევის ჰიპოთეზა**: მცირდება მუდმივ მომხმარებელთა რიცხვი, მიუხედავად იმისა, რომ იზრდება ინფორმაციის როლი თანამედროვე სამყაროში, კითხვამ დაკარგა ფუნქცია;

- **კვლევის საგანი**: - მოსახლეობაში კითხვის მოთხოვნილების დადგენა, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ მოთხოვნილების ცვლილებაზე;

- **გამოკითხვაში მონაწილეთა შერჩევითი თანმიმდევრობის განსაზღვრა**: გამოკითხულთა წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან, ასაკობრივი და გენდერული ჯგუფები.

გამოკითხვის მეთოდით შეიძლება დაავადგინოთ:

1. მოსახლეობის რამდენ პროცენტს აქვს ინფორმაცია მის უბანში არსებული ბიბლიოთეკისა და მისი მიმართულების შესახებ;
2. რატომ არ სტუმრობენ მოქალაქეები ბიბლიოთეკებს;
3. ხელსაყრელია თუ არა ბიბლიოთეკის სამუშაო გრაფიკი;
4. ბიბლიოთეკაში რა სახის მომსახურების დამატებას ისურვებდნენ;
5. იციან თუ არა ბიბლიოთეკაში დანერგილი საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ;
6. რა სახის ლიტერატურას კითხულობენ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით და ა. შ.

ბიბლიოთეკით მუდმივად მოსარგებლე მკითხველების გამოკითხვის შედეგად შესაძლებელია მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ახლის შეთავაზება მომხმარებლის მოლოდინების გათვალისწინებით. ეს უკვე ფოკუს ჯგუფებთან მუშაობაა და „პანელურ“ გამოკვლევებს მიეკუთვნება. ითვლება, რომ პანელური გამოკითხვები არ არის ადვილი შესასრულებელი, რადგან ერთი და იგივე რესპონდენტის შენარჩუნება დროის გარკვეულ პერიოდში გამოსაკითხად მეტად რთულია. თუმცა, სწორედ ფოკუს-ჯგუფებთან ჩატარებული კვლევების შედეგად ხდება ბიბლიოთეკაში არსებული პრობლემების წინასწარი შესწავლა; ფასდება, ეფექტურია თუ არა ესა თუ ის საბიბლიოთეკო პროგრამა. ამ ჯგუფებისთვის შედგენილი ანკეტა შეიძლება ასეთი სახის შეკითხვებისგან შედგებოდეს:

1. რამდენად ხშირად და რა მიზნით დადიხართ ბიბლიოთეკაში?



2. კმაყოფილი ხართ თუ არა საბიბლიოთეკო ფონდებით?

3. თავისუფალი დროს გატარების რა საშუალებებს დაამატებდით ბიბლიოთეკის სერვისებში?

4. რამდენად კვალიფიციურად გემსხურებიან ბიბლიოთეკაში?

5. კომფორტულია თუ არა ბიბლიოთეკის სამუშაო გარემო და ა.შ.

ბიბლიოთეკაში ასევე ადვილია სტუდენტების გამოცდების პერიოდში ჯგუფური კვლევების ჩატარება, ჯგუფური ანკეტირება ინფორმაციის გაფანტვისა და დაკარგვის აღბათობას გამორიცხავს. ცალკეული ჯგუფების კვლევისას მარკეტინგის მეთოდებსაც მიმართავენ. მკითხველთა დაყოფა-სეგმენტაცია საბიბლიოთეკო-საინფორმაციო მომსახურების სხვადასხვა ჯგუფების თავისებურებების გათვალისწინებას და მოთხოვნაზე მიზანმიმართულ ზემოქმედების საშუალებას იძლევა.

საბიბლიოთეკო მარკეტინგის პრაქტიკაში ჩამოყალიბდა საბიბლიოთეკო მომსახურების ბაზრის სეგმენტაციის სხვადასხვა საშუალებები. მათ შორის ხშირად გამოიყენება სეგმენტაცია სოციალურ-ეკონომიკური ნიშნების მიხედვით; სქესის, ასაკის, შემოსავლების, საქმიანობის სახეობის, განათლების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების. ბოლო წლებში მათ მიაკუთვნებენ დიფერენციაციის იმგვარ ნიშნებს, როგორცაა მომხმარებლის მიკუთვნება ამა თუ იმ ეთნიკურ კულტურასთან, აღინიშნება აღმსარებლობა, ოჯახური მდგომარეობა, სხვადასხვა უმცირესობები. ბიბლიოთეკის მომსახურების მომხმარებელთა ახალ ჯგუფებს შორის ასევე გამოყოფენ მეწარმეებს, ფერმერებს, ლტოლვილებს, იძულებით ადგილნაცვალ პირებს, უმუშევრებს, სოციალურად დაუცველებს და სხვ.

საბიბლიოთეკო-საინფორმაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტაცია გულისხმობს რეალური და პოტენციური მომხმარებლების დაყოფას სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური ნიშნების მიხედვით, რომლებსაც საბიბლიოთეკო-საინფორმაციო მომსახურების მიწოდებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

კერძოდ, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ნიშნების გარდა, საბიბლიოთეკო-საინფორმაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტაციისთვის მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ნიშნების გათვალისწინებაც,

რომელთა შორის უნდა გამოიყოს ამა თუ იმ მომსახურების მოთხოვნის მოტივი. ეს მოტივები შეიძლება იყოს საქმიანი, თვითგანათლები-სკენ მიმართული, თავისუფალი დროის გატარების და სხვ. მომსახურების ბაზრის სეგმენტაციისას მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ მახასიათებელს წარმოადგენს პიროვნების გარკვეული მომსახურების მიზნობრიობა.

დღეს, როდესაც ბიბლიოთეკები საზოგადოებასთან ურთიერთობის ამოცანებიდან გამომდინარე, თავისი საქმიანობის წინ წასაწევად წარმატებით იყენებენ სოციალურ ქსელებს, ხელმისაწვდომი და პოპულარული ხდება ინტერნეტ-გამოკითხვა. ელექტრონული რესურსების ზრდასთან ერთად, იზრდება ვებ-გვერდის ვიზიტორთა რაოდენობაც, მათი ჩართვა კვლევებში კი რაიმე სირთულეს და მატერიალურ დანახარჯებს გამორიცხავს.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ბიბლიოთეკის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, კვლევებს ბიბლიოთეკარებსაც უტარებენ. ბიბლიოთეკარების გამოკითხვით შეიძლება დადგინდეს:

1. ბიბლიოთეკარის პროფესიული უნარები;
2. კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება;
3. საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ახალი საბიბლიოთეკო პროგრამების ცოდნის დონე;

ბიბლიოთეკარის პროფესიამ დიდი ხანია მრავალი საინტერესო ფუნქცია შეიძინა, საინფორმაციო-საძიებო სისტემები თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას მოითხოვს, რასაც გარკვეული მომზადება სჭირდება. ბიბლიოთეკართა ამ სახის გამოკითხვებით მმართველი რგოლი სწორად დაგეგმავს თანამშრომელთა პროფესიულ გადამზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებით გაუმჯობესდება მომსახურების ხარისხი.

მიწოდებას მოთხოვნა განსაზღვრავს, ამიტომ ბიბლიოთეკის ფონდების შევსება, უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და პროგრამების, მომსახურების ახალი სახეების დანერგვა, რესურსების ხელმისაწვდომობის განსაზღვრა, მომსახურების ფორმების შეთავაზება კონკრეტულ პროდუქტზე - სოციოლოგიური კვლევების შედეგების გათვალისწინებით უფრო ეფექტური და მიზანმიმართული გახდება.




## ფერიდე კვაჭანტირაძე

### დავით გურამიშვილი - 310

## დავით გურამიშვილი და „დავითიანის“ პირველი ზეჟღური გამოცემაები.

310 წელი გავიდა დავით გურამიშვილის დაბადებიდან. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა იმ ხანას ემთხვევა, როცა ქართველი ხალხის ბედობლი ბეწვზე ეკიდა და ყოფნა-არყოფნის ზღვარზე გადიოდა. აღმოსავლეთის მუსულმან სახელმწიფოთა შემოსევებისაგან დაუძღურებული ქვეყანა გადარჩენის გზებს ეძებდა. ამ ძიებამ ერთმორწმუნე რუსეთთან მიიყვანა, თუმცა რაც მეტად გამოხატავდა ქართველობა ამ არჩევანს, მით მეტად აღიზიანებდა მუსულმან მეზობლებს, რომელთაც თავის მხრივ რუსეთთან პირადი ანგარიშები ჰქონდათ - მათი გეგმები შორსმიმავალი გახლდათ და იმას ითვალისწინებდა, რომ კავკასიაში ამოეძირკვათ ქრისტიანობა და გზა დაეხშოთ ჩრდილოეთიდან ახალი, ევროპული კულტურისა და პროგრესული ტენდენციების შემოდინებისაგან.



დავით გურამიშვილი 1705 წელს დაიბადა სოფელ გორისუბანში, საგვარეულო მამულში, აქვე გაატარა ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები, თუმცა შემდეგ მისი ცხოვრება ტრაგიკულად წარიმართა. ოსმალებისა და სპარსელებისა-

გან წაქეზებული ჩრდილოკავკასიელი ლეკები მრავალ საშიშროებას უქმნიდნენ ქართლ-კახეთის ბარის მოსახლეობას. ხიფათის ასარიდებლად სოფ. ლამისყანაში გახიზნული ახალგაზრდა 22 წლის დავითი ლეკებმა დაატყვევეს და დაღესტნისკენ გაიტაცეს. მრავალ ჭირვარამს გამოვლილმა. ორგზის გაპარვის შემდეგ, მაინც დააღწია ტყვეობას თავი და 1729 წელს მოსკოვში ემიგრირებულ ვახტანგ VI-ის გუნდს შეუერთდა. მათთან ერთად შეუდგა სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრს და ზრუნვას. ამასთან იგი აქტიურად მონაწილეობდა პოეტ-მწიგნობართა მიერ მოწყობილ ლიტერატურულ პაექრობებში და არაერთხელ თავიც გამოუჩენია. აქ გამოვლინდა პირველად მისი პოეტური ნიჭიერება.

1734 წელს რუსეთის პოლიტიკური ინტერესების ვექტორი სამხრეთიდან დასავლეთისაკენ გადაიხარა. იმედგაცრუებული ვახტანგ VI პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოშორდა, ქ. ასტრახანში დასახლდა და იქ 1737 წელს დაასრულა სიცოცხლე.

უმეტაუროდ დარჩენილ ქართველ ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნების იმედი საბოლოოდ ამოეწურათ და იძულებულები შეიქნენ, რუსეთის ქვეშევრდომობა მიედოთ და მეფის მთავრობის მიერ შეთავაზებულ სამსახურში ჩამდგარიყვნენ. ეს სამსახური ძირითადად იმ ბრძოლებში მონაწილეობა იყო, რასაც რუსეთი იმხანად აწარმოებდა.

დავით გურამიშვილი 1739-1759 წლებში იბრძოდა მოლდაველებთან. ოსმალებთან, ხოლო შემდეგ, შვედებთან მრავალწლიან ომებში და ბოლოს, პრუსიელთა ტყვეობიდან გათავისუფლებული, დაავადებული და დაუძღურებული დაბრუნდა მეუღლესთან ერთად უკრაინის სოფ. ზუბროვკაში, რუს ხელისუფალთაგან ნაბოძებ ადგილ-მამულში. „საწუთროსაგან მწარედ ნატანჯი“ გულმოდგინედ შესდგომია მამულის მოვლა-პატრონობას, პოეზიისთვისაც მოუცლია, თავისი ბიოგრაფიისა და თავგადასავლის ლექსად გამოთქმა მოუწადინებია („დავჯექ და ლექსვა დავიწყე“...). უშვილძიროდ დარჩენილ პოეტს შეძლებისდაგვარად მშობლიური ზრუნვით შეუკრებია წიგნად ძველი



და ახალი ნაწერები და ერთი სათაურის ქვეშ მოუთავსებია, სახელად „დავითიანი“ დაურქმევია. ვინ იცის, როგორ მისცემდა დავიწყებას ისტორია დავით გურამიშვილის ხსოვნას და მის ნაშრომ-ნაღვაწს, რომ არა ერთი იღბლიანი ფაქტი: 1787 წელს დავით გურამიშვილისათვის ცნობილი გამხდარა უკრაინაში, სოფ. კრემენჩუკში ფელდმარშალ პოტიომკინთან რუსეთში ქართლ-კახეთის ელჩის მირიან ბატონიშვილის სტუმრობის შესახებ. მას მოუხერხებია ბატონიშვილისათვის არზის გადაცემა, რომელშიც ვკითხულობთ: „...გავიგონე დიდრონის დამეგობრებაში შესაქცევლად ქართულის წიგნების დამჭირნოება და ამად კადნიერ ვიქმენ და მივართვი ჩემი ნათქვამი წიგნი, რომელსა ეწოდების „დავითიანი“... თავად პოეზიის მოყვარულმა ბატონიშვილმა სათუთად შეინახა პოეტის ლექსების კრებული და უნაკლოდ შემოუნახა იგი შთამომავლობას. აღნიშნული ავტოგრაფი წერა-კითხვის ხელნაწერთა ფონდში ირიცხებოდა XIX საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან. დღეს იგი ხელნაწერთა ეროვნულ ფონდშია დაუნჯებული.

\* \* \*


დავით გურამიშვილის სახელი და შემოქმედების მცირე ნაწილი ფართო საზოგადოებისათვის პირველად 1852 წელს გახდა ცნობილი, როდესაც ჟურნალ „ცისკრის“ რამდენიმე ნომერში გიორგი ერისთავმა დაბეჭდა „დავითიანიდან“: „საწუთრო სოფლის გლოვა“ (№10, გვ. 1-10), „რუსხელმწიფეთაგან ქართველ მეფის ვახტანგ VI მიპატიუება თავისთან“ (№10, გვ. 66-80; №12, გვ. 51-81), „სწავლა მოსწავლეთა ათთა სახმართა საქმეთა ჩაგონება ყრმათათვის“ ((№11, გვ. 37-50), „ზუბოვკიდან მომავალმან ვნახე ერთი ქალი“ (№12, გვ. 1-3).

მოგვიანებით, 1861 წელს, იმავე სახელწოდების ჟურნალში, რომელსაც იმხანად უკვე ივანე კერესელიძე რედაქტორობდა, „ქაცვია მწყემსის“ მოზრდილი ნაწილი დაიბეჭდა (№10, გვ. 109-136; (№11, გვ. 285-330; (№12, გვ. 241-268), ნაწარმოების დაპირებული „დასასრული“ ჟურნალში შემდეგ წლებში აღარ გამოქვეყნებულა. ასევე არავინ გამოსხმაურებია რედაქტორის თხოვნას, მიეწოდებინათ ინფორმაცია მწერლის შესახებ. თუმცა თბილისშიც და პეტერბურგშიც განათლებულ ქართველობაში მას უკვე კარგად იცნობდნენ და არც არის გასაკვირი, რომ დავით ჩუბინაშვილმა 1861 წელს გამოცემული ქართული ლიტერატურის პირველ ქრესტომათიაში შეიტანა „დავითიანიდან“ – „ეო, მეო“ და რამდენიმე ლექსი.

ხანგრძლივმა პერიოდმა განვლო, ხანამ დავით გურამიშვილის ნაშრომ-ნაღვაწი წიგნის სახით მოვევლინებოდა მკითხველ საზოგადოე-

ბას. „დავითიანი“-ს წიგნად გამოცემის შესაძლებლობა 1870 წელს მომწიფდა. 20 ოქტომბრითაა დათარიღებული ცენზურის ნებართვა დაბეჭდვის თაობაზე, წლის ბოლოს მედიქიმიკის და კომპანიის სტამბამ ტირაჟირებაც მოასწრო და საახალწლოდ საჩუქარი გაუკეთა დავით გურამიშვილის „დავითიანის“ პირველი წიგნის სახით ძველი მწერლობის მოყვარულთ.


წიგნის გამომცემლები იყვნენ ნიკოლოზ



ბერძენოვი (ბერძენიშვილი), პეტრე უმიკაშილი, გიორგი წერეთელი; როგორც გამომცემელთა კომენტარებიდან ირკვევა, ტექსტი დაბეჭდილია „თვით დავით გურამიშვილის ხელნაწერისაგან“, მცირე შესწორებების გარდა, მართლწერაც ავტორისეული დაუტოვებიათ. გამოცემას წამძღვარებული აქვს გიორგი წერეთლის წერილი „დავით გურამიშვილი და იმის წინა დროება“, რომელშიც ავტორი ზოგადად განიხილავს ძველი ქართველი მწერლების შემოქმედებას და აღნიშნავს, რომ დავით გურამიშვილი შოთა რუსთაველის, თეიმურაზის და არჩილის ღირსეული მემკვიდრეა, „რომელმაც მის დრომდის ნაციონალურ კილოზე მოღვაწეობა ბევრად გადაამეტა ღრმა პოეტური გრძნობით, აზრით და უფრო გაცხოველებულის სურათების გამოხატვით“... ეს არის დავით გურამიშვილის შემოქმედების განხილვის და წარმოჩინების პირველი მცდელობა, რამაც დიდად განაპირობა პოეტის პოპულარობა. გამოცემული წიგნის ტირაჟი მალე გაიყიდა. მომრავლდა ხელნაწერი ნუსხები, მრავალმა ზეპირად დაისწავლა მისი ლექსები და შეგონებანი. მისეული აზრები



აფორიზმებად იქცა. ვრცელი წერილი მიუძღვნა თედო ჟორდანიამ მის შემოქმედებას (ჟ. „ივერია“, 1880 №1, გვ. 35-55, №2, გვ. 3-38), მომწიფდა პოეტის შემოქმედების სრულად წარმო-




ჩენის საკითხი.

1881 წელს პეტრე უმიკაშვილმა კვლავ წერა-კითხვის საზოგადოებაში დაცული ავტოგრაფის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა **სრული ტექსტი**, დაურთო უაღრესად მნიშვნელოვანი წინასიტყვაობა (გვ. I-xxvii), სადაც აღნიშნულია, რომ დავით გურამიშვილი არის „ხელოვანი და გამომსახველი მთელის მეთვრამეტე საუკუნის საქართველოსი და ამიტომ მასავით ნათლად და სიმართლით არც ერთ მწერალს არ გარდმოუცია ჩვენთვის საქართველოს ხალხის მწუხარება და წადილი... მან თვალწინ გადაგვიშალა მთელის საქართველოს გამწარებული, ტრადიკული მდგომარეობა... გარდა ძვირფასი აზრებისა, იმისმა ლექსებმა დიდი წარმატება შესძინა თვით ენასა და ლექსთ თხზვასა“. წიგნის გამომცემელმა გიორგი ზალიკანიანმა ეჭთიშე ხელაძის სტამბაში დაბეჭდა ქართული ლიტერატურის ეს უნიკალური შედევრი.

XIX საუკუნის დასასრულს პატრიოტმა და აღლოიანმა წიგნის გამომცემელმა ზაქარია ჭიჭინაძემ დავით გურამიშვილის პოეზიისადმი ქართველი საზოგადოების დიდი ინტერესი გაითვალისწინა. ცენზურის 1893 წლის ნოემბრით დათარიღებული ნებართვის შემდეგ, მან გ. როტინიანცის სტამბაში 1894 წლის დასაწყისში გამოსცა „დავითიანი“. ტექსტი დაბე-

ჭდილია 1881 წლის გამოცემების მიხედვით. წიგნს წამმდგარებელი აქვს პირველი და მეორე გამოცემების წინასიტყვაობები. მკითხველი საზოგადოება სიხარულით შეხვდა „დავითიანის“ გამოცემას, თუმცა პრესაში აღინიშნა რამდენიმე ნაკლოვანებაც. მაგალითად, „კვალი“ (1894, №33, გვ. 15) აღნიშნავდა: მიუხედავად იმისა, რომ „წიგნი სუფთად და უკლისად არის გამოცემული, არც ფასია ძვირი - ერთი მანეთი - ასეთი შესანიშნავი თხზულებისათვის...ჩვენდა სამწუხაროდ ავტორის მართლ-წერა და თითქმის გრამატიკული ფორმები ზოგიერთ ლექსის შეცვლილია“... ეს საყვედური ძირითადად დაბ-



ალი კვალიფიკაციის კორექტორებისადმი, რომლებიც თავის „მოვალეობად ჰხდის ძველ მწერალს თავისი გრამატიკა თავზე მოახვიოს“.

ამ ხარვეზების მიუხედავად, „მოამბის“ (1894, №11, გვ. 111-113) რეცენზენტი ქართული კულტურისათვის დიდ შენაძენად თვლის „დავითიანის“ მესამე გამოცემას. ზ. ჭიჭინაძეს კი გონივრულ გადაწყვეტილებად უთვლის პირველ და მეორე გამოცემებში დაბეჭდილი გ. წერეთლისა და პ. უმიკაშვილის წერილების ჩართვას.

XX საუკუნეში ქართველი საზოგადოება დავით გურამიშვილის გამოცემებს დიდი მადლიერებით შეხვდა. პოეტი - დავით გურამიშვილი ქართულ კლასიკურ ლიტერატურას კაშკაშა ვარსკვლავად შეემატა.



## ზარული ლექსის გამომჯერება

(ერთი ლექსის ირგვლივ)

საბჭოთა კავშირში ე. წ. „მთავლიტი“ 1922 წელს დაარსდა და მისი მიზანი იყო ხელისუფლების იდეოლოგიის დაცვა ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში. ფაქტობრივად, ეს იყო საცენზურო დაწესებულება, რომელიც მკაცრად იცავდა იდეოლოგიურ საფუძვლებს და იბრძოდა მის მიმართ ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ. ამისათვის შექმნილი იყო მრავალრიცხოვანი შტატი, მიღებულ იქნა მრავალი საწესდებო კანონი და დებულება. მთავლიტის ნებართვის გარეშე არ შეიძლებოდა გამოცემულიყო რაიმე ბეჭდური პროდუქცია, ხოლო თუ რამე არსებობდა მანამდე, მკაცრ შემოწმებას ექვემდებარებოდა. ამდენად, ცენზურა იყო როგორც წინასწარი, ისე შემდგომი.

მთავლიტი სისტემატურად გამოსცემდა სიებს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომელი გამოცემა უნდა განადგურებულიყო ან ამოღებულიყო ხმარებიდან. ბიბლიოთეკები მოვალენი იყვნენ მიეწოდებინათ მთავლიტისთვის ანგარიში, როგორ შესრულდა მათი დავალებები.

მიუხედავად სასტიკი საცენზურო პოლიტიკისა, მწერლები მაინც ახერხებდნენ შეფარვით გამოეხატათ ცენზურისთვის მიუღებელი აზრები, რითაც საზოგადოების ერთგვარად გამოფხიზლებას უწყობდნენ ხელს.

1985 წელს გამომცემლობა „მერანმა“ გამოაქვეყნა ლექსების კრებული „პოეტის ათასი სიტყვის კონა“. ყოველი პოეტის ბეჭდური ლექსების წინ - თავისუფალ გვერდზე, მოთავსებული იყო ავტორის რომელიმე ლექსის ფაქსიმელური ასლი (ხელნაწერი), როგორც წიგნის გამაფორმებელი საშუალება. ამგვარად, პოეტ კოლაუ ნადირაძის ლექსებს წაემძღვარა მისი გამოუქვეყნებელი ლექსის ხელნაწერი - „25 თებერვალი - 1921 წელი“, რომელიც საქართველოს იძულებით გასაბჭოებასთან დაკავშირებულ მძიმე განცდებს გამოხატავს.

პირდაპირ წარმოუდგენელი იყო: სახელმწიფოს, რომელსაც ამდენი დაცვის მექანიზმი ჰქონდა, როგორ გაეპარა ამგვარი შინაარსის ლექსი? - სარედაქციო დამუშავება, პოლიგრაფიული ზედამხედველობა, მთავლიტი... ნაწარმოები რამდენიმე პასუხისმგებელი პირის ხელში გადადიოდა და ძნელი წარმოსადგენია, ვერავის შეენიშნა მისი „მიუღებლობა“.

ვრცელდებოდა ერთი ვარიანტი, რომ

თითქოს მთავლიტის წარმომადგენლებმა არ მიაქციეს ყურადღება ხელნაწერ მასალას, რაკი მიაჩნდათ, რომ ის უკვე გამოქვეყნებული, მაშასადამე, ადრევე ნებადართული იქნებოდა. სხვათა შორის, არც სხვა ლექსების მიმართ იქნებოდა ცენზურა დიდად ჩაძიებული, რაკი თვლიდა, რომ ეს ლექსები ასევე ადრე დაბეჭდილი რეპერტუარიდან იყო. ამგვარად, მოხდა ისე, რომ ცენზურას გაეპარა კოლაუ ნადირაძის ანტისახელმწიფოებრივი ხელნაწერი ლექსი. მაგრამ ისმის კითხვა: განა გამომცემლებსაც, რომლებმაც შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს კრებული, შეიძლებოდა არ შეენიშნათ იგი, როცა თავად აგროვებდნენ და არჩევდნენ საჭირო მასალას? რა თქმა უნდა, არა. ხმაც გაგრცვლდა: რედაქტორ - შემდგენლებმა კარგად იცოდნენ, ცენზურა ამას არ გაუშვებდა, მაგრამ იმედი ჰქონდათ, იგი ხელნაწერით წარმოდგენილ ილუსტრაციებს არ შეამოწმებდა და წიგნი ამ სახით გამოიცემოდა, თუმცა ისიც დანამდივლებით იცოდნენ, შემდეგ ამას რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ამგვარად მათ თავისი რისკის ფასად დაუშვეს ეს გამოცემა. ამას მოწმობს სწორედ მაშინდელი მთავარი რედაქტორის მამუკა წიკლაურის მოგონების ერთი ამონარიდი: „... გვწამდა, რომ საბჭოური ტოტალიტარიზმი დიდი ბოროტება იყო და იგი, ადრე თუ გვიან, თავისთავს ამოჭამდა. ამასთან ვიცოდით, რომ ვერც მე, როგორც გამომცემლობის მთავარი რედაქტორი და ვერც ის (იგულისხმება მარო აბრამია - ცნობილი ცენზორი. - შემდეგ), როგორც ცენზორი, რადიკალურად ვერ შევცვლიდით მსოფლიო ჭირად ქცეულ საბჭოურ „იდებს“. ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ შენიღბული ბრძოლა და შემოვლითი გზებით სიარული შეგვეძლო და განუწყვეტლივ განზრახ ჩაძინებული დარაჯის როლს ვთამაშობდით“...

რომ შეგნებულად და წინასწარ განზრახულად იქნა ეს „მავნე“ ლექსი ჩართული გამოცემაში იმითაც დასტურდება, რომ ის, მიუხედავად იმისა, რომ 1969 წლით არის დათარიღებული და თვით ავტორის მიერ გამოქვეყნებული არ ყოფილა, ხელნაწერთა არქივში იყო დაცული და მისი მოპოვება თავისთავად არ მოხდებოდა. ცხადია, იზრუნეს მის მოძებნასა და გამოცემაზე.

ამ ლექსის დაბეჭდვის იმედი კოლაუ ნადირაძეს არ ჰქონია. იგი თავის მეგობარს შალვა დემეტრაძეს აჩუქა, რომელიც ცნო-



ბილი გამომცემელი, ცისფერყანწელთა დიდი მეგობარი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ პირადი არქივი, ხსენებულ ლექსთან ერთად, ხელნაწერთა ინსტიტუტში მოხვედრილა. აქედან მოიპოვა მან გზა ხსენებული კრებული-საკენ უკვე სავსებით წინასწარგანზრახულად.

გამომცემელთა რისკი არ გამართლდა. ლექსმა დიდი რეზონანსი გამოიწვია, რაც არ შეიძლებოდა ხელისუფლების მიერ უყურადღებოდ დარჩენილიყო. 40 ათასიანი ტირაჟით გამოსული წიგნი იმავე დღეებში ამოიღეს მაღაზიების თაროებიდან, მაგრამ უკვე ხალხში მიმოფანტულ ეგზემპლარებს რაღას უზამდნენ და ეს წიგნი და ლექსი ხელი-

დან ხელში გადადიოდა, ბევრმა ზეპირადაც კი დაისწავლა. გამოიცა საქართველოს სსრ გამსახკომის ბრძანება, რომლის შედეგად გატარდა ადმინისტრაციული სადამსჯელო ღონისძიება: სამსახურიდან გაანთავისუფლეს გამომცემლობის მთავარი რედაქტორი მამუკა წიკლაური, რედაქტორი იზა ორჯონიკიძე, მხატვრული ლიტერატურის რედაქციის გამგე გრიგოლ ჯულუხიძე და მთავარი მხატვარი სპარტაკ ცინცაძე, ზომები იქნა გატარებული საცენზურო კომიტეტის მიმართაც.

ეს წიგნი ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და სასურველი იქნებოდა მისი სტერეოტიპული გამოცემა.

## 8. თაყნიაშვილი

### ა. ნაერთელის პოემა „ვორონცოვი“ და მეფის ცანზურა

პოემა „ვორონცოვი“ ა. წერეთელს ჩაფიქრებული ჰქონდა ჯერ კიდევ 1905 წელს; მაგრამ დიდხანს ვერ გადაწყვიტა მისი დაწერა „საჩოთირო“ საკითხზე. მომდევნო წლებში დრო და დრო მუშაობდა პოემაზე და პარიზში მყოფმა დაამთავრა 1909 წელს. პოემა ა. წერეთელმა თავის თხზულებათა მე-2 ტომში შეიტანა 1912 წელს. საცენზურო კომიტეტმა აკრძალა მთლიანი ტომი ამ პოემის გამო. ტომიდან ამოჭრეს პოემა „მისი ზედმეტად პატრიოტული პათოსის გამო“. რაში გამოიხატებოდა პოემის




პატრიოტული სულისკვეთება, რის გამოც აიკრძალა იგი; საჭიროა მოკლედ გავაცნოთ პოემის შინაარსს; პოემის მოქმედი პირები არიან მე-19 საუკუნის 40-50-იანი წლების ქართველი

ინტელიგენციის წარმომადგენლები: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, დიმიტრი ყიფიანი, ნ. ბარათაშვილი, მ. ვორონცოვი. პოემის სიუჟეტი აგებულია დიალოგის ფორმით. პოემის შესავალში ბაასობენ ვახტანგ ორბელიანი და მისი ძმა ალექსანდრე; ალექსანდრე შენატრის ძველ დროს, როდესაც ჩვენ ვიყავით ჩვენი თავის უფროსნი; ქართველებს გვყავდა სამღვდელოებაც და კათალიკოსიც; როდესაც ყველგან ისმოდა „წირვა-ლოცვა ქართულად“. ალექსანდრე გაცხებულია იმით, რომ სიონის ტაძარში შესულს, არავინ დახვდა ნინოობა დღეს, იქმხოლოდ ეგ ზარხოსი სწირავდა „სლავიანურად“ და მლოცველებს არა ესმოდათ რა. ალექსანდრეს ვერ წარმოედგინა ურწმუნო ქართველი. იყო დრო, როდესაც მარტოდმარტო ქართველს უხდებოდა თავის დაცვა; ვახტანგ ორბელიანი ამაზე პასუხობს, რომ მას შემდეგ საქართველოს გამოუჩნდა ჩრდილოეთიდან ერთმორწმუნე რუსეთი; მისმა მთავრობამ მოგვიხიბლა ტკბილი სიტყვით: „იქაური მთავრობა მოქმედებს როგორც მელა“. რუსეთმა უპატრონო ქვეყანა ჩაიგდო სახრავად, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითია, საჭიროა მოთმინება; ალექსანდრე აღელვებულია იმის გამო, რომ მოთმინებასაც საზღვარი აქვს; ვახტანგ ორბელიანი ამ ეპიზოდში უფრო ღმერთს არის მინდობილი და იმედი აქვს, რომ ღმერთი არ გასწირავს მარიამ ღთისმშობლის წილხვედრილ ქვეყანას; საჭიროა „ციური მოციქული“, რომ გულგატეხილ ქართველს იმედი ჩაესახოს. აქვე ალექსანდრე იხსენებს ტატო ბარათაშვილს და მას ახასიათებს როგორც „ცრუპენტელა მეჭორეს“. ის საქმით არა არის ქართული გულისა; ნ. ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს ახასიათებს როგორც რუსეთის იმედად დარჩენილს. ვახტანგი ცდილობს დაიცვას ნ. ბარათაშვილი



– „ის ხალხის შვილია, დარჩენილი სულით  
ობლად“, მაგრამ ის მალე „დადარბაისლდება“. ალექსანდრე არ იზიარებს ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ ტატო მეფის სამსახურშია: „იგი განჯაშია ჩამჯდარი და ახლოს არავის ეკარება“. ამ დროს მოულოდნელად საუბარში ერთვება თვითონ ნ. ბარათაშვილი. იგი გულ-გატეხილია საკუთარი ცხოვრების პირობების



გამო; ამას ემატება ქვეყნის უკუღმართ დროში ცხოვრება, როდესაც „ეროვნული ღირსება ყველა შელახულია, ძველი წეს-წყობილება „ელვასავით იცვლის ფერს“. ნ. ბარათაშვილის ასეთი მოსაზრებების გამო კმაყოფილებას გამოთქვამს ალექსანდრე ორბელიანი. ტატო ბარათაშვილი აქვე დასძენს, რომ იგი თბილისში დაიბარა დიმიტრი ყიფიანმა, რათა შეხვედნენ ახალ მთავარმმართველს, მ. ვორონცოვს, რათა მისი გული მოიგონ და საქვეყნო საქმეები აკეთონ. ნ. ბარათაშვილი დიმიტრი ყიფიანს ახასიათებს როგორც „გამოცდილ ქართველს, შორსმჭვრეტელსა და ჭკვიანს. ამ სცენის მომსწრე ალექსანდრე ორბელიანს ეცვლება შეხედულება ნ. ბარათაშვილზე და სწამს, რომ ქართლი აღორძინდება. შემდეგ პოემაში ა. წერეთელი ადგილს უთმობს დიმიტრი ყიფიანისა და ნ. ბარათაშვილის საუბარს; სამშობლოს ბედით დამწუხრებული დიმიტრი ყიფიანი დიდ იმედებს ამყარებს მ. ვორონცოვზე, რომელიც ადრე ყირიმს მართავდა; იგი ახლოს იცნობდა საქართველოს და მისგან მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ბევრ სასიკეთო საქმეს მოელის. დიმიტრი ყიფიანს სჯერა, რომ „მოხუცი და ჭაღარა“ ვორონცოვი „დასნეულე-ბულ საქართველოს ნელ-ნელა განკურნავს“. ნ. ბარათაშვილი ემხრობა დიმიტრის მოსაზრებას და დასძენს, რომ ჩვენ ძალით ვერაფერს გავხედებით, თუ „გრაფი ქართველებში ჩანერგავს „წრფელ სიყვარულს“. საქვეყნო საკითხებზე ნ. ბარათაშვილს აინტერესებს გრიგოლ ორბელიანისა და პლატონ იოსელიანის მოსაზრებები მ. ვორონცოვთან შეხვედრის შესახებ. აქვე იხსენებენ გ. ერისთავის კომედიას „გაყრა“, რომელიც ერთობ მოსწონებია მ. ვორონ-

ცოვს.

პოემაში ასეთი დიალოგის შემდეგ ჩნდება გრაფი ვორონცოვი, რომელიც დაფიქრებული კითხულობს „მე რომ მინახავს ქართველი, ის აღარ არის“, ნეტავი რამ გამოცვალა მისი ამაყი „შეუპოვრობის გამომხატველი სახე; გმირი ქართველი რამ აქცია ნაცარქექიად; მსურს გავიგო მიზეზი ასეთი მათი დავრდომილობისა და დაჩაჩანაკებისა“. ამ დროს ვორონცოვთან შემოდის დიმიტრი ყიფიანი. ვორონცოვი ეკითხება დიმიტრის: „ერთ დროს განთქმული ქართველები რად არის დღეს ასე გამოცვლილი“. დიმიტრი ყიფიანი პასუხობს, რომ იგი არ აპირებს ტყუილის თქმას ამ თემაზე და მოახსენებს მხოლოდ სიმართლეს: „დღეს საქართველომ მოტყუებულმა რუსეთის ხელში სული დალია“. ვორონცოვი ყურს უგდებს დიმიტრი ყიფიანს და სთხოვს, ახსნას, თუ რატომაა მოტყუებული ქართველი ერი რუსეთის ხელში. დიმიტრი მოკლედ უამბობს ვორონცოვს ქართველი ხალხის მიერ გადატანილ ბრძოლებზე ძლიერი სახელმწიფოების წინააღმდეგ; იბრძოდნენ მამულისა და რწმენის შესანარჩუნებლად. ასეთი ბრძოლებით გადარჩენილი ქართველი ერი, მისი მიწაწყლით ჩაბარდა „გოლიათ რუსეთს“. ვორონცოვი ამაზე პასუხობს, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი გზა და გადაწყვეტილება, რომ მასზე იყო დამოკიდებული თქვენი ხვალისდელი ბედნიერება. ამაზე დიმიტრი პასუხობს: „ჩვენთვის დღეს არ არის ბედნიერება, რუსეთის მოქმედებამ „სული ჩაგვიკლა“ და შევიქენით მორჩილი მონა“. ვორონცოვი ამაზე პასუხობს, რომ რუსეთს თქვენს დასაპყრობად ძალა არ გამოუყენებია, თქვენ თხოულობდით მფარველობას და ეს თხოვნა რუსეთმა შეიწყალა. დიმიტრი ყიფიანი ამაზე პასუხობს: „ჩვენ გაგიღეთ კარი, და როგორც კი ფეხი მოიკიდეთ ჩვენზედ ძალა გამოიყენეთ“. ადგილობრივი თვითმმართველობა უხეშად ერეოდა ქართველების საშინაო საქმეებში, ჩვენ, აღნიშნავს დიმიტრი ყიფიანი, „ღმერთზედა დაგვრჩა მხოლოდ იმედი“. ჩვენ გვსურს, რომ შეგვრჩეს ეროვნული და „რუსი ვიყოთ მხოლოდ პოლიტიკურად“, ისე, როგორც იყო ძველად, არ შევეხოთ არც რწმენას, არც ენას; ვორონცოვი პასუხობს დიმიტრის, რომ იგი ქართველებს მიაწვდის სულის საზრდოს, რომ ქართველებში შემოიტანს „მაღალ სწავლასა და განათლებას“. დიმიტრი აღტაცებულია ვორონცოვის მოსაზრებით – „კურთხეულ იყოს თქვენი განზრახვა“. შემდეგში მარტოდ დარჩენილი ვორონცოვი ფიქრობს: „ხალხი, რომელმაც მსოფლიოს მისცა შოთა რუსთაველი, რატომ უნდა იყოს ასეთ მდგომარეობაში. ამ ხალხს ქრისტეს რჯულისათვის შეუღევია ძალ-ღონე, ასეთი ერის გაქრობა არის „შემოქმედის შეურაცხყოფა“. ქართველები, ვორონცოვის აზრით, თავიანთი



გარეგნობითა და მაღალი გონებით დაამშვენებენ რუსეთის გვირგვინს“. ვორონცოვს სწამს, რომ მის შემდეგ სხვა მთავარმმართველის ხელში ცეცხლისა და მახვილის ადგილს დაიჭერს სწავლა და განათლება.

პოემა მთავრდება პოეტის მიერ ნანახი სიზმრის ახსნით, ნახევარი საუკუნის შემდეგ პოეტს ეცხადება ვორონცოვის სული. პოეტი ნანობს, რომ ქართველის გული ისე აღარ ძგერს, როგორც ვორონცოვის დროს ძგერდა. ეს იმიტომ, რომ ვორონცოვის შემდეგ ქართველებს „ძალმომრეობის დააწვა ძალა“. ისინი ცდილობდნენ ძალმომრეობით გაარუსონ ქართველები, ყველა სასწავლებელში მოსპობილია ქართული ენა, ხალხმა დაკარგა სარწმუნოება, არ არის სიმშვიდე, სამღვდლოება რუსის ხელშია. მგოსანს ჩაენმის ზეციური სიტყვა: „ვიდრე ქართველი დაუდევრობით, თვით არ შეიცვლის თავის ბუნებას“, მას ვერავითარი მტერი ვერ მოერევა. მგოსანი პასუხობს ზეციურ სიტყვას, რომ ქართველმა ხელი აიღო სარწმუნოებაზე, მას ძალით დააკარგვინეს ენაც და მამულიც. ვორონცოვის აჩრდილი ანუგეშებს პოეტს: „ქართველმა იმედი არ უნდა დაკარგოს, რუსი მათ გამოაბრუნებს რუსეთისაკენ. გამოღვიძებული მგოსანი გაკვირვებული ფიქრობს, რომ ვორონცოვის სულმა, როგორც მოციქულმა, ქართველებს ახადა დღევანდელი შავი პირბადე და სამი სიტყვა, სამი მცნება გადმოსცა იმედად: „ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

ასეთია პოემის შინაარსი და დედააზრი; იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის მოსაზრებები და შეხედულებები მამულზე, ენასა და სარწმუნოებაზე. პოემის ცალკეული ადგილები ნათლად ცხადყოფენ მწერლის მოსაზრებებს ქართველთა უმწეო მდგომარეობის შესახებ რუსეთის ხელში. ეს მოსაზრებები და ღრმად პატრიოტული სულისკვეთება ყველაზე ნათლად იგრძნობა დიმიტრი ყიფიანის აზრებში. იგი პირდაპირ საყვედურობს ვორონცოვს, რომ მისმა მმართველობამ ქართველებს მამულთან ერთად რწმენა, მშობლიური ენა დააკარგვინა, ჩაახშო ეროვნული სულისკვეთება.

როგორც აღვნიშნეთ, საცენზურო კომიტეტმა აკრძალა ა. წერეთლის თხზულებათა მე-2 ტომი, რომელშიც გამოქვეყნდა პოემა „ვორონცოვი“. თბილისის ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტმა სასწრაფოდ გაგზავნა დეპეშა ქუთაისის პოლიცემისტერის სახელზე, რომელშიც ის თხოულობდა, არ დაებეჭდათ მეორე ტომი. ქუთაისში დროულად ვერ გაარკვიეს მიზეზი, თუ რატომ არ უნდა დაბეჭდილიყო მე-2 ტომი. რა იყო პოემა „ვორონცოვი“ ისეთი ეპიზოდები, რომლებიც საფუძველი გახდებოდა ტომის აკრძალვისა. გადაწყდა, პოემა ეთარგმნათ რუსულ ენაზე და დაწვრილებით გაერ-

ჩიათ მისი შინაარსი. თარგმნით დადასტურდა პოემის ამოღების აუცილებლობა, თბილისის ოლქის სასამართლომ ხელახლა მისწერა ქუთაისის პოლიცემისტერს, სადაც იგი ამტკიცებდა, რომ პოემა „ვორონცოვი“ იძლევა ცალბ და ყურმოკრულ ცნობებს კავკასიაში რუსეთის მიერ გატარებული პოლიტიკის შესახებ, თითქოს რუსეთი ატყუებს საქართველოს და მოსახლეობას უნერგავს სიძულვილს რუსეთის მიმართ. საცენზურო კომიტეტი სთხოვდა ქუთაისის საგამომცემლო კომიტეტს, არ გავრცელებულიყო მე-2 ტომი, უკვე დაბეჭდილი, ვიდრე არ ამოიჭრებოდა პოემის ტექსტი. მე-2 ტომი გამოიცა 1913 წელს. ამოჭრილი პოემის სანაცვლოდ აკაკიმ შეიტანა ახალი ნაწარმოებები: „საქართველოს დღევანდელი დღე“, „გამზრდელი“, „თამარ მეფე“, „დავითის გვირგვინი“, „ფული“ და სხვ. ნაწარმოებები. საცენზურო კომიტეტი დაკმაყოფილდა პოემის ამოჭრით და გამომცემლობა პასუხისგებაში არ მიუცია. ამ ამბის მომსწრე ზოგის გადმოცემით, თითქოს ტომი მთლიანად დაწვეს. ბოლოს გამოირკვა, რომ მე-2 ტომი პირვანდელი სახით, სადაც პოემა „ვორონცოვი“ იყო შეტანილი, გადანახული ჰქონდა საცენზურო კომიტეტის ერთ-ერთ თანამშრომელს.

თემატური თვალსაზრისით, აკაკი წერეთელი ამ პოემაში აგრძელებს პატრიოტული პოეზიის ხაზს. პოემაში იგი ცდილობს ჩამოაყალიბოს საკუთარი ეროვნულ-პატრიოტული მრწამსი. პოემის მხატვრული დონისა და ღირებულების შესახებ თვითონ აკაკი წერს ი. გოგებაშვილს: „დავამთავრე პოემა „ვორონცოვი“ და შევატყვევ, რომ ძალიან შორს ჩავგორებულვარ თავდაღმართში“.

პოემა „ვორონცოვი“ პირვანდელი სახით, კომენტარებითა და შენიშვნებით გამოაქვეყნა ი. გრიშაშვილმა (მნათობი, 1935, №1). ამის შემდეგ პოემა დაიბეჭდა აკაკის თხზულებათა თხზომეტრომეულის მე-6 ტომში (თბ., 1956).

#### ლიტერატურა:

1. ქოს-სამკითხველოებიდან და ყველა ტიპის მასიურ, საოლქო, სამაზრო და რაიონული ბიბლიოთეკებიდან გასაწმენდ წიგნების სია.-თბ., 1930.-115 გვ.;
2. თანამგზავრი პოლიტგანათლების მუშაკისა.-თბ., 1924.- 15 გვ.;
3. ხურცილავა ს. ქართული საზოგადოებრივი აზრი და მეფის ცენზურა.-თბ., 1980.-182 გვ.;
4. ასათიანი ლ. ცხოვრება აკაკი წერეთლისა.-თბ., 1958.- 502 გვ.



## გულნარა სტურუა

### წიგნი სულ სხვა საუნჯეა!..

ქართველი ხალხი ნამდვილად წიგნიერი ხალხი ვართ და ამით სამარლიანად ვამაყოფთ. ჩვენს ერთგულებას წიგნისადმი, როგორც ისტორიული წარსული, ასევე თანამედროვეობაც ადასტურებს. ამის მაგალითია მკითხველთა აქტიურობით გამორჩეული ბიბლიოთეკების კვირეულები და თუნდაც ახლახან ჩატარებული წიგნის საერთაშორისო მეჩვიდმეტე ფესტივალი, სადაც მრავალდარგოვანი და მრავალფეროვანი წიგნების გამოფენებით, მათი შექმნის მსურველთა რაოდენობითა და აქტიურობით თავს იწონებდნენ გამომცემლები, ასოციაციები, ბიბლიოთეკები და სხვადასხვა ორგანიზაციები. მაგრამ ის, რაც ახლა მინდა მოგიყვებო, არა მგონია წიგნიერი ხალხის სასარგებლოდ მეტყველებდეს. მაპატიეთ, რომ ცოტა შორიდან მომიწევს დაწება...

საბჭოთა კავშირის შექმნის იდეის ავტორმა და ამ იდეის თითქმის შემოქმედმა, ჩემი ბავშვობის დროის ეგრეთ წოდებულმა ძია ლენინმა, უამრავ „დიად საქმეს“ შორის, იმ დროისათვის ერთი ( შეიძლება სხვა ბევრიც) მართლაც რომ შესანიშნავი და ხალხის კითხვის კულტურის დანერგვის, განათლების, ცოდნის ამადლების მიზნით მნიშვნელოვანი და დაუვიწყარი საქმე გააკეთა, გამოსცა დეკრეტი ბიბლიოთეკების შექმნისა, მოვლისა და გამდიდრების შესახებ. მართალია, „დიდი ბელადი“ არ იყო მთლად გულუბრყვილო, იცოდა, ვისთვის და რისთვის ნერგავდა საბიბლიოთეკო საქმეს ქვეყანაში, იცოდა კომუნისტური იდეოლოგიის საძირკველის გასამაგრებლად რომ იღვწოდა. მაგრამ, ბიბლიოთეკარებმაც იცოდნენ თავიანთი საქმე, მკითხველებთან მუშაობა... აუცილებელ, პარტიულ ლიტერატურასთან ერთად ბიბლიოთეკა თანდათან ივსებოდა და მდიდრდებოდა მსოფლიოს კლასიკოს მწერალთა ტომეულებით, მასობრივი, მხატვრული თუ მეცნიერული ლიტერატურის ნიმუშებით. კომუნისტურ პარტიას თავისი არსებობის მანძილზე არც ერთხელ არ უღალატნია ლენინის დამოკიდებულებისათვის ბიბლიოთეკების მიმართ და მთელი ჩვენი „დიდი სამშობლოს“- საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დღითიდღე იზრდებოდა საბიბლიოთეკო ქსელი.

უკვე, გასული საუკუნის 80 იან წლებში, საქართველოში სოფელი არ იყო დარჩენილი უბიბლიოთეკოდ. როგორ მიმდინარეობდა ამ ბიბლიოთეკებში მუშაობა, რამდენად მართე-

ბული იყო ყოველ სამ კილომეტრში არსებულ დასახლებას ბიბლიოთეკა ჰქონოდა, როგორი იყო მომსახურე პერსონალთა ხელფასით უზრუნველყოფა და რა მოტივაცია ჰქონდა ამ პერსონალს მკითხველთან სათანადო და ერთგული მუშაობისათვის- ეს საკითხებიც ყურადსაღებია, მაგრამ ახლა ჩვენ ერთ მთავარ საკითხზე ვსაუბრობთ. იყო თუ არა ბიბლიოთეკა საჭირო და აუცილებელი ყველგან და განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც სხვა მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულება არ არსებობდა? დიახ, რომ იყო! ვის შეუძლია უარყოს ეს აზრი. და თუ ეს ასეა, მაშ, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ევროპიზაციისა და დემოკრატიის გზაზე შემდგარმა ჩვენმა მთავრობამ რატომ დახურა და შეავიწროვა ბიბლიოთეკები ( არა მხოლოდ ბიბლიოთეკები, სკოლებიც!) განსაკუთრებით მიყრუებულ ანუ ცენტრისაგან მოშორებულ ადგილებში? სწორედ ასეთ ადგილებშია საჭირო ბიბლიოთეკა, მისი მოვლა, ხელშეწყობა და წიგნებით უზრუნველყოფა. პირადად ვარ მომსწრე იმისა, თუ როგორ ახარებდა სოფელს ბიბლიოთეკის არსებობა, მისი აქტიურობა, ღონისძიებების მოწყობა, ბიბლიოთეკარის მიერ სამუშაო ველზე გლეხებისათვის თუ მუშებისათვის ახალი ინფორმაციებით აღჭურვილი ბიბლიოთეკარის მისვლა...


ზოგადად, ბიბლიოთეკა ის ადგილია, სადაც მკითხველის წიგნით უზრუნველყოფასთან ერთად, ხდება მისი ინტერესების შესწავლა, საინფორმაციო წყაროების გათვითცნობიერება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ხელშეწყობა პროფესიული ცოდნის ამადლებაში, სწორედ ამ მიზნით ეწყობა არა მარტო შეხვედრები მწერლებთან, ხელოვნების მუშაკებთან, მეცნიერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან... აქვე არსდება ახალგაზრდა შემოქმედთა წრეები, კლუბები, ხდება ახალი წიგნების გარჩევა, დისკუსიები, საუბრები ახალი ინფორმაციებისა და მოვლენების ირგვლივ. ამ ღონისძიებებში აქტიურად არის ჩართული ნებისმიერი მკითხველი, მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა. და ყოველივე ეს განა ცოტაა საქართველოს, გნებავთ ადრინდელი და გნებავთ დღევანდელი სოფლის მოსახლეობისათვის? არ არსებობს სოფლის ბიბლიოთეკა, რომელსაც თავისი საინტერესო ღონისძიებებისა და მხატვრული მოღვაწეობის მდიდარი ისტორია არ ჰქონდეს.



და რამდენად გულსატკეპია, რომ დღეისათვის იმათგან ნახევარზე მეტი არ არსებობს და კიდევ უფრო გულსატკეპია მათი არსებობის შეწყვეტა რომ დამოუკიდებელი საქართველოს დაბადებას უკავშირდება, სწორედ იმ დროს, როდესაც კულტურისა და განათლების მუშაკები, ათასეულობით მკითხველთან ერთად გარდაქმნას, აღორძინებასა და თანამედროვე ტექნოლოგიებით გამდიდრებას ელოდა, ამ დროს ბიბლიოთეკების შევიწროება და აღგვა „მიწისაგან პირისა“ არა მარტო სოფლებში, არამედ

ერთ კულტურის მუშაკს დავესესხები და ვიტყვი, რომ „თუ განათლებისა და ბიბლიოთეკათა დაარსებისადმი მისწრაფება მძლავრია, „ხალხურია“ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით?..“ ხალხის ამ მისწრაფებას გაძლოდა უნდაო, წუხს ის (საუკუნის წინანდელი მუშაკი), რადგანაც იცის, რომ საბიბლიოთეკო ქსელის შექმნა წარმატებულად გაართმევს თავს ხალხის განათლებას და ცოდნით გამდიდრებას.

რადაც კომპიურ სიტუაციაში აღმოჩნდით მეც და ჩვენი კულტურის დარგის მესვეურებიც:



ქალაქებშიც „წარმატებით“ ხორციელდება. მათი სათავსოების ხარჯზე ბევრგან მუნიციპალიტეტის დაწესებულებები აღმოცენდნენ და გაფართოვდნენ. კარგი, გადმოვხედოთ ყოველივე ამას მთავრობის თვალთ და შევიდეთ მის მდგომარეობაში. პატარა ქვეყნის პატარა ბიუჯეტს არ შეუძლია მომეტებული რაოდენობის ბიბლიოთეკების შენახვა. გასაგებია. მომეტებული არაფერი არ ვარგა და მომეტებულ რაოდენობას კულტურული თუ ნებისმიერი სხვა დაწესებულებისას ჩვენ კი არა, მატერიალურად ძლიერი სახელმწიფოებიც კი არ დაუშვებენ. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, მოსახლეობისთვის, ვეტერანებისთვის, პენსიონერებისთვის შეღავათებთან დაკავშირებით ახალი დოკუმენტაციების გაცემა გახდა საჭირო, დაინიშნა ახალი კადრი და ყოველივე ამან მოითხოვა სათავსო, ადგილი ხალხის მომსახურებისთვის, - ამის შემდეგ იქნებ მართლაც შეიძლება გავუგოთ ჩვენს მთავრობას და არ გავიკვიროთ მათი ნაბიჯები... მაგრამ, აქ უკვე ჩვენდა სამარცხვინოდ და სამწუხაროდ, ისევ ლენინის დროინდელ ერთ-

მეოცე საუკუნის დასაწყისში ვართ თუ რა ხდება. რატომ მიწევს ბიბლიოთეკების საჭიროებასა და აუცილებლობაზე საუბარი! დავუბრუნდეთ დღევანდელობას, თანამედროვე ბიბლიოთეკებზე ზრუნვას და ამ, ნამდვილად შეუცვლელი და უნიკალური დაწესებულებების გამდიდრებას ახალი ტექნოლოგიებით, საინფორმაციო წყაროებით და, რაც მთავარია, წიგნებით! სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად მერიამ გამონახოს ადგილი (შეიძლება თავად მერიამ, ვეებერთელა შენობა აქვთ, მრავალსართულიანი!) ამავე დროს კარგად გააცნობიერონ ბიბლიოთეკებისა და მათი მუშაკების ფრიად მნიშვნელოვანი როლი და დანიშნულება! ჩვენმა კულტურისა და განათლების სამინისტროებმა ისიც გამოიკვლიონ, რაში აინტერესებდა დღეისათვის საფრთხობელად წარმოდგენილ, უნიჭო და „ქვეყნის დამაქცევარ“ ლენინს ხალხის წიგნიერებისთვის, განათლებისთვის, მათი კულტურის განვითარებისთვის ზრუნვა? სასწაული! ნუთუ მართლა ხვდებოდა ის, რომ განათლებისა და ინტელექტუალური ადამიანე-



ბის გარეშე ვერ ააშენებდა ქვეყანას, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონოდა ელექტროსადგურები, ფაბრიკა-ქარხნები, წარმოებისთვის საჭირო ტექნოლოგიები და უამრავი სხვა რამ... და ყოველივე ამისთვის სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, საუკეთესო ლიტერატურით მდიდარი ბიბლიოთეკები იყო საჭირო. რა იცოდა, რომ ბიბლიოთეკა ყველაზე უნიკალური პროდუქტის მწარმოებელი, ინტელექტუალური რესურსების „გამომშვები ქარხანა“, უკაცრავად, ტაძარი იყო. იცოდა თურმე, რომ ყოველივე ამის გარეშე ვერ აშენდებოდა კონკურენტუნარიანი სახელმწიფო... ამ ცოდნას მეტ-ნაკლებად იზიარებდნენ ლენინის შემდგომი კომუნისტური მთავრობები. ყოველ შემთხვევაში, ისინი არ ანგრევდნენ და, ფიზიკურად მაინც, არც ავიწროებდნენ ბიბლიოთეკებს.

ამ რამდენიმე ხნის წინ „ლიტერატურულ საქართველოში“ წაკითხე ავსტრიელი მწერლის სტეფან ცვაიგის საოცარი ესე - „წიგნი - სამყაროს კარიბჭე“, შესანიშნავი თარგმანი ნანი ახობაძისა. ამ მხატვრული ნაწარმოების სათაურიდანვე ჩანს მწერლის დამოკიდებულება წიგნისადმი. მაგრამ წაკითხულმა მოლოდინს გადააჭარბა. ეს ესე აუცილებლად უნდა წაკითხოთ, თუ გნებავთ გაიგოთ და იგრძნოთ, როგორი სულიერი მღელვარება და გაკვირვება გამოიწვია დიდი მწერლის შეხვედრამ უწიგნურ ახალგაზრდასთან. „ვერ შევძელი შემეღწია ასეთი ადამიანის ტვინში, ვერ შევძელი იმ ვეროპელის აზრთა წყობის ჩაწვდომა, რომელსაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ წაუკითხავს არც ერთი წიგნი. ვერ შევძელი ისე, როგორც ყრუ ვერ შეძლებს იგრძნოს მუსიკის ჯადოსნური ძალა მხოლოდ აღწერით“, ამბობს მწერალი, რომელსაც საკუთარი შინაგანი სამყარო ვერ მოუაზრებია წიგნის სასწაულებრივი თანამყოფობის გარეშე. კი, ცვაიგი მეოცე საუკუნის მწერალია, დღეს საუკუნეს კი არადა, ყოველ კვირას, ყოველ დღეს მოაქვს წარმოუდგენელი ტექნოლოგიური სიახლეები, ამიტომ იქნებ არც იყოს გასაკვირი ჩვენი ზედა ეშელონების წარმომადგენლებისაგან წიგნის სამყაროს - ბიბლიოთეკების შევიწროება. ალბათ ფიქრობენ, რომ წიგნმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები (ისე, როგორც ხის ბორბალმა გაიარა თავისი გასაველი გზა) და ახლა ცოდნის ღერძი თურმე წიგნი როდია, ახალი ტექნოლოგიები, კომპიუტერები და ხვალ კიდევ ვინ იცის რა ტექნიკა გვისაზრდოებს განათლებას, ცოდნას, ინტელექტს... ალბათ ამ ფიქრით და ამ მოსაზრებით მიადგნენ ჩვენს ბიბლიოთეკებს, ზოგან დახურეს, ზოგან სათავსოები ჩამოართვეს. საქართველოში თუ იყო, ვთქვათ, ათასი ბიბლიოთეკა, დღეს უკვე ნახევარიც არ არის. განსაკუთრებით რეგიონებში, სოფლის ბიბლიოთეკებს დაერივნენ. არც დედაქალაქს დაუყენეს ამ მხრივ კარგი დღე.

ერთ-ორ მაგალითს მოვიყვან. ფალიაშვილის ქუჩაზე, ორი საუკეთესო ბიბლიოთეკა იყო: საბავშვო და ზრდასრულთა. მართლაც სანიმუშო, მოამბავე ბიბლიოთეკარები მუშაობდნენ იქ. თუ გნებავთ, ვკითხოთ მოსახლეობას, როგორ დაფრთიანდნენ იმ უბნის ბავშვები, რა მშვენიერი დილა - საღამოები იმართებოდა იქ, როგორ იზრდებოდა და იფურჩქნებოდა პატარების გულში წიგნის სიყვარული... სად გაქრა, სად არის ნეტავ ეს ბიბლიოთეკა! საბავშვოს ვდარდობდით და რამდენიმე წლის წინ იქვე მდებარე მეორე ბიბლიოთეკაც შეავიწროეს, სამკითხველო დარბაზში, რომელიც მუდამ საესე იყო პრესის მოყვარული მკითხველებით, მერიის მუნიციპალიტეტი შეასახლეს. ასეთივე დღე გაუთენეს ქალაქში ცნობილ, საუკეთესო ლიტერატურით მდიდარ მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკას... ჩვენი ქალაქის ხელმძღვანელები, კულტურისა და განათლების მესვეურები, როგორც ჩანს, წიგნზე „ამრეზილები“ არიან. არც პრესა აინტერესებთ. ალბათ უპირატესობას ახალ ტექნოლოგიებს აძლევენ. მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ თანამედროვე ბიბლიოთეკა შეუცვლელ და უკვდავ წიგნებთან ერთად, უცილობლად კომპიუტერებსაც მოიზარებს და ყოველივე ისეთ საგანსა თუ ტექნიკას, რასაც ინფორმაციის გაცემა შეუძლია. მაგრამ ერთი რამ უნდა ვიცოდეთ: წიგნი სულ სხვა საუნჯეა! ისევ ცვაიგს მივუბრუნდები, რადგანაც როგორც ყველა დიდი კლასიკოსი, ისიც საუკუნეების მიღმა იყურება და თავისი ოქროს კალმით გვიმტკიცებს, რომ ვერავითარმა ტექნიკამ „ვერ შეძლო ისეთი ფეთქებადი ნივთიერების გამოგონება, რომელიც წიგნივით შეძრავდა მთელ სამყაროს. არ არსებობს ისეთი ფოლადი, ისეთი რკინა-ბეტონი, ნაბეჭდი ნიშნებით დაფარულ ქაღალდის პატარა დასტას რომ გადააჭარბებს მარადიულობით. ენერჯის არც ერთ წყაროს არ ძალუძს შექმნას ისეთი შუქი, ზოგჯერ სულ პატარა ტომიდან რომ ასხივებს. არც ელექტროდენს შეუძლია ფლობდეს ისეთ ძალას, რომელსაც ატარებს ბეჭდურ სიტყვაში ჩადებული ელექტრობა. უბერებელი და შეუმუსრავი, დროსთან მორკინალი, ყველაზე ტვეად და მრავალფეროვან ფორმაში, სიტყვაში კონცენტრირებული - აი, რა არის წიგნი: შეიძლება იგი უფრო ხოლმე ტექნიკას? განა წიგნის დახმარებით არ ხდება ტექნიკის სრულყოფა და გავრცელება?.. წიგნი არის ყოველგვარი ცოდნის ალფა და ომეგა, ყოველი მეცნიერების საწყისთა საწყისი... წიგნის სასწაულებრივი დახმარებით შენი საკუთარი თვალთახედვა ერწყმის უამრავი ადამიანის შინაგან მზერას და სიყვარულით შთაგონებული, ჭვრეტ სამყაროს და იჭრები სამყაროში ასჯერ უფრო სრულყოფილად და სიღრმისეულად.“ როგორ, არ დაუჯეროთ ცვაიგს?!




## ნიგნო სვედელიკა

### განსაკუთრებული ინკუნაბულა

ბეჭდური წიგნის განვითარების გრძელ გზაზე მრავალი გამორჩეული და ღირებულები გამოცემა შეიქმნა. მსოფლიოს პოლიგრაფიული ხელოვნების ფასეულ ნიმუშებს შორის შეიძლება გამოვყოთ განსაკუთრებული წიგნები. ისინი არამარტო თვითონ წარმოადგენენ შედევრებს, არამედ სხვა შესანიშნავი ქმნილებების შექმნის შთაგონების წყარონი ხდებიან. ერთ-ერთი ასეთი წიგნი – „Hypnerotomachia Poliphili“ 1499 წელს ვენეციაში გამოსცა ალდი პი მანუციმ (1447/50–1515). არაჩვეულებრივი შინაარსისა და უნიკალური გამოცე-

მორძინების ეპოქის კულტურაზე. მისი დიდი მოყვარული გახლდათ რომის პაპი ალექსანდრე VII (1599-1667). სწორად მან სთხოვა ცნობილ იტალიელ მოქანდაკეს – ჯოვანი ლორენცო ბერნინის - ამ ნაწარმოების თაყვანისცემის ნიშნად უძველესი ეგვიპტური ობელისკისათვის შეექმნა სპილოს ფორმის პოსტამენტი (როგორც წიგნშია აღწერილი). ძვ. წ. VI საუკუნეში შექმნილი წითელი გრანიტის სვეტი იმპერატორმა დომიციანემ ჩაიტანა ეგვიპტიდან რომში წმინდა ისიდას ტაძრის შესამკობლად. მოგვიანებით ობელისკი გაქრა. იგი 1665 წელს დომინიკანელმა ბერებმა აღმოაჩინეს ეკლესიის ეზოში. ლორენცო ბერნინის ესკიზითა და არქიტექტორ ერკოლე ფერატას ძალისხმევით სიბრძნის სიმბოლურ სვეტს შესაბამისი სიძლიერის საყრდენი შეუქმნეს სპილოს ქანდაკების სახით. 1667 წელს „მინერვას სპილო“ რომის ისტორიულ ცენტრში, წმინდა მინერვას მოედანზე აღმართეს.



ALDO MANUZIO  
FROM AN ENGRAVING AFTER A PAINTING BY GIOVAN BELLINO

სპილოს ქანდაკებაზე შემოდგმული ობელისკი ფორმითა და ალგორიული შინაარსით ულამაზეს კომპოზიციას ქმნის. მას ადგილობრივი მცხოვრებნი „il pulcin della Minerva“-ს უწოდებენ, რადგან სპილო ძალიან წააგავს გოჭს. მრავალი ტურისტი კი იზიარებს უცნაურ ტრადიციას და სპილოს ქანდაკებას კუდზე ხელით ეხება, რაც მათი აზრით, ბიზნესში წარმატების საწინდარს ნიშნავს.

მეთხუტმეტე საუკუნის მიწურულს გამოცემული ინკუნაბულა „Hypnerotomachia Poliphili“ ყურადღებას იპყრობდა მომდევნო საუკუნეებშიც. მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფრანგი რომანტიკოსი ჟან შარლ ემანუელ ნოდე, ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი კარლ გუსტავ იუნგი. ეს უნიკალური ქმნილება „ალდის სახლში“ შეიქმნა, რომელიც მანუციმ 1494 წელს დააარსა. სტამბისა და გამომცემლობის გამართვისათვის ალდის ფინანსური დახმარება საკუთარმა მოსწავლემ – კარპის პრინცმა – ალბერტომ გაუწია. 1495 წელს მანუციმ ჩამოაყალიბა „ახალი აკადემია“ ანუ „ალდის აკადემია“ (ინგლ. New Academy, იტალ. Accademia Aldina), რომელსაც ფილოლოგიურ აკადემიასაც უწოდებდნენ. ეს იყო ცნობილ მეცნიერთა და მწერართა სამეცნიერო წრე. ისინი ალდის ეხმარებოდნენ ბერძნულ და ლათინურ ხელნაწერებზე მუშაობისას.


მის წყალობით, წიგნმა გამორჩეული პოპულარობა მოიპოვა. მისი მეორე გამოცემა, იმავე გრაფიურებით, 1545 წელს ვენეციაში დაბეჭდა ალდის შვილმა – პაოლო მანუციმ. 1546 წელს ჟაკომო კერვერომ გამოაქვეყნა წიგნის ფრანგული გამოცემა. 1592 წელს დაიბეჭდა ნაწარმოების ინგლისური თარგმანი, რომელმაც თავისი არასრულყოფილების მიუხედავად, მაინც დიდი ყურადღება მოიპოვა. მრავალჯერ დაიბეჭდა როგორც თხზულების სხვადასხვა გამოცემა, ასევე მანუცისეული წიგნის ფაქსიმილური ასლებიც.

ნაწარმოებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა

ულამაზესი შრიფტის, ელევანტური ანაწილებისა და განსაკუთრებული პროპორციების



წყალობით, აღდი მანუციის საგამომცემლო სახლში გამოცემული წიგნები - აღდინები აღორძინების ეპოქის შედევრებადაა მიჩნეული. მანუციმ საგამომცემლო საქმეში შემოიტანა მრავალი სიახლე: შექმნა წიგნის დიზაინის მკაფიო სქემა, შემოიღო სიახლეები წიგნის დაყდავების საქმეში, ცნობილ პუანსონისტს ფრანჩესკო გრიფოსთან თანამშრომლობით შექმნა შრიფტი კურსივი, შემოიღო წიგნის ფურცლოვანი დანომრვა, შეიმუშავა პუნქტუაციის ნიშნები, პირველმა დაბეჭდა და ხმარებაში შემოიტანა „ჯიბის წიგნების“ სერია, ერთ-ერთმა პირველმა შემოიღო გამომცემლობაში კორექტორებისა და რედაქტორების შტატები, არაკეთილსინდისიერი მბეჭდავების მიერ აღდინების კოპირებისაგან დაცვის მიზნით, შექმნა საგამომცემლო მარკა, რომელსაც ხშირად



ერთვოდა დევიზი: „festina lente” - „ვიჩქაროთ ნელა“, წიგნებში ათავსებდა გამომცემლის მიმართვას მკითხველისადმი, სადაც დეტალურად აღწერდა, თუ როგორ უნდა განესხვაგვებინათ აღდინი მისი ყალბი ასლისაგან. სიცოცხლის მანძილზე მანუციმ ასორმოდდაათზე მეტი წიგნი გამოსცა. აღდის გარდაცვალების შემდეგ საგამომცემლო სახლს ჯერ მისი სიმამრი - ანდრეა ტორეზანო, შემდეგ კი შვილი - პაოლო მანუცი ხელმძღვანელობდნენ. 1574 წლიდან „აღდის შვილების“ სახელით ცნობილი საგამომცემლო სახლი მემკვიდრეობით გადაეცა პაოლოს შვილს - აღდი მანუცი უმცროსს. მისი სიკვდილის შემდეგ, 1597 წელს საგამომცემლო სახლი საბოლოოდ დაიხურა.

აღდი მანუციის საგამომცემლო სახლმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არა მხოლოდ იტალიური წიგნის, არამედ ზოგადად ბეჭდური წიგნის ხელოვნების განვითარების საქმეში. „აღდინებს“ შორის ყველაზე დიდ

პოპულარობა მოიხვეჭა იმ გამოცემამ, რომელსაც მისი შემქმნელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. „Hypnerotomachia Poliphili“ ფილოსოფიური იდეებითა და სიმბოლოებით დატვირთული მისტიკურ-სასიყვარულო რომანია.

გამოცემა იწყება ორი სატიტულე ფურცლით, რომლებზედაც წიგნის სათაური და მისი დაბეჭდვის თარიღია მოცემული. ავტორის სახელი არ არის მითითებული არც სატიტულო ფურცელზე და არც წიგნის ბოლოს. 1512 წელს იტალიის ერთ-ერთ მონასტერში აღმოჩნდა ამ გამოცემის ეგზემპლარი მინაწერით: „ამ წიგნის ნამდვილი ავტორი ფრანჩესკო კოლონაა. ის ვენეციელი იყო, სამონასტრო ორდენის წევრი. მას ძლიერ უყვარდა ტრევიზოელი იპოლიტი, რომელსაც შეუცვალა სახელი, შეარქვა პოლიი და მიუძღვნა წიგნი“. თუ აკროსტიხს ანუ ნაწარმოების თავების პირველ ასოებს წავიკითხავთ, მივიღებთ ფრაზას: „POLIAM FRATER FRANCISCVS COLVMNA PERAMAVIT“ - „პოლიის, ძმის ფრანჩესკო კოლონასაგან, სიყვარულით“ და იქვე: „ის დღემდე ცხოვრობს ვენეციაში წმინდა იოანესა და პავლეს მონასტერში“.

მკვლევართა ერთი ნაწილის მოსაზრებით, ეს ალეგორიული რომანი დაწერა ფრანჩესკო კოლონამ. იგი 1433 წელს დაიბადა ვენეციაში. განათლება მიიღო სახელგამთქმულ პადუას უნივერსიტეტში. ოცდაორი წლის ასაკში ფრანჩესკო დომინიკელ მონაზონთა ორდენის წევრი გახდა. იგი 1527 წელს გარდაიცვალა 94 წლის ასაკში. ვერსიას იმის შესახებ, რომ ნაწარმოების ავტორი სასულიერო პირი იყო, ადასტურებს დაშიფრული სიტყვაც „frater“, რაც ბერს ნიშნავს.

სხვა მკვლევართა მოსაზრებით, წიგნის ავტორი შეიძლება იყოს სხვა ფრანჩესკო კოლონა, გავლენიანი რომაული ოჯახის წარმომადგენელი. მან პალესტინაში აღადგინა საგვარეულო ეკლესია მისი მიმდებარე შენობანაგებობებით, რომელიც 1436 წელს რომაელთა ჯარებმა დაანგრეს.

ნაწარმოების ავტორის ვინაობის შესახებ განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა პეტერბურგელ მკვლევარს - ა. ი. ხომენტოვსკაიას. იგი ამ სასიყვარულო რომანის ავტორად მიიჩნევდა ფრონელ ჰუმანისტს ფელიჩე ფელიჩიანოს, რის შესახებაც მან 1936 წელს სტატია გამოაქვეყნა იტალიურ ჟურნალში.

ამ თხზულების გამოცემა აღდი მანუციის ლეონარდ გრასიმ დაუკვეთა. მდიდარ ვერონეს ჰერცოგ გვიდობალდისათვის სურდა წიგნის მირთმევა.

რომანში მრავლადაა ფილოსოფიური მოსაზრებანი, რომელთა საფუძველი ნეოპლატონიზმია. ყველაფრის ცენტრში ერესია - უნივერსალური ძალა, რომელიც გრძნობების, გამოცდილებისა და ცოდნის მეშვეობით



მართავს ურთიერთობებს ხალხსა და საგნებს შორის. შესაძლებელია ამიტომაც მაღალა ნაწარმოების ავტორი თავის სახელს, რათა ამ იდეების გამო ეკლესიას იგი ერესში არ დაედანაშაულებინა.

ნაწარმოების სიუჟეტი ხეების ჩრდილქვეშ მიძინებული პოლიფილის ფანტასტიურ სიზმრებში ვითარდება: ყმაწვილი მონუმენტურ ობელისკებს, თვალუწვდენელ პირამიდებსა და საიდუმლოებით მოცულ ციხე-სიმაგრეებს შორის დახეციალობს. უღრანი ტყეებისა და ანტიკური ქალაქის დანგრეული ქუჩებიდან იგი ბოლოს და ბოლოს დედოფლის ზღაპრულ სასახლეში ხვდება, სადაც ოქროსთმიან მზეთუნახავს – პოლიის იხილავს. ერთმანეთის სიყვარულით შეპყრობილი ახალგაზრდები ერთად განაგრძობენ მოგზაურობას. ისინი ოთხ ტრიუმფალურ პროცესიას გადაეყრებიან. საბოლოოდ კი შეყვარებულები ვენერას სასახლეში აღმოჩნდებიან, სადაც უცნაურ ცერემონიაში იღებენ მონაწილეობას. ექვს ნიმფას წყვილი კუპიდონის ეტლით ისინი კუნძულ ციტერაზე მიჰყავს, სადაც ახალგაზრდები ბედნიერებას ეზიარებიან. რომანის დასასრულს პოლიფილს ბუღბუღლის გალობა აღვიძებს, მისი მშვენიერი სატრფო კი სიზმარეთში რჩება. ნაწარმოები პოლიის ეპიტაფიით მთავრდება. წიგნის ბოლოს კი ასეთი მინიშნებაა: რომანი შექმნილია „ტრევიზოში, როცა პოლიფილი პოლიის სიყვარულით დაჭრილი იწვა... 1467 წლის მაისის პირველ დღეს“.

ნაწარმოები დაწერილია ლათინური და იტალიური ენების ნახავით, XV საუკუნის რომაულ დიალექტზე. მასში უხვადაა გამოყენებული ბერძნული და ებრაული სიტყვები და ფრაზები, ძველევგვიპტური იეროგლიფები, მრავალგვარი რებუსები. წიგნში უხვადაა მათემატიკური და გეომეტრიული შენიშვნები და არქიტექტურული გეგმები.

წიგნი 38 თავისაგან შედგება. ყოველი მათგანი ანოტაციით იწყება, რომელიც მთავრული შრიფტითა და ორნამენტული ინიციალებითაა აწყობილი. ტექსტი დაბეჭდილია ლამაზი ანტიკვითი, რომლის კეგელის ზომა 16 პუნქტირის ტოლია. გამოცემა მოიცავს 234 დაუნომრავ ფურცელს, თუმცა აქვს სიგნატურა ყოველი რვეულის პირველი ოთხი ფურცლის ქვედა მინდორზე.

აღდი მანუცის გამოცემები ხშირად გამოდიოდა ილუსტრაციების გარეშე. ეს სასიყვარულო რომანი გამონაკლისს წარმოადგენს. იგი ხეზე გრავიურების ტექნიკით შესრულებული 172 ილუსტრაციითაა შემკული. გამოსახულებები სწორკუთხა ჩარჩოშია ჩასმული. ზოგჯერ ისინი მთელ გვერდს იკავებენ, ზოგჯერ კი მხოლოდ ნახევარს. გრავიურები ხელითაა გაფერადებული, რაც დამახასიათებელია იმ-

დროინდელი გამოცემებისათვის. წიგნში მხატვრული გაფორმების ელემენტები დიდი ოსტატობითა და გემოვნებითაა შესრულებული. ისინი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთ მთლიანობას ქმნიან. განსაკუთრებულია ტრიუმფალური პროცესიების ამსახველი ილუსტრაციები. ყოველი პროცესიისთვის ორ-ორი ილუსტრაციაა, ერთი მარცხენა ფრთაზეა, მეორე – მარჯვენაზე. სიუჟეტი თითქოს გადადის ერთიდან მეორეში. ვინ იყო ამ არაჩვეულებრივი კომპოზიციების ავტორი, უცნობია. ზოგიერთი მათგანი აღნიშნულია ლათინური ასოთი – „b“. ხელოვნებათმცოდნეები ამ ილუსტრაციების ავტორად სხვადასხვა მხატვრებს მიიჩნევენ: ჯოვანი ბელინი (1430–1516), ანდრეა მანტენია (1431–1506), ვიტორ კარპაჩო (1455/65–1526) და სხვა.



გრავიურების ქვემოთ ტექსტი ორიგინალურადაა განთავსებული: პირველი 7–8 ბჭკარი მთელ ფორმატზეა განაწილებული, ბოლოს კი ტექსტი კალაფონით მთავრდება. წიგნში მრავლადაა ფიგურული ანაწყობების მაგალითები, განსაკუთრებით თავების დასასრულს. აქ გვხვდება: სამკუთხედები, რომბები, ლარნაკისა და ბაფთის ფორმები.

ამ წიგნისათვის, ისე როგორც აღდი მანუცის საგამომცემლო სახლის სხვა გამოცემებისათვის, არაჩვეულებრივი შრიფტი შექმნა ფრანჩესკო გრიფომ (დაახ. 1450–1518). მარტივი და ამავდროულად დახვეწილი შრიფტის, განუმეორებელი გრავიურებისა და გამორჩეული დიზაინის წყალობით წიგნი მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევრის შედევრად აღიარეს. წიგნის ისტორიკოსის, მ. ი. შელკუნოვის ცნობით, აღდიმ ამ გამოცემით თითქოს მეთხუთმეტე საუკუნის მთელი პოლიგრაფიური მიღწევები წარმოადგინა. მეცნიერთა აზრით, ამ გამოცემით წიგნის ბეჭდვის ხელოვნებაში ახალი ერა დაიწყო.



# მეთოდური სამსახური

## გურამ თაყნიაშვილი

### მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების მდგომარეობის შენახვა და ანალიზი (კონსულტაცია)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორგანიზებული საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება. ტერიტორიული პრინციპით აგებული ბიბლიოთეკების ქსელი განიხილება როგორც ბიბლიოთეკების ორგანული ერთიანობა, ჩამოყალიბებული ერთიანი იურიდიული საფუძვლებითა და მეთოდოლოგიით. საბიბლიოთეკო საქმის შესახებ საქართველოში მოქმედი კანონის საფუძველზე მუნიციპალიტეტების საბიბლიოთეკო გაერთიანებებს მართავს ადგილობრივი ხელისუფლება. მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ადგილობრივი საბიბლიოთეკო ქსელის მოწყობის დონეზე. ქსელის განთავსებისა და აგების ძირითადი პრინციპია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დასახლებული პუნქტების, წარმოება-დაწესებულებების საბიბლიოთეკო მომსახურების უზრუნველყოფა. არსებული მდგომარეობის შესწავლას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მთავარი (ცენტრალური) ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმძღვანელობს საბიბლიოთეკო ქსელს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თვითმმართველი ქალაქების სტატუსის ჩამოყალიბების შემდეგ, არსებითი ცვლილებები განხორციელდა საბიბლიოთეკო ქსელის მართვის თვალსაზრისით. ასეთი ქალაქების გამგებლობაში დაქვემდებარებული ბიბლიოთეკების ქსელი, ფაქტობრივად, ორ ნაწილად გაიყო. სოფლად მოქმედი ბიბლიოთეკებისათვის ცალკე შეიქმნა მთავარი (ცენტრალური) ბიბლიოთეკა, ხოლო ქალაქში არსებული მთავარი ბიბლიოთეკა დაქვემდებარა ქალაქის თვითმმართველობას. ქსელის ასეთი დაყოფა უარყოფითად არ უნდა აისახოს მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ხარისხზე. მთავარი საქალაქო ბიბლიოთეკა იმთავითვე ითვლებოდა რაიონის საბიბლიოთეკო სისტემის

მეთოდურ ცენტრად. ქსელის გაყოფის შემთხვევაშიც მას ასეთი ფუნქცია არ უნდა ჩამოერთვას. მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო ქსელი, მიუხედავად იმისა, რომ გაიყო მმართველობის კუთხით, როგორც აღვნიშნეთ, მაინც ინარჩუნებს ერთიანი სისტემის სახეს. მთავარი და თემებში მოქმედი ბიბლიოთეკებიც ერთ მიზანს ემსახურებიან. ამდენად, მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების მდგომარეობის შესასწავლად და საანალიზოდ ერთიან მონაცემებს უნდა მივმართოთ.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების მდგომარეობის შესწავლის მიზნით, საჭიროა დაზუსტდეს ქსელის მახასიათებლები: რამდენი დასახლებული სოფელია მუნიციპალიტეტში, მათში მცხოვრებთა რაოდენობის ჩვენებით; რამდენი ბიბლიოთეკაა მუნიციპალიტეტში; არის თუ არა ყველა დასახლებულ პუნქტში ბიბლიოთეკა; რამდენი სოფელია დარჩენილი საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე, მათში მცხოვრებთა რაოდენობის აღნიშვნით; როგორც ცნობილია, სოფლად ბიბლიოთეკების დიდი რაოდენობა დაიხურა უკანასკნელი 7-8 წლის განმავლობაში. ამჟამად ყველა სოფლის ბიბლიოთეკა დახურულია გორის, ქარელის, კასპის, ხაშურის მუნიციპალიტეტებში. სოფლად ბიბლიოთეკების მინიმალური რაოდენობა (3, 4, 6) დარჩენილია გარდაბნის, დმანისის, საგარეჯოს, თეთრიწყაროს, წაღკის, დუშეთის მუნიციპალიტეტებში. ასეთ მუნიციპალიტეტებში სოფლის მოსახლეობა, ფაქტობრივად, დარჩენილია საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე. საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის სტატისტიკურ მონაცემებს თუ გადავხედავთ, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ამ მხრივ შექმნილი შიდა და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში: გორის მუნიციპალიტეტში საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე დარჩენილია 54 სოფელი, ხაშურის-79, დმანისის-17, გარდაბნის-23, კასპისა და ქარელის მუნიცი-



პალიტექტებში გაუქმებულია ყველა სასოფლო ბიბლიოთეკა. ასეთივე მდგომარეობაა გარდაბნის, წალკის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში, სადაც დარჩენილია 5-6 სასოფლო ბიბლიოთეკა. ხაშურის მუნიციპალიტეტში საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე დარჩენილია 35 500 მცხოვრები, გორის მუნიციპალიტეტში 65 000, გარდაბნის მუნიციპალიტეტში 6 500; აქ დასახელებული და ზოგიერთი სხვა მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეტაპობრივად, თანდათანობით უნდა აღადგინოს გაუქმებული ბიბლიოთეკები; იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ძირითადად შენარჩუნებული იქნა საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი, ანალიზის პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების საკონტროლო მაჩვენებლებს: მოსახლეობის რაოდენობა, მათი ეროვნული შემადგენლობა, მოსახლეობის რაოდენობა ცალკეულ დასახლებულ პუნქტებში; ის სოფლები, რომლებშიც გაუქმებულია ბიბლიოთეკა, რა მანძილითაა დაშორებული უახლოესი საჯარო ბიბლიოთეკიდან.



მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ანალიზის პროცესში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საჯარო სკოლების რაოდენობა. ყველა მოქმედ საჯარო სკოლაში მოქმედებს ბიბლიოთეკა. იმ საჯარო სკოლებში, სადაც თავის დროზე შეიტანეს სასოფლო ბიბლიოთეკების ფონდები, სასკოლო კონტინგენტის საბიბლიოთეკო მომსახურება წარმოებს შეერთებული საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდებით. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საჯარო სკოლებში გადაცემული სასოფლო ბიბლიოთეკების ფონდები დღემდე ცალკე აწყვია შეკრული სახით; ცხადია, ასეთ მდგომარეობაში მნიშვნელოვნად ზიანდება წიგნები. იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც აღადგინეს გაუქმებული სასოფლო ბიბლიოთეკები (თიანეთი, ხარაგაული, წყალტუბო, მცხეთა და სხვ.) საჯარო სკოლებში დროებით გადაცემული წიგნობრივი ფონდები უკან დაი-

ბრუნა აღდგენილმა სასოფლო ბიბლიოთეკამ. ფონდების ორგანიზაციის თვალსაზრისით, შრომატევადი სამუშაოებია ჩასატარებელი იმ ბიბლიოთეკებში, სადაც თავის დროზე არ ჩამოიწერა მოძველებული საბიბლიოთეკო დოკუმენტები. ასეთი ფაქტები ძირითადად გვხვდება საჯარო ბიბლიოთეკებში; მომსახურების ანალიზის დროს ყურადღება უნდა მიექცეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ სხვა უწყების ბიბლიოთეკების მიერ მოსახლეობის მომსახურების საკითხებს. საკითხის შესწავლის პროცესში გარკვეული დონის გამოკვლევა უნდა ჩატარდეს. კერძოდ, საჯარო სკოლებში როგორ არის მომსახურების საკონტროლო მაჩვენებლები: მოსწავლეთა კითხვაში ჩაბმის მდგომარეობა, რამდენი მოსწავლე სარგებლობს სასოფლო, ან ცენტრალური ბიბლიოთეკების ფონდებით, რამდენი მოსწავლე სარგებლობს კომპიუტერული მომსახურებით, რა თემებზე აწარმოებენ ძიებას, როგორია ამ კუთხით უარყოფითი ხარისხობრივი მაჩვენებლები, გაცემული უარების რაოდენობა (თემატური, ფაქტოგრაფიული, სამისამართო და სხვ.). მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ანალიზის პროცესში მხედველობიდან არ უნდა გამოვრჩეს ის დასახლებული სოფლები, სადაც არც სკოლაა და არც ბიბლიოთეკა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ასეთი სოფლების რაოდენობა შეადგენს 8-ს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში-3, წალკის მუნიციპალიტეტში-5, ასპინძის მუნიციპალიტეტში-3. ასეთი მონაცემები შეიძლება ცალკე დავახასიათოთ ქვეყნის მასშტაბით.

ქალაქებსა და მუნიციპალიტეტების ცენტრებში მცხოვრებთა საბიბლიოთეკო მომ-





სახურების მდგომარეობის შესასწავლად ცენტრალური (მთავარი) ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა ცენტრში (ქალაქად) მოსახლეობის რაოდენობა, მათი ეროვნული შემადგენლობა, მოსახლეობის საბიბლიოთეკო კითხვაში ჩაბმის მდგომარეობა. ცენტრში მოქმედი სხვა საჯარო ბიბლიოთეკების რაოდენობა (საქალაქო, საბავშვო) სხვა უწყების ბიბლიოთეკების (უმაღლესი სასწავლებლების, პროფესიული განათლების, საჯარო სკოლების) რაოდენობა. აღნიშნულ ბიბლიოთეკებთან კოორდინაციული მუშაობის შედეგად უნდა შეიქმნას მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის საბიბლიოთეკო მომსახურების სურათი: ჩაბმის %, კითხვადობა, მოსახლეობის წიგნით უზრუნველყოფის მდგომარეობა. ამ პროცესში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების განახლების საკითხებზე. რამდენი პროცენტით გაიზარდა საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდები, რამდენი ახალი წიგნი შევიდა სასოფლო ბიბლიოთეკებში და რამდენი ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. მუნიციპალიტეტების ცენტრალურ ბიბლიოთეკებში ანალიზის პროცესში მოკლედ უნდა დავახასიათოთ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ინვალიდების, ომის მონაწილეების საბიბლიოთეკო მომსახურების მდგომარეობა, ანალიზის დასკვნით ნაწილში საჭიროა ყურადღება მიექცეს მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების უარყოფით ხარისხობრივ მაჩვენებლებს. რამდენი უარი გაიცა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში და რამდენი ქსელის მასშტაბით, რომელ წიგნებზე, რომელ თემებსა თუ საკითხებზე. ქსელის მახასიათებელი უარყოფითი ხარისხობრივი მაჩვენებლებიდან ყველაზე არსებითი და პირველ რიგში მოსაგვარებელი პრობლემათაგანია იმ დასახლებული ადგილების მოსახლეობის მომსახურება, სადაც გაუქმებულია ბიბლიოთეკები. ციფრობრივი მონაცემებით ვადგენთ ქსელში არსებულ ხარვეზებს, რაც პირდაპირ კავშირშია ადგილობრივი მოსახლეობის კონსტიტუციურ უფლებებთან. მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების შესწავლა და ანალიზის პროცესში ყოველმხრივ უნდა დავახასიათოთ ბიბლიოთეკების კომპიუტერული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფისა და მათი ხელმისაწვდომობის მდგომარეობა: რამდენი კომპიუტერია საბიბლიოთეკო ქსელში,

მათგან რამდენი სასოფლო ბიბლიოთეკებში; რამდენი კომპიუტერია ჩართული ინტერნეტში; რომელი კომპიუტერული პროგრამით დგება ელექტრონული კატალოგი; კომპიუტერებთან მკითხველთა ხელმისაწვდომობის მდგომარეობა, რა სახის ძიება წარმოებს; სარგებლობს თუ არა ადგილობრივი მკითხველი სხვა დიდი ფონდების მფლობელი ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებით, ციფრული ბიბლიოთეკებით და ა. შ.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ბიბლიოთეკების კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა მიმდინარეობს ეტაპობრივად საერთაშორისო ფონდებისა და საქართველოს პრეზიდენტის ფინანსური მხარდაჭერით. ბიბლიოთეკების ამოცანას შეადგენს, დახვეწონ საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდების სტრუქტურა, გაწმინდონ პასიური გამოცემებისაგან, სრულყოფნა საცნობო აპარატი და ამით შეამზადონ ნიადაგი ელექტრონული რესურსების დანერგვისა და განვითარებისათვის.

მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ამსახველი ციფრობრივი მონაცემები, რომლებიც გადმოეცემა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, ნათლად ახასიათებს ქვეყნის საბიბლიოთეკო ქსელის ფუნქციონირების მდგომარეობას, საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე დარჩენილი მოსახლეობის რაოდენობას. ადგილობრივი ხელისუფლების ამოცანას შეადგენს, უპირველეს ყოვლისა, აღადგინოს გაუქმებული ბიბლიოთეკები, როგორც ეს განხორციელდა საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში 2012 წლის შემდეგ. ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ, კულტურის გაერთიანებულ სამსახურთან ერთად, ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა წარუდგინოს ბიბლიოთეკების დასაბუთებული გეგმა. ადგილობრივ ხელისუფლებას კარგად უნდა ჰქონდეს გათვითცნობიერებული, რომ თანხები, რომლებიც გამოიყოფა ქსელის რეაბილიტაციისა და ბიბლიოთეკების განვითარებისათვის, იხარჯება მოსახლეობის აღზრდის, განათლების, ინფორმირებისა და მეცნიერული მუშაობის შემდგომი ზრდისათვის. განათლებული და ინფორმირებული მოქალაქის ჩამოყალიბების საქმეში უდიდესი წვლილი შეაქვთ საჯარო ბიბლიოთეკებს.



## მაია შონია

### ეროვნული ბიბლიოთეკის „კარი ციფრულ სამყაროში“

ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის შიგა ეზოში დასასვენებლად გასულ ბიბლიოთეკის მკითხველს, თანამშრომელს თუ სტუმარს ეზოში ელოდება სიახლე მომსახურებაში - პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც „კარი ციფრულ სამყაროში“. ეზოში დამონტაჟებულ, მუსიკალური ფირფიტებით გაწყობილ სიმბოლურ კარზე დატანებული QR კოდები ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ სამყაროში შესასვლელი „კარის გასაღებებია“. კოდები ბიბლიოთეკის სანოტო და აუდიოვიზუალური გამოცემებით მომსახურების განყოფილების ფონდში დაცული და უკვე გაციფრებული კოლექციის „კარებს გვიღებენ“.

სპეციალურ მოწყობილობაზე, რომელსაც მობილური აუდიოვიზუალური ეწოდება, დატანებულია MP3 ფორმატის აუდიომასალის - სიმღერების, ხმოვანი წიგნების, მათ შორის მოთხრობების, ზღაპრების, სპექტაკლებიდან ნაწყვეტების (მაგალითად, ეროსი მანჯგალაძე - ნაწყვეტი სპექტაკლიდან „ხანუმა“) ჩანაწერთა ორგანოზომილებიანი შტრიხკოდები, ე.წ. QR კოდები. ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის (გუდიაშვილის 7) შიგა ეზოში შემოსულ ნებისმიერ მსურველს, რომელსაც აქვს მობილური მოწყობილობა (ტელეფონი, სმარტფონი ან პლანშეტი) QR კოდის წამკითხველი პროგრამით, შეუძლია ისარგებლოს მობილური აუდიოვიზუალური კამერა სასურველ კოდთან მიახლოებისას წამებში გარდაქმნის დაშიფრულ ინფორმაციას სასურველ მასალად. მობილური აუდიოვიზუალური რეპერტუარი დროდადრო შეიცვლება.

პროექტის ავტორის, საბიბლიოთეკო მომსახურებისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ია გორგიშელის თქმით, „საკუთარი ელექტრონული რესურსების გადასაცემად კოდების გამოყენება საქართველოში პირველად, ამ პროექტის სახით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაინერგა. სხვა ბიბლიოთეკებს ჯერჯერობით ამის გამოცდილება არა აქვთ. უცხოეთში ეს მიღებული პრაქტიკაა. თანამედროვე საზოგადოების განვითარების ტემპი საკმაოდ სწრაფია და ბიბლიოთეკები ვალდებული არიან, ამ ტემპს აჟყვნენ. ამდენად, ამ სიახლეს, ვფიქრობთ, შესაბამისი გამოსმაურება მოყვება.“

მობილური აუდიოვიზუალური ეროვნული ბიბლიოთეკის სანოტო და აუდიოვიზუალური გამოცემებით მომსახურების განყოფილების ფონდის პოპულარიზაციის საუკეთესო საშუალებაა. ეს ფონდი, საიდანაც მობილური აუდიოვიზუალური მასალები ირჩევა, ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ ფონდში დაცული ყველაზე ძველი ნოტი 1878 წლით თარიღდება. ფონდში ინახება ვანო სარაჯიშვილის, ჰამლეტ გონაშვილის, ინოლა გურგულიას, ნანი ბრეგვაძის და სხვათა პირველი ჩანაწერები, რომლებიც დღეს უკვე ოქროს ფონდადაა ქცეული.

მუსიკალური ჩანაწერების და ნოტების შეგროვება და ფონდის ცალკე სექტორად გამოყოფა ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო, 1964 წელს კი ცალკე განყოფილებად ჩამოყალიბდა, რომელსაც წელს 50 წელი შეუსრულდა. ფონდი მუდმივად ივსება ახალი მასალით. ნოტებს, გრამფირფიტებს და აუდიოჩანაწერებს დროთა განმავლობაში დაემატა კომპაქტდისკების კოლექცია და CD-დისკებზე MP3 ფორმატში ჩაწერილი ხმოვანი წიგნები, რომლითაც ძირითადად ეროვნული ბიბლიოთეკის უსინათლო მომხმარებლები სარგებლობენ.

სანოტო და აუდიოვიზუალური გამოცემებით მომსახურების განყოფილების ფონდის უნიკალური ჩანაწერების ნაწილი უკვე გაციფრებულია და განთავსებულია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე ([www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)) ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელის“ აუდიომასალების ქვეკოლექციაში. როგორც განყოფილების თანამშრომელმა მაგდა სოლოდაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, ქართული გრამფირფიტების კოლექცია (სულ 453 ეგზემპლარი) მთლიანად გაციფრებულია. „ივერიელში“ ასევე განთავსებულია აუდიოწიგნების ნაწილი (სულ 80 ეგზემპლარი). აუდიოწიგნების სრული კოლექციით სარგებლობა კი ეროვნული ბიბლიოთეკის უსინათლო მომხმარებლებს ბიბლიოთეკის სანოტო და აუდიოვიზუალურ განყოფილებაში შეუძლიათ.

სანოტო და აუდიოვიზუალური გამოცემებით მომსახურების განყოფილების უფროსი დავით შუღლიაშვილი ფონდის მნიშვნელობას ასე აფასებს: „ეროვნული ბიბლიოთეკის ეს ფონ-





დი უმნიშვნელოვანესია როგორც ჩანაწერების სიძველის, ისე რაოდენობის (ფონდში 120 ათასზე მეტი ეგზემპლარი ინახება) თვალსაზრისითაც. იგი ტოლს არ უდებს უნიკალური მუსიკალური ჩანაწერებით თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ცნობილ ფონდს. კონსერვატორიის ფონდში ძირითადად კლასიკური მუსიკის ჩანაწერებია შენახული, ჩვენი ფონდი კი უანრობრივად მრავალფეროვანია. კლასიკურთან ერთად, გვაქვს საესტრადო და ხალხური მუსიკის უნიკალური ჩანაწერებიც. ინტერ-

ნეტის ეპოქაში ძნელია ამ ჩანაწერების აქტიულობაზე საუბარი, მაგრამ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფონდი ინტერნეტ-სივრცესაც უწევს კონკურენციას, რადგან აქ ინახება ბევრი ისეთი ჩანაწერი, რომელიც ინტერნეტში არ იძებნება. ამდენად, ფონდისადმი ინტერესი ჯერ კიდევ დიდია. იგი საინტერესოა არა მხოლოდ მუსიკათმცოდნეებისა და მუსიკოსებისთვის, არამედ მუსიკის მოყვარულებისთვისაც.”

## ირინა ალიაშვილი

### ინტერნეტი ყველა სოფლის ჰიჯლიოთეკას

#### კახეთის ბიბლიოთეკები


გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის ბიბლიოთეკის შენობაში სულ მალე გრანდიოზული რემონტი დაიწყება. ბიბლიოთეკა წლების განმავლობაში ელოდა სახელმწიფოსგან დახმარებას. აყრილი იატაკი, გაფუჭებული ჭერი და მორყეული კარ-ფანჯარა არამხოლოდ სურვილს უკარგავს მკითხველს, ისარგებლოს ბიბლიოთეკის მომსახურებით, არამედ ბიბლიოთეკარების ენთუზიაზმსა და მოტივაციასაც აქრობს.

ვეჯინის მოსახლეობა 2015 წლის ბოლომდე შეძლებს განახლებულ ბიბლიოთეკის სერვისით სარგებლობას. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის 21 ათასი ლარი ბიუჯეტიდან უკვე გამოყო.


"საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ ფარგლებში საპილოტე რეგიონის ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურული მოწესრიგების ხარჯები. იქნება ეს ინტერნეტი, რემონტი თუ სხვა" - ამბობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ვეჯინში, კუკური ჯამატაშვილი. "რადგანაც ვეჯინის ბიბლიოთეკის შენობა სავალალო მდგომარეობაშია, რითაც საფრთხეში ვარდებიან არამხოლოდ თანამშრომლები, არამედ

- წიგნებიც, ადგილობრივ ხელისუფლებას მიემართეთ და დამატებითი თანხა ვთხოვეთ შენობის სრული რეაბილიტაციისთვის", აღნიშნავს ის.

"ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას" - ასე ჰქვია რეგიონული ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის საპილოტე პროექტს, რომელსაც კახეთში საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და პრეზიდენტის ფონდთან ერთად ახორციელებენ. პროექტის ფარგლებში კახეთში არსებული 76 რეგიონული და სოფლის ბიბლიოთეკა აღიჭურვება ინტერნეტში ჩართული პერსონალური კომპიუტერებით. მომავალი დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში კი, პროექტის გრძელვადიანი მიზანი გაიზრდება და უკვე ქვეყნის მასშტაბით ყველა რეგიონული თუ სოფლის ბიბლიოთეკა კომპიუტერთა და ინტერნეტ-მოდემებით მომარაგდება.







სოფელი ვეჯინი კახეთში ერთადერთი არაა, რომელიც ინტერნეტიზაციის პროექტისთვის საფუძვლიანად ემზადება. ადგილობრივი ხელისუფლების ბიუჯეტიდან ამავე მუნიციპალიტეტში სოფელ ქოდალოს ბიბლიოთეკისთვის 300 ლარი გამოიყო - შენობა გამართული და გარემონტებულია, თუმცა კომპიუტერების უსაფრთხოებისთვის საჭიროა ფანჯრებზე გისოსების დაყენება. კარ-ფანჯრებისთვის და რკინის გისოსებისთვის სჭირდება 2200 ლარი სოფელ კარდენახის ბიბლიოთეკასაც. გარემონტდება ასევე სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლების ბიბლიოთეკებიც.

ასეთი გამოსმაურება საპილოტე პროექტის მდგრადობასა და წარმატებაზე უკვე მეტყველებს. კომპიუტერიზაციის პარალელურად, რეგიონების გამგეობები თავიანთი ინიციატივით არემონტებენ შენობებს, ანახლებენ საჭირო მოწყობილობებსა და აგეჯს, ცდილობენ, კომპიუტერიზაციის პროცესს მაქსიმალურად მომზადებულები შეხვდნენ.

"თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამშრომლობა შედგა და ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის როგორც ასოციაციას, ისე - ეროვნულ ბიბლიოთეკას. ძალიან საინტერესო პროცესები მიმდინარეობს და ჩვენც იმედიანად ვუყურებთ მათ განხორციელებას. მომავალი თავად დაგვანახვებს, როგორ და რა ფორმით იქნება შესაძლებელი შემდგომი საქმიანობის წარმართვა", აცხადებს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის სამდივნოს მთავარი მრჩეველი გიორგი ჟურული.

როგორი უნდა იყოს თანამედროვე ბიბლიოთეკა? როგორ უყურებენ ამას პროექტის ინიციატორები? - ყველა თანხმდება იმაზე, რომ დღესდღეობით ბიბლიოთეკა მხოლოდ გარკვეული წიგნების ერთობლიობით აღარ განისაზღვრება.

დაწესებულება უნდა უზრუნველყოფდეს ინფორმაციაზე სრულ და კომფორტულ წვდომას სხვადასხვა მედია-საშუალებებით: იქნება ეს წიგნი, პერიოდული გამოცემა თუ - ინტერნეტი; უნდა გასცემდეს კონსულტაციებს და ატარებდეს ტრენინგებს; ამყარებდეს კავშირებს არამხოლოდ სხვა ბიბლიოთეკებთან, არამედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და პროგრამებთან; წიგნების შემოტანა უწყვეტი პროცესი უნდა იყოს და ჰყავდეს მომზადებული პერსონალი. თუმცა რეალობა ისაა, რომ დღეს რეგიონულ და, განსაკუთრებით, სოფლების ბიბლიოთეკებში ისევ რჩება ფუფუნების საგნად უწყვეტი და ჩქარი ინტერნეტი, გამართული კომპიუტერი და საოფისე პროგრამები, საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს ისევ არ მიუწვდება ხელი ციფრულ სამყაროსთან.

"ე.წ. "ციფრული უთანასწორობა" პირდაპირაა დაკავშირებული ამა თუ იმ რეგიონის განათლების, განვითარების დონესთან, რაც, თავის მხრივ, სიღარიბის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზიცაა. ამიტომაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბიბლიოთეკების საგანმანათლებლო და კულტურულ ცენტრებად ქცევა და კომპიუტერიზაცია, ამ შემთხვევაში, საუკეთესო გამოსავალია" - აღნიშნავს საბიბლიოთეკო ასოციაციის




პრეზიდენტი რუსუდან ასათიანი.

პრეზიდენტის ფონდიც მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, საქართველოს მასშტაბით კულტურულ-საგანმანათლებლო კერები შეიქმნას.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის,





გიორგი კეკელიძის თქმით, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა რეგიონულ ბიბლიოთეკებს თავის ბაზებზე წვდომის საშუალებას მისცემს, ეს კი საგრძნობლად ზრდის ლიტერატურაზე, ინფორმაციასა და სხვადასხვა მასალაზე წვდომის უნიკალურ შესაძლებლობას, რაც კახეთში მცხოვრებლებს აქამდე არ ჰქონდათ. "პროექტის დასრულების შემდეგ ბიბლიოთეკარებს ექნებათ წვდომა საერთაშორისო და ქართულ ელექტრონულ ბაზებზე, ხოლო სოფლის ბიბლიოთეკებს ექნებათ მჭიდრო კავშირები ერთმანეთთან და რეგიონის მთავარ ბიბლიოთეკასთან, ასევე საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან" - ამბობს კეკელიძე. თუკი გავითვალისწინებთ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მწირ ბიუჯეტს, მსგავს ინიციატივებს და პროექტებს სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება.

### იდეის განვითარების ისტორია

იდეა ჯერჯერობით საპილოტე პროექტის დონეზეა. კახეთის რეგიონული და სოფლის ბიბლიოთეკების ინტერნეტიზაცია წლის ბოლომდე დასრულდება. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ცდილობენ, პროექტის დაფინანსება გაიზარდოს და ინტერნეტმა საქართველოს ყველა სოფლის ბიბლიოთეკამდე მიადწიოს. თუმცა ეს ერთადერთი აქტივობა არაა, რასაც საბიბლიოთეკო ასოციაცია და პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ასორციელებენ პრეზიდენტის ფონდთან ერთად. ამის გარდა, ამავე წელს საქართველოს რეგიონული ბიბლიოთეკების ვაუჩერიზაციის ფარგლებში საქართველოს ყველა რეგიონულ ბიბლიოთეკას პრეზიდენტის ფონდის დაფინანსებით გადაეცა 500 ლარიანი ვაუჩერები,

რომლითაც ბიბლიოთეკებს საშუალება მიეცა, ეყიდათ ახალი წიგნები. გარდა ამისა, არსებობს ასეთი საერთაშორისო მოძრაობა "Beyond Access", რომელიც მსოფლიოში არსებული ბიბლიოთეკების გაუმჯობესებაზე მუშაობს. ამ მოძრაობას წევრები მთელ მსოფლიოში ჰყავს და ინვესტირებას მსოფლიოს 230 ათასზე მეტ საჯარო ბიბლიოთეკაში ასორციელებს, რაც, საერთო ჯამში, მსოფლიო ბიბლიოთეკების თითქმის სამ მეოთხედს შეადგენს. პროექტები უწყვეტ რეჟიმში ხორციელდება განვითარებად და გარდამავალ ქვეყნებში, მათ შორის - საქართველოშიც.

2014 წელს, პრეზიდენტის ფონდისა და სწორედ ამ მოძრაობა "Beyond Access"-ის ხელშეწყობით საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ და საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ განახორციელა პროექტი "საჯარო ბიბლიოთეკები ადგილობრივი განვითარებისთვის". საპილოტე ეტაპზე პროექტის ფარგლებში ორი სოფლის (ხიდისთავი და ნუკრიანი) და ორი მუნიციპალური ბიბლიოთეკა (ზუგდიდისა და ხულოს მუნიციპალიტეტები) განახლდა, გარემონტდა და აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკითა და უკაბელო ინტერნეტით. მოძრაობას ის ადამიანები უერთდებიან, რომლებსაც სჯერათ, რომ განათლება სიღარიბის დაძლევის წინააღმდეგ მთავარი იარაღია, რომ ინტერნეტის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა განათლების ხელმისაწვდომობას ნიშნავს; რომ ადამიანები თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ ბიბლიოთეკას მსოფლიოს ყველა წერტილში თანაბრად იმსახურებენ; რომ განათლებული ადამიანები უფრო ეფექტური მეთოდებით ებრძვიან სიღარიბეს და რომ მთელ რიგ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს, საბოლოო ჯამში, სწორედ, თანამედროვე ბიბლიოთეკის იდეა ჭრის.

ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრაც, სწორედ, ამ იდეის განვითარებაა. საბიბლიოთეკო ასოციაცია და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა კვლავ აწარმოებენ მოლაპარაკებებს საერთაშორისო მოძრაობასთან, რათა ინტერნეტიზაციის პროექტი ამჯერად უკვე სრულად დაფინანსდეს და საქართველოს ყველა წერტილში ყველა დაინტერესებულ მკითხველს ჰქონდეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობა, ხმა მიაწვდინოს მსოფლიოს და მიიღოს ინფორმაცია, რაც მისივე განათლებისთვისაა აუცილებელი.





## რუსულან ნაძაძე

### იაკობ გოგებაშვილი ქართული ენის სწავლების შესახებ

იაკობ გოგებაშვილი თავად იყო ჩინებული მასწავლებელი. როგორც ნამოწაფარები იგონებენ, კლასში შესვლისთანავე იწყებდა დასახულ სამუშაოს, ჯერ ქართულად ახსნიდა მასალას, მისაწვდომად და გასაგებად, მერე რუსულად გაიმეორებდა - სწავლა ხომ რუსულად იყო.



გოგებაშვილის მთელი მოღვაწეობა აღზრდის ხალხურობის, ეროვნულობის იდეით იყო გამსჭვალული. იგი აქ გულისხმობდა ქართველი ხალხის კულტურულ და ეკონომიკურ აღორძინებაზე მიმართულ აღზრდას: საყოველთაო განათლებას (ქალებისთვისაც), მშობლიურ ენაზე სწავლებას ყველა საფეხურის სკოლაში, მოზარდთა აღჭურვას რეალური ცოდნით, პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის და შრომისმოყვარეობის დანერგვას მათში. "განათლება შეგვახსნევინებს სახელმწიფოებრიობის კარსო" - დაბეჯითებით იმეორებდა.

როგორ ზოგადკაცობრიულ კატეგორიასაც არ უნდა წარმოადგენდეს აღზრდა, იგი, პირველ ყოვლისა, ეროვნულ ნიადაგზე უნდა

იყოს დაფუძნებული. გოგებაშვილის მთელი მოღვაწეობა "ახალი ტიპის" ქართველის აღზრდას ემსახურება. ყოველი ადამიანი თავისი მიწა-წყლის შვილია, ამ მიწა-წყლის ბინადარი და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ გარემოს უგულვებელყოფა.

"როდესაც ბავშვი სწავლობს დედა-ენასა, - მოჰყავს ი. გოგებაშვილს უშინსკის სიტყვები, - მარტო გარეგან ნიშნებს და ხმებს როდი ითვისებს, იგი სვამს სულიერ სიცოცხლეს და ძალას მშობლიურ ძუძუდგან. დედა ენა უხსნის ბუნებას ისე, როგორც ვერ აუხსნიდა ვერც ერთი ბუნების მეტყველი, იგი ასწავლის ხასიათს ადამიანებისას, ისტორიას, როგორც ვერ ასწავლიდა ვერც ერთი ისტორიკოსი, მას შეჰყავს ბავშვი ხალხის რწმენასა და პოეზიის ტაძარში, ისე, როგორც ვერ შეიყვანდა ვერც ერთი ესთეტიკოსი". (ი. გოგებაშვილი, "ბურჯი ეროვნებისა", თხზ. ტ.2. გვ.213).

დედაენაზე აღზრდილი "ბავშვი შედის ცხოვრებაში უდიდესი ძალით აღჭურვილი", ამიტომ ქადაგებდა გოგებაშვილი, პირველდაწყებითი სწავლა უსათუოდ დედა ენაზე წარმართეთო. ბავშვის გონებრივი და ესთეტიური განვითარება უნდა ემყარებოდეს "ურთ-ერთს ძლიერს და ნაყოფიერს სულიერს ნიადაგზე - ხალხის ენაზე და მასში გამოხატულ ხალხის გრძნობაზედ."

რატომ უხსნის დედა ენა ბავშვს ბუნებას ასე კარგად, რატომ ასწავლის ისტორიას ისტორიკოსზე უკეთ? იმიტომ, რომ ენა შექმნა ხალხის ბუნებამ, ხალხის პოეზიამ. ენაში ერის წარსულია დაცული, ყველა ღირსშესანიშნავ მოვლენას ენაში თავისი კვალი დაუტოვებია, სიტყვებისათვის გარკვეული გრძნობითი ელფერი მიუცია, ენა დღესაც ხალხით ცხოვრობს და ხალხის განვითარებასთან ერთად ვითარდება, მდიდრდება.

მშვენიერების გრძნობა მით უფრო ღრმაა, რაც უფრო ზუსტი შინაარსი ესმის ადამიანს. ბუნების მშვენიერება რომ მთელი სიღრმით აღიქვას, მისი შესაბამისი სიტყვების მარაგი უნდა ჰქონდეს ადამიანს, ეს მარაგი კი დედა ენაშია დაცული. "ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალ-მხროვანი, როგორც არის ბუნება კავკასიონისა, სადაც ერთ პატარა მანძილზე პოლუსი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევიდგან





ძირს დასცქერიან: ბროწეულს, ლედვს, ვაზს, ლიმონს, ფორთოხალს და სხვა ტროპიკულს მცენარეულობას და სადაც რამდენსაც ნაბიჯს გადასდგამ, იმდენს ახალ-ახალ სურათს შეხვდები. ქართული ენა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც არის ჩვენი ერის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსეა მრავალგვარი მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა, დიდი სიხარულითა, ძლიერი მწუხარებითა, და რომელიც წარმოადგენს იმგვარს ღრმას და დაუსრულებელს ღრამას, რომ ასი შექსპირიც ვერ ამოსწურავდა მას ძირამდის..." (ი. გოგებაშვილი, „ბურჯი ეროვნებისა“, თხზ. ტ.2, გვ.205). თუ გვსურს ადამიანსა და სამყაროს შორის სწორი ესთეტიკური დამოკიდებულების აღზრდა, ეს უნდა განვახორციელოთ იმ ენაზე, რომელიც ამ სამყაროს სრული ასახვაა - მისი გრძნობა, მისწრაფება, განცდა, სიხარული, ცრემლი, ბედნიერება და ჭირ-ვარამია.

დედა ენა ადამიანის ორგანული ნაწილია, დედა ენისადმი მიდრეკილება ბავშვს თან დაჰყვება, ეს ერთ-ერთი იმ მიდრეკილებათაგანია, რომელთა განვითარებას აჰყავს ბავშვი ადამიანობამდე - გვასწავლის გოგებაშვილი.

„დედა ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებობასთან შეკავშირებული, იგი როდის ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება, მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში. იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზე, მის ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ აგებულებაზე. ყოველ ადამიანს დაბადებიდან ყველა მიდრეკილება და ნიჭი დედა ენის ადვილად და ღრმად შესწავლისა, სწორედ იმგვარად, როგორც ბუღბუღს ყველა დაბადებიდანვე ბუღბუღის გალობის ნიჭი, იადონს იადონურის გალობის ნიჭი და სხვა. ბავშვის ყოველ აზრს, წარმოდგენას, გრძნობას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედა ენა გამოხატავს სინამდვილით და სისრულით (ი. გოგებაშვილი - „პასუხი „კვალის“ რაზმსა“ თხზ.ტ.2 401 გვ).

„ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია“ ყველა ქართველში სრულიად გარკვეულ ემოციებს იწვევს, რომელ სხვა ენაზე შეიძლება ამ სტრიქონის თარგმნა, რომ მან მუსიკალობა, მშვენიერება არ დაკარგოს! „ენა, ლიტერატურა არის უმდიდრესი საღარო, რომელშიც მრავალთაობათა ძვირფასი განძივით შეუნახავთ საუკეთესო ნაწარმოები ხალხის გონებისა, უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობანი გულისა“ და, რა თქმა უნდა, უმაღლეს, უკეთილშობილეს გრძნობების აღზრდას დედა ენა ყველა სხვა ენაზე მეტად შეუწყობს ხელს.

როდესაც ირგვლივ ყველაფერი დედაენით სუნთქავს, ყველა საგანს სწორედ დედაენა „ხატავს სისრულით“, და ბავშვის პირველ დაწყებით განათლებას ვიწყებთ არა დედაენაზე, ჩვენ მის აღზრდას დიდ სიმდიდრეს ვაკლებთ, რადგან ყველა სხვა ენა მესხიერების ენაა, არა ადამიანის შინაგანი არსის გამომხატველი, არამედ შენაძენი, „დამახსოვრებელი“. დედა ენაზე აღზრდილ ბავშვს თავისი გრძნობები, დამოკიდებულებები გაცნობიერებული აქვს და სხვისი გრძნობებისა და განცდების გაგების უფრო ღრმა უნარი გააჩნია. სტატიაში „ბურჯი ეროვნებისა“ გოგებაშვილი სწორედ ამ კონცეფციას ადასტურებს. ენა, რომელზედაც პიროვნება ღრმად ვერ გაცნობიერებს საკუთარ გრძნობებს, შელახავს, შეურაცხყოფს, დაამდაბლებს ამ გრძნობათა სიფაქიხეს. დედა ენა ხელს უწყობს გრძნობების სიძლიერეს, იგი გრძნობის გაცნობიერება, ამაღლებულობის აუცილებელი პირობაა. „ვინც დედა ენის მაგივრად ჰმარობს უცხო ენასა, ... იგი აუცილებლად აღზრდის თავის შვილებში ქარაფშუტულობას გრძნობებისას“, რადგან უცხო ენაზე აღზრდა, ანუ „ამგვარი უკუღმართობა ბადავს უთანხმოებას, წინააღმდეგობას ბავშვის მეტყველებასა ად მის სულს და ხორცს შუა“.

გოგებაშვილის უპირველესი პედაგოგიური მოთხოვნა პირველდაწყებითი სწავლის მშობლიურ ენაზე განხორციელება, მისი ბუნების შესაბამისობის პრინციპითაა გაპირობებული. მშობლიური ენა შეესაბამება მშობლიურ ბუნებას, გარემოს და თვით ადამიანს. „არიან პირები, რომელთა აზროვნება, ფიქრი შეუძლიათ რამდენსამე ენაზედ, მაგრამ არა გვეონია, რომ ვისმე გრძნობა შეეძლოს გარეშე დედა-ენისა.“ უცხო ენაზე აღზრდილი ბავშვი მამულიშვილური გრძნობების მშვენიერებას ვერ მისწვდება, ყოველი გმირი, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული გმირია და მსოფლიოს მასშტაბის სიდიადემდე ეროვნულზე გავლით მიდის. პატრიოტული აღზრდა, მხოლოდ დედაენაზე შეიძლება - იაკობის აღმზრდელობითი სისტემის მთავარი პოსტულატი.

მომავალი თაობის სწავლა-აღზრდაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბავშვო ლიტერატურას - ჟურნალებსა და წიგნებს მშობლიურ ენაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სწავლება სკოლაში გაუგებარ ენაზე მიმდინარეობდა. იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ ყმაწვილის კითხვა შეეხება ბუნებას და მის საგნებს: სად არიან ის ფრინველები ზამთარში, რომლებსაც ზაფხულში ჩვენ ვხედავთ, საიდან წარმოსდგება ქარი, წვიმა და სხვანი - აი, რის ცოდნას თხოულობს ყოველი ყმაწვილი. „რიგიანი სახალხო სკოლა ხალხის ბედნიერებაა. მისი სიბნელიდან სინათლეში გამომყვანი,



უკუღმართი სკოლა კი დამღუპველი. უკუღმართ სკოლას სჯობია, ჩვენი ხალხი ისევ ისე მამაპაპური წესით ცხოვრობდეს, - მიწის ბეჯითი მუშა მაინც იქნება, პატიოსანი მშრომელი და მეოჯახე, ხოლო უკუღმართად გაზრდილი მიწა-მამულს სწედება: ვერც ცოდნას იძენს, ვერც მოქალაქე იქნება." - იოსებ იმედაშვილის მოგონებიდან.

იაკობი ქართული საბავშვო მწერლობის ფუძემდებლად აღიარა ილიამ. ყველა თაობის ბავშვთა საყვარელი მოთხრობებია: „იანანამ რა ჰქმნა?!", „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“, „ასპინძის ომი“, „მღვდელი თეოდორე“, „იოთამ ზედგენიძე“, „ცოტნე დადიანი“, „სამასი თავდადებული გლეხი“ და სხვა მრავალი. ეს მოთხრობები, ისევე როგორც ყველაფერი, რაც მას უკეთებია, მოზარდთა ღირსეულ მამულიშვილებად აღზრდას ემსახურებოდა.

დედაენის საკითხი ყველაზე სრულად განხილულია წერილში - „ბურჯი ეროვნებისა“, ამ ბურჯად, სავსებით სამართლიანად, გოგებაშვილს მშობლიური ენა მიაჩნია. ნაშრომი დამაჯერებლად გვაჩვენებს, რომ თვით ბუნებას არ მოუცია თავისუფალი არჩევანი - რა ენაზე დავაწყებინოთ ბავშვს ლაპარაკი და რომელ ენაზე ვისწავლოთ სკოლაში. მშობლიური ენის უფლებებისათვის ბრძოლა არც კაპრიზია, არც მარტო სიყვარული ამ ენისადმი, ეს თვით ბუნების მოთხოვნაა. „ქართული ენა ეკუთვნის მაღალი აგებულების ენათა დასსა: ლექსიკის სიმდიდრე, სქესის უქონლობა, ბრუნების სიმარტივე, თანდებულთა მოქცევა სიტყვის ბოლოში, ზმნის არაჩვეულებრივი მოქნილობა - ის თავისებურებებია, რომლებიც ქართულს მსოფლიოს

უპირველეს ენათა რიგში აყენებს. ეს კანონიერი სიამაყით უნდა ადავსებდეს ქართველს და მით უფრო უნდა ვიბრძოლოთ მისი დაცვისა და გაძლიერებისათვის. იაკობი, თითქოს, გრძნობდა მომავალში უპასუხისმგებლობის მოძალებას და წინასწარ გვაფრთხილებდა ამგვარი ზერელეობის წინააღმდეგ, რომელიც არღვევს და აკნინებს ქართულ ენას. მისი სწავლება ყველამ უნდა გაითვალისწინოს, ის ისტორიას არ ბარდება!

„13 ასი თუმანი 13 000 მან. ოქროთი დაუტოვა წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. თვითონ დარჩა დაკერებული საცვლები, დაშტოპილი ნასკები და ძირებ გამოკერებული ფეხსაცმელები, ეს იმიტომ, რომ იცოდა, ეს ფული ზღვაში წვეთი იყო მისი საყვარელი სამშობლოს სკოლებისათვის. დასტოვა დასაფლავების ფულიც, ბოლოს კი საფლავი დაიკარგა.“ (ქრისტინე ბიბილურ-კასრაძის მოგონებიდან).

ლიტერატურა:

გოგებაშვილი ი. „ბურჯი ეროვნებისა“, ტ.2, მეგრელიძე ი, იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა. თბ.: „განათლება“, 1988.

მაღაზონია შ. იაკობი - ერის დიდი მასწავლებელი თბ.: „კალიგრაფი“, 2011.

ლორთქიფანიძე დ, დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი. თბ.: 1948.

ზოდელავა მ. იაკობ გოგებაშვილი დედაენის, როგორც ესთეტიური აღზრდის, აუცილებელი ფაქტორის შესახებ. თბ. „განათლება“, 1966წ.

გაფრინდაშვილი მ. დიდი ქართველი პედაგოგი და მოაზროვნე. თბ.: „ნაკადული“, 1960.

## თაა იოსავა

### მარიჯანი - საბავშვო მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი (დაბადებიდან 125 წლისთავი)

„მე მოვკვდები, თუ არ ვიმღერ, რასაც გულში ვარწევ მე მოვკვდები ალბათ იმ დღეს, როცა ლექსს ვერ დაეწერ.“

მარიამ ტყემალაძე-ალექსიძე ქართულ მწერლობაში თავისი ღამაზი ფსევდონიმით „მარიჯანი“ შევიდა. ქართველმა მკითხველმა თავიდანვე შეიყვარა იგი. ხშირად გაიგონებდით, დღეს გაზეთში მარიჯანის ლექსია... მარიჯანი საოცარი პოპულარობით სარგებლობდა. პირველი, ვინც მარიჯანს ლექსები მოუწონა და აღიარა, სახელმთხვეტილი მწერალი, ნინო

ნაკაშიძე იყო. მან გაუხსნა გზა მწერლობაში. ამიტომ მის ამაგს დიდად აფასებდა მარიჯანი.

მარიჯანი საბჭოთა ბავშვების საყვარელი მწერალი გახდა. თავად მწერალი ბავშვებს ფეხადგმულ ყვავილებს, მოჭიკტიკე მერცხლებს ეძახდა. მთელი სიცოცხლე ნორჩ თაობაზე ფიქრსა და ზრუნვაში გაატარა. მარიჯანმა ბევრი ლექსი და მოთხრობა, მრავალი კარგი წიგნი დაუტოვა ჩვენს პატარებს. ისინი დღეს საბავშვო ლიტერატურის ოქროს ფონდის დიდ სიმდიდრეს წარმოადგენენ.

მარიჯანი მარტო საბავშვო მწერალი არ ყოფილა, თავისი პირველი ნაბიჯები საბავშვო ლიტერატურით არ დაუწვია, საბავშვო მწ-



ერლად არ დაბადებულა. იგი თავისი დროის საინტერესო ლიტერატურული მოვლენა იყო, რომელიც უკვე ოციან წლებშივე ერთ-ერთი აღიარებული პოეტი, ქართული ლექსის სტიქია გახლდათ.

მართალია, მის ადრინდელ, რევოლუციამდელ შემოქმედებაში ჯერ კიდევ იგრძნობოდა უფერულობა, ერთფეროვნება, კამერული განწყობილება, მხოლოდ საკუთარი თვალით სამყაროს აღქმა და სხვა. თავის ლექსებში ხატავდა უდიდამო „სადამოებს“, „დამჭენარ ყვაველებს“, „დამწვარ ყაყაჩოებს“, „უიღბლო“ სიყვარულს უმღეროდა.

ახალმა სოციალურმა ყოფამ, ახალმა მოთხოვნილებამ, ახალი პრობლემის წინაშე დააყენა მწერალი. ნიჭიერმა პოეტმა ქალმა ადვილად აუღო ალღო თანამედროვე ცხოვრებას, ეძებდა ახალ გზას, ლექსის ახალ ფორმას. გაიზარდა მისი შემოქმედების პალიტრა, თანდათანობით მიუახლოვდა ჭეშმარიტების სწორ გზას და მისმა ლექსებმაც თავისი ადგილი დაიკავა მწერლობაში.

მარიამ ტყემალაძე-ალექსიძე დაიბადა 1890 წელს ქ. თბილისში. 1908 წელს მარიჯანმა დაამთავრა თბილისის ქალთა გიმნაზია. 1918-1922 წლებში სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტში ფილოსოფია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ნანატრი ოცნება აუსრულდა მაშინ, როცა უკვე შვილების დედა და ოჯახის ქალი იყო. თავისი პირადი ბედნიერებით კმაყოფილი პოეტი ქალი, მაშინ უკვე სახელმძოხვეჭილ პოეტს, იოსებ გრიშაშვილსაც ურჩევდა, რომ მასაც გადაედგა ნაბიჯი უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, ისეთი პოეტისთვის, როგორც იოსებ გრიშაშვილი იყო, მეცნიერული საფუძვლების დაუფლება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. სტუდენტობის წლებიდან იწყება მარიჯანის შემოქმედებითი ცხოვრება. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის დაიწყო წერა. ეს ის სფერო იყო, რომელიც მას ანდამატივით იზიდავდა და ამიტომ წარმატებასაც მიაღწია.

მარიჯანი გულისტკივილით წერს თავის დღიურში, როცა მსოფლიო ომის დროს მეუღლის სამხედრო სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო, ხშირად უხდებოდა თბილისიდან შორს ცხოვრება. იქაც კი გამონახა საინტერესო ადამიანები, რომლებიც მარიჯანის შეგონებით შეუდგნენ წარმოდგენების გამართვას, ლიტერატურული სადამოების მოწყობას. პარალელურად ლექსებსაც წერდა, მაგრამ გამოქვეყნებას არ ფიქრობდა, რომ არა გრიშაშვილი. მისი თაოსნობით, მარიჯანის დაუკითხავად, 1916 წელს „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნდა პირველი ლექსი „ტბა“, ხოლო 1918 წელს - ლექსი „პირბადე“.



განსაკუთრებით რეზონანსული იყო მისი ერთ-ერთი საყოველთაოდ აღიარებული ლექსი - „ანდერძი“. მისი ლექსების უმეტესობა წაღვერში იწერებოდა. მისთვის წაღვერი შთაგონების წყარო იყო. ლექსების პირველი კრებული 1921 წელს გამოაქვეყნა, 1926 წელს გამოქვეყნებულმა ლექსთა კრებულმა - „ნელი ცირკში“ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა პოეტის შემოქმედებითი გზა. მისი ნაწარმოებები მოზარდ თაობას აცნობს თანამედროვე ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს.

ი. გრიშაშვილმა და მარიჯანმა ერთად თარგმნეს ხუთი პიესა: „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიცი“ (1931), ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“ (1937), ალ. ტოლსტოის „14 სახელმწიფო ლაშქრობა“ (1938), პოგოდინის „თოფიანი კაცი“ და სიმონოვის - „მელოდე“ (1943), რამაც განაპირობა ორი პოეტის შემოქმედებითი თანამეგობრობა.

მარიჯანმა საერთო ენა გამოიხატა თავის აღსაზრდელებთან, შესანიშნავად იცნობდა პატარა მეგობრების ხასიათს. იგი პატარა მკითხველს ესაუბრება ბუნებისა და ცხოვრების ისეთ მოვლენებზე, რომლებიც მისაწვდომი და მისაღებია მათი ცნობიერებისათვის.

მარიჯანის პოეზიის ძირითადი თემა პატრიოტიზმია. პოეტი უმღერის თავის საყვარელ თბილისს - მრავალ დროების მომსწრესა და მნახველს - ლექსში „დედაქალაქს“ (1941) ასეთივე პატრიოტული ხასიათისაა მისი ლექსი „ჩვენი ქვეყანა“, რომელშიც პოეტი ავლენს თავის თბილ გრძნობასა და სიყვარულს სამშობლოსადმი. მათ შორის, განსაკუთრებულ, შ. რუსთაველისადმი მიძღვნილ ლექსში „რა გინდოდა პალესტინას“, ეს ლექსი მარიჯანის პოეტური აზროვნების შედეგია, უდიდესი განცდებით, ემოციური განწყობილებით, დიდი



გადატანილი სულიერი ტრავმებით და ცხოვრების უსამართლობისადმი სამდურავით. რუსთაველის უგზოუკვლოდ დაკარგვა, რომლის საფლავს დღემდე მისტირის და ეძებს ქართველი ერი.

განსაკუთრებით დიდია მარიჯანის ღვაწლი და დამსახურება ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში. ეს იყო მისი უსაყვარლესი, მისი სიცოცხლის, მისი ცხოვრების გამახალისებელი ახალი ეტაპი, მისი საბრძოლო ფრონტი. დედაშვილობის დიდმა სიყვარულმა მოახედა იგი საბავშვო ლიტერატურისაკენ. ნიჭიერმა პოეტმა ქალმა აქაც გამოიჩინა დიდი უნარი, აღლო აულო ახალ, სოციალისტურ ცხოვრებას, საბჭოთა ბავშვების გაზრდილ მოთხოვნილებას. იგი შეგნებულად პასუხობდა თავის დროს, ითვალისწინებდა რა ზნეობრივი აღზრდის პრინციპებსა და იდეოლოგიას, მას ესმოდა, რომ ბავშვის მოქალაქედ აღზრდა უშუალოდ დამოკიდებული იყო ჯანსაღ მხატვრულ ლიტერატურაზე.

მარიჯანს ამ თავისი დასახული მიზნისათვის არასოდეს არ უღალატია. მარიჯანის საბავშვო მოთხრობებზე თაობები გაიზარდა. მისი ლამაზი ქართული, მისი ლექსები დედის ტკბილ ნანასავით ჩაესმოდათ პატარებს. მისი საბავშვო ლექსები მომცროა და შეკრული. სწორედ ეს აძლევს პოეტს საშუალებას, ლექსი გასაგები გახადოს და ადვილად მიიტანოს პატარების გულთან: „ჩვენ მწვერვალებს ხედავთ, როგორ ძმურად დგანან: ცისარტყელას ფერებს დააშორებთ განა? პატარებო, გესმით თქვენ ძმები ხართ ყველა! შეკრული ხართ მჭიდროდ, როგორც ცისარტყელა; ქართველი და რუსი, სომეხი და ლეკი, თქვენ იზრდებით ერთად, ვით ცერი და ნეკი“.

საინტერესოა თავისი შინაარსით მარიჯანის პატარა მოთხრობა „ნელის მეგობარი“. მწერალი ყურადღებას ამახვილებს კეთილშობილებასა და სიკეთისადმი. ფრინველებისადმი და ცხოველებისადმი თანაგრძნობა სიფაქიზეს და სიყვარულს უღვივებს ბავშვებს. მარიჯანის ერთ-ერთი საუკეთესო პოემაა „ნელი ცირკში“. ის იმდენად საინტერესო პოემა იყო, რომ ცალკე წიგნად გამოვიდა.

დიდებულია ლექსი „ნია წუნია“. მწერალი ბავშვებს ესაუბრება მათ მორალზე, ზნეობაზე, უფროსებისადმი პატივისცემაზე; მარიჯანის ყველა ლექსი ცხოვრებისეულია, ხელოვნურობას მოკლებული. 1926 წლიდან 1962 წლამდე სისტემატურად გამოდიოდა მისი პირველი საბავშვო მოთხრობები, პოემები, პიესები. 1933 წლიდან უფრო ფართო ტილოებს აქვეყნებს. მისი პირველი საბავშვო მოთხრობა მოზრდილთათვის - „ზურა ატმის ქალაქში“, რომელიც ეხება სოციალისტურ მშენებლობას

და მასში სხვადასხვა ეროვნების ბავშვების მონაწილეობას, ხაზს უსვამს ერთმანეთისადმი ერთგულებასა და პატივისცემას. ასეთივეა მოთხრობა „სადურგლო სახელოსნოში“. ამ თემაზე ერთი მოზრდილი მოთხრობა „გელა“, რომელიც სახელოსნო სკოლის ცხოვრებას გვაცნობს. 1954 წელს ის ცალკე წიგნად გამოდის. მწერალს კარგად ესმოდა, რომ ბავშვებისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები გულწრფელი, მართალი და ბავშვის გულამდე ადვილმისატანი უნდა ყოფილიყო.

ყველა მისი საბავშვო მოთხრობა: „მზის ქვეყნის ბავშვები“, „მამიდა თეოს მარანი“, რომელშიც გაცოცხლებულია უსულო საგნები და ყველაფერი ბუნებრივადაა გადმოცემული, ყველა მისი საბავშვო მოთხრობა „ბედნიერი თაობა“, „ჩვენი ეზო“ და სხვა, თანამედროვეობას ეხება.

მარიჯანი სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს, როგორც პატრიოტი ქართველი დედა, ვინც სამშობლოს აღუზარდა სამი სახელოვანი შვილი.

ცხოვრებისა და შემოქმედების გრძელი და რთული გზა განვლო მარიჯანმა. ის აქტიურ საზოგადო მოღვაწეობას ეწეოდა: იყო მწერალთა კავშირის კონსულტანტი და მიძღები კომისიის პასუხისმგებელი მდივანი.

საოცარი იყო ის, რომ ნახევარ საუკუნეს გადაცილებულ ქალს პოეტური აღმაფრენა არ სტოვებდა. მან შესანიშნავი ლექსი გამოაქვეყნა თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში „მზითვის სარკე“. ეს ლექსი ერთ-ერთი მარგალიტია მარიჯანის ლირიკულ ლექსებს შორის.

1964 წელს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა „წუთები, რომელიც გახსოვს“, - სათუთი და ნაზი, ქალური, როგორიც თავად იყო. 1978 წელს გარდაიცვალა პოეზიის ტრფიალი, საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი, მარიჯანი.

გამოყენებული ლიტერატურა:

მწერალთა ბიოგრაფიები - თბ., 2005, - 162-163 გვ.

ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალები - თბ.: საქ. 1990 - 268 გვ.

მარიჯანი. რჩეული. - თბ.: ნაკადული, 1973, - 447 გვ.

მარიჯანი. დაკარგული კბილი: ვოდვეილი 1 მოქ. - თბ., 1940. - 12 გვ.

მარიჯანი. ისევ ლექსებით. - თბ.: მერანი, [1969]. - 147 გვ.

მოთხრობები, იგავები, ზღაპრები პატარებისათვის - [თბ., 2010] - 64 გვ.

რჩეული საბავშვო მოთხრობები 2 წიგნად. - თბ.: შემეცნება. - 21 გვ.



**ინოვაციური ბიბლიოთეკა თანამედროვე საზოგადოებისათვის  
(მასალაზის მიმოხილვა)**

მიმდინარე წლის კვირეული განსხვავებული დევიზით ჩატარდა როგორც დედაქალაქში, ასევე მუნიციპალიტეტების მოქმედ ბიბლიოთეკებში. კვირეულის პროგრამით ჩატარებულ თითოეულ ღონისძიებას დევიზის სახით წამძღვარებული ჰქონდა თანამედროვე საზოგადოების საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნები. თანამედროვე ბიბლიოთეკა სულ აქტიურ როლს ასრულებს ადგილობრივი განვითარების პროცესებში. კვირეულის პლაკატიც ასეთი სლოგანით დაიბეჭდა. კვირეული გაიხსნა 30 აპრილს - ბიბლიოთეკარის პროფესიული დღის აღსანიშნავად. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში კვირეულის გახსნაზე მოწვეულნი იყვნენ თბილისის სამეცნიერო და უმაღლესი სასწავლებლების, მუნიციპალიტეტების მთავარი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელი პირები, მკითხველები, მეცნიერ - მუშაკები. კვირეულის გახსნაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს ახლადგამოცემული პოეტური კრებული "ბიბლიოთეკარი - პოეტი". კვირეულის პროგრამით საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო ქსელში.




საბავშვო ბიბლიოთეკამ გასვლითი ღონისძიება ჩატარა სვეტიცხოვლის ეზოში; აქ გაიმართა ლიტერატურული საღამო "იყოს დღეგრძელი პოეზია საქართველოსი". ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს პროექტი "ვიკითხოთ ერთად", რომელიც აერთიანებს მცხეთის 3 საჯარო სკოლის უფროსკლასელებს; ჩატარდა ლიტერატურული საღამო, სადაც ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველმა გიგა უჩუვატოვმა მკითხველებს წარუდგინა საკუთარი პროზაული ნაწარმოებები. საბიბლიოთეკო კვირეულში აქტიურად ჩაებნენ თვითმმართველი თემის საბიბლიოთეკო ადმინისტრაციაში გაერთიანებული სასოფლო ბიბლიოთეკები. საჯურამოს სასოფლო ბიბლიოთეკაში მოეწყო ომარ მარგველაშვილის წიგნების "დრო, დრო აღნიშნე" და "როცა უკან მოხედვის არ გეშინია" წარდგენა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: ირაკლი ჟორდანიას, არჩილ ფრანგიშვილი, მინდია უგრეხელიძე,



მცხეთის შ. რუსთაველის სახ. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიებები: ინვალიდ ბავშვთა კომპიუტერული სწავლების პროგრამის წარდგენა, კონკურსი "გააგრძელე ლექსი", მასში მონაწილეობდნენ მცხეთის N1 და N2 საჯარო სკოლის მოსწავლეები; მცხეთის





და ბიბლიოთეკარის დღესთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ აქტიური მკითხველები, ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები. შეხვედრაზე ბიბლიოთეკა დიპლომით დააჯილდოვა საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მ. ბახაძემ. შეხვედრაზე დაიგეგმა ა. წერეთლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული ღონისძიებების თემატიკა.

ავტორის ნათესავები და მეგობრები. ვრდის ბიბლიოთეკამ (გამგე ვ. პირმისაშვილი) შეხვედრა მოუწყო ადგილობრივ დეპუტატებს: ჯ. ვალიშვილს, ნ. სოხაშვილს, ნ. გოგილაშვილს და მრავალშვილიან დედებს. მათ ფასიანი საჩუქრები გადასცა მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა მ. ხაჩიძემ. მისაქციელის სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე თ. ბაღაშვილი) ჩატარდა ღონისძიება ტიცინ ტაბიძის 120 წლისთავთან დაკავშირებით. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მისაქციელის საჯარო სკოლის მოსწავლეები. მუხრანის ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარები ი. ქარდავა, ა. ჩეკურიშვილი) ჩატარდა თემატური საღამო "ქართველთა ენა". ნატახტრის სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. ბენაშვილი, ბიბლიოთეკარი მ. გაგელიძე) ჩატარდა ლიტერატურული საღამო "სიცოცხლეს ვაგრძნობინებდი მომაკვდავ არემარესა", რომელიც მიეძღვნა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას. ქსნის სასოფლო ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარი თ. ხოლელი) ჩატარდა მუხრან მაჭავარიანის დაბადების დღისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო. მოსწავლეებმა წაიკითხეს მ. მაჭავარიანის ლექსები, უფრო ახლოს გაეცნენ მის პოეზიას.

ძეგვის სასოფლო ბიბლიოთეკაში ჩატარდა მ. მაჭავარიანის პოეზიის საღამო. მოეწყო გამოფენა, მ. მაჭავარიანის პოეზიით გულანთებულმა მოსწავლეებმა გააცოცხლეს პოეტის ცხოვრების ეპიზოდები. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა თვითმმართველი თემის საბიბლიოთეკო ადმინისტრაციის წამყვანმა სპეციალისტმა მ. დავითიანმა.

საჩხერის საბიბლიოთეკო გაერთიანებებში (დირექტორი მ. აბრამიშვილი) დიდი ხანია შეუდგნენ აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175-ე წლისთავის აღნიშვნას. ამ თარიღთან

სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ბიბლიოთეკაში საინტერესო ღონისძიებები მიეძღვნა "ბიბლიოთეკარის დღეს" და "საავტორო უფლებების დაცვის დღეს". ღონისძიებებში მონაწილეობდა ყველა სასოფლო ბიბლიოთეკა. მათ შორის ჭალადიდის სასოფლო ბიბლიოთეკა (ლ. დემურია); მურენოსირის სასოფლო ბიბლიოთეკა (ნ. ჯანჯღავა), ლემძამის ბიბლიოთეკა (ი. ჯღარკავა), ხორაშის ბიბლიოთეკა (ქ. ლატარია). კვირეულის დახურვა გაიმართა 30 აპრილს. ამ დღეს მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკარებს შეხვედ-



ნენ სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი მ. დგებუაძე და მისი მოადგილე ნ. ფულარია. შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება მიენიჭათ რამოდენიმე აქტიურ ბიბლიოთეკარს, მათ გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. კვირეულის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა მთავარმა სპეციალისტმა ც. ხორავამ.

თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკის გაერთიანებაში (მთავარი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ც. კალმახელიძე) სისტემატურად ტარდება ღრმა შინაარსიანი მასობრივი ღონისძიებები. ისინი ატარებენ შემეცნებით ხასიათს, ღონისძიებები იმართება წლის განმავლობაში. მთავარ ბიბლიოთეკასთან არსებული ლიტერატურული სალონი "საგულისონი" (ხელმძღვანელი ც.



ქონჩაშვილი) შეხვედრებს აწყობს საზოგადოებისათვის ცნობად პიროვნებებთან; ისინი დამეგობრებულები არიან ბიბლიოთეკასთან. კვირეულის დახურვა ამ ბიბლიოთეკაში გაიმართა 11 მაისს. ღონისძიებას უძღვებოდა

ინოვაციები.



თბილისის მე-5 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ე. ამირიძე) ჩატარდა თბილისის სადამი მიძღვნილი ღონისძიება სახელწოდებით: "თბილისი ოცნების, მგონების ქალაქი". თბილისის ისტორია მოკლედ მიმოიხილა თსუ-ს სტუდენტმა ს. ჯოლიამ. თბილისზე ლექსი წაიკითხეს მე-4, 119-ე, 113-ე საჯარო სკოლების მოსწავლეებმა: თ. ხარებავამ, ნ. ბირკაიამ, ს. დანელიამ, ნ. ხორავამ და სხვებმა. 37-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ ლ. ლომთათიძემ შეასრულა ქართული ხალხური ცეკვები.

42-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. საგანელიძე) მიმდინარე წლის საბიბლიოთეკო კვირეული გამოირჩეოდა თემატური მრავალფეროვნებით. მოეწყო გამოფენები ნ. ლორთქიფანიძის, მ. ჯავახიშვილის, გ. რობაქიძის, ა. წერეთლის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით. კვირეულის პირველსავე დღეს ბიბლიოთეკაში მოეწყო მხატვარ ლ. თეთრაძის და მისი მოსწავლეების, გ. ადუაშვილის, მ. ფოლადიშვილის და მ. ბერიძის ნამუშევრების გამოფენა. ა. წერეთლის საიუბილეო სადამო გახსნა ბიბლიოთეკარმა ნ. ბუღელიძემ. ჩატარდა ვიქტორინა ა. წერეთლის შემოქმედების მიხედვით. კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის 190-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები. კონკურსში მონაწილე 25 მოსწავლიდან კითხვებზე სწორი პასუხი გასცა იმათ უმრავლესობამ, რაც ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ უყვართ და იცნობენ ა. წერეთ-

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი რ. ასათიანი. მუნიციპალიტეტების მთავარმა ბიბლიოთეკებმა წარმოადგინეს თვალსაჩინოება მათ მიერ დანერგილი სიახლეების შესახებ. სპეციალურმა კომისიამ შეაჯამა კონკურსის შედეგები, გამოავლინა გამარჯვებულები, რომელთაც გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. კონკურსში მონაწილეობდნენ: მ. ახუნდოვის სახლის - აზერბაიჯანული კულტურის ცენტრის ბიბლიოთეკა - ლ. მოწონელიძე; ოზურგეთის ცენტრალური ბიბლიოთეკა - ლ. ბაქანიძე; ხობის რ-ნი თორსის სასოფლო ბიბლიოთეკა - გ. კიკალეიშვილი; თბილისის 49-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი - მ. მოსიავა; საპატრიარქოს ბიბლიოთეკა - კ. ალიბეგაშვილი, რუსთავის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა - თ. ჟვანია, ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკა - მ. გვარამია. ყურადღებას იმსახურებდა თითოეული ბიბლიოთეკის მიერ წარმოდგენილი სიახლენი მომსახურების თვალსაზრისით. საუკეთესოდ მაინც მიიჩნიეს საპატრიარქოსა და თორსის სასოფლო ბიბლიოთეკების მიერ წარმოდგენილი



ღის შემოქმედებას. მოსწავლეებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები. ღონისძიებას ესწრებოდა ბიბლიოთეკის ყოფილი ხელმძღვანელი ა. ნამორაძე, რომელმაც წაიკითხა ა. წერეთლის სადამი მიძღვნილი საკუთარი ლექსები. კვირეულის პროგრამით ამავე ბიბლიოთეკაში გაიმ-



ართა ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ნახატების გამოფენა; დევიზით "ჩემო სამშობლო მხარეო". გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 129-ე და 190-ე საჯარო სკოლების

ბავშვებმა დიდი ოსტატობით განასახიერეს პინოქოს, პეპის, ტომ სოიერის, კარლსონის და სხვა პერსონაჟები. ღონისძიებას ესწრებოდნენ საბავშვო მწერალი ზ. ქინქლაძე, მთარგმნელი ლ. მჭედლიშვილი, ლიტერატურათმცოდნე მ. ასათიანი და სხვები. შეხვედრაზე წმინდა გიორგის სახელობის საერო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ქართული კლასიკოსების გ. ტაბიძის, ვაჟა-ფშაველას, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო ეპიზოდები. შეხვედრის აქტიურ მონაწილეებს, მოსწავლეებსა და პედაგოგებს გადაეცათ სპეციალური დიპლომები; დაჯილდოვდნენ აქტიური მკითხველები გ. თოფურია და ე. ჩალაბაშვილი.



მოსწავლეთა, აგრეთვე 45-ე ბაგა - ბაღის აღსაზრდელთა ნახატები. უკვე სამი წელია ამ ბიბლიოთეკაში ტარდება სოციოლოგიური გამოკვლევები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ბიბლიოთეკარები ე. ლაპიაშვილი და ქ. აფაქიძე. სოციალურ გამოკვლევაში ჩამოყალიბებულ კითხვებზე პასუხს სცემენ მკითხველები. შედეგები და ანალიზი ბიბლიოთეკას ეხმარება უკეთ წარმართოს მკითხველთან მუშაობა, შეავსოს ფონდები და მინიმუმამდე დაიყვანოს ბიბლიოთეკის უარყოფითი ხარისხობრივი მაჩვენებლები. კვირეულის დღეებში მოეწყო სოციოლოგიური კვლევის შედეგების გაანალიზება. სპეციალისტების გარდა შეკრებას ესწრებოდნენ გლდანი - ნაძალადევის რაიონის საქალაქო ბიბლიოთეკების გამგეები, თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის კვლევის, ანალიზისა და სტრატეგიული განყოფილების თანამშრომლები: ნ. სარდლიშვილი და ნ. შავლაძე, მთავარი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე ლ. ასკურავა, ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები.

24-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში

(გამგე ნ. მაშნიაშვილი) კვირეულის პროგრამით ჩატარდა ღონისძიება: "მამული, ენა, სარწმუნოება". ღონისძიებაში მონაწილეობდნენ 185-ე ბაგა - ბაღის გამოსაშვები ჯგუფის აღსაზრდელები. ისინი გაეცნენ ბიბლიოთეკის მუშაობის სპეციფიკას, აქტიურად მონაწილეობდნენ მასობრივ ღონისძიებაში: ღონისძიების მომზადებაში მონაწილეობდნენ 185-ე ბაგა - ბაღის ხელმძღვანელი პირები.



57-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე თ. არათანაშვილი) 64-ე საჯარო სკოლასთან ერთად ჩატარდა შეხვედრა თემაზე "ბიბლიოთეკის ტყვეობაში". შეხვედრა დაიგეგმა პედაგოგის ნ. მაღლაკელიძის მონაწილეობით. ღონისძიების მთავარი მიზანი იყო, კითხვის კულტურის ამაღლება მოსწავლეებში. ამ მიზნით შერჩეულ იქნა პოპულარული საბავშვო ლიტერატურა, ამოიკრიბა პატარ-პატარა კომპოზიციები,

თბილისის 32-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ლ. უხურგუნაშვილი) კვირეულის პროგრამით მოეწყო შეხვედრა "საქართველოს ბიბლიოთეკის" მთავარ რედაქტორთან ა. ლორიასთან და პასუხისმგებელ მდივანთან გ. თაყნიაშვილთან. შეხვედრა მიმდინარეობდა კითხვა - პასუხის რეჟიმში. საუბარი შეეხო საბიბლიოთეკო მუშაობის აქტუალურ საკითხებს, მკითხველთა მომსახურების ტრადიციულ



და თანამედროვე მეთოდებს. შეხვედრა ფაქტობრივად ატარებდა სემინარის ხასიათს.

30-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. აბრამიშვილი) კვირეულის პროგრამით ჩატარდა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება "ქალი სუსტია, მაგრამ დედა ძლიერი". ღონისძიების მონაწილეებს საკუთარი ლექსით მიესალმა 103-ე საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე ლ. ორეხოვა (პედაგოგი დ. კიკნაძე). მოსწავლეებს დედის



შესახებ ლექსები შეურჩია საბავშვო განყოფილების გამგემ მ. ნადირაშვილმა. ბავშვებმა ლექსებითა და სიმღერებით გამოხატეს თავიანთი სიყვარული დედისადმი, სტუმრებს მიართვეს ნაირფეროვანი ყვავილები. ლექსები წარმოთქვეს მოსწავლეებმა: ს. ჯავახიშვილმა, ლ. ორეხოვამ, ა. ჩხაიძემ, ნ. ხიჯაკაძემ, მ. თუთბერიძემ და სხვებმა.

53-ე საქალაქო ბიბლიოთეკა (გამგე რ. ფაღაველ) კვირეულის დღეებში მასპინძლობდა ანსამბლ "ორერას". ანსამბლის ისტორიის შესახებ მოკლედ მოუთხრეს მსმენელებს; ანსამბლს მიესალმა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პოეტი ზ. ხასაია; ანსამბლის მიერ განვლილი სახელოვანი გზის შესახებ ისაუბრეს თ. დავითაიამ და გ. ნადირაშვილმა; ანსამბლის მიერ შესრულდა სიმღერები: "კრიმანჭული", "გოგოვ, მთვარეს ედარები", "მივდივარ - მივევები", "ლაღები" და სხვ. მკითხველებმა ოვაციებით გააცვიფრეს სახელოვანი ანსამბლის წევრები. "ორერასთან" შეხვედრის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა ბიბლიოთეკის მთავარმა სპეციალისტმა თ. მელაძემ.

56-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე დ. საბანაძე) ჩატარდა კომპლექსური ღონისძიება "დედა ენისა" და წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ დიდი დიდმის ბაგა - ბაღის

აღსაზრდელები და ხელოვნების კოლეჯის მოსწავლეები: ს. ამირანაშვილი, დ. სარაჯიშვილი, ნ. გურგენიძე და სხვები. პატარებმა მშობლიური ენის შესახებ წარმოთქვეს ლექსები, მოსწავლეებმა ისაუბრეს წიგნის როლისა და დანიშნულების შესახებ, აღინიშნა, რომ წიგნის კითხვა ანვითარებს ანალიტიკური აზროვნების უნარს.

თბილისის დ. ასათიანის სახ. საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. სონღულაშვილი)

კვირეულის პროგრამით გაიმართა მრავალი საინტერესო ღონისძიება. "გმირები არ კვდებიან", ამ სახელწოდების ღონისძიებაში 169-ე, 130-ე საჯარო სკოლების უფროსკლასელებმა გაიხსენეს მიხეილ თამარაშვილი, იოსებ შორდანი, გიორგი ფერაძე, დავით სარაჯიშვილი და სხვები. შესრულებულ იქნა მუსიკალური ნომრები. ღონისძიების მომზადებაში მონაწილეობდნენ 169-ე საჯარო სკოლის პედაგოგი გ. მარშანია და 130-ე საჯარო სკოლის პედაგოგი ც. თხინვალი. სანოტო - მუსიკალურ განყოფილებაში მომზადდა ღონისძიება "მოგზაურობა დედამიწის გარშემო". 169-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა საინტერესოდ მიმოიხილეს თითოეული კონტინენტი (ხელმძღვანელი ე. სიმონაშვილი). სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის მომზადდა ღონისძიება ი. გოგებაშვილის 175-ე წელთან დაკავშირებით "იანანამ რა ჰქმნა" თეატრალიზებული მუსიკალურ - ლიტერატურული კომპოზიცია, რომელიც ამ მოთხრობის მიხედვით წარმოადგინეს საქართველოს წმ. ილია მართლის სახელობის სკოლის მე-3 კლასის მოსწავლეებმა (მზრუნველი ნ. მირზელაშვილი - ჭიკაძე). პატარებს ი. გოგებაშვილის შემოქმედების შესახებ ესაუბრნენ ბიბლიოთეკის თანამშრომლები, მოასმენინეს ხმოვანი წიგნები. მე-5 კლასელებთან ბიბლიოთეკარებმა მიმოიხილეს ი. გოგებაშვილის "საგანძური". 169-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასელებმა მოაწვევეს განხილვა ნ. დუმბაძის მოთხრობისა "ნუ გეშინია, დედა". რ. ინანიშვილის "ჩიტების გამომზამთრებელი" და გ. ჩოხელის "შემინახე დედაო მიწავ". ზღაპრის მოყვარულთა კლუბმა (გ. ენუქიძე) ჩაატარა ხმამაღალი კითხვა, ვიქტორინა - კონკურსი "რომელი ზღაპრის გმირი ვარ" და სხვ. სახის მასობრივი ღონისძიება პატარებისათვის.



ნიმუ აზციური

**"ჩემი კაცობის გვირგვინო, ჩემო სამუოზლო მხარეო!"  
(ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წლისთავი)**

21 მაისს ქ. თბილისის ლ. ასათიანის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით "ჩემი კაცობის გვირგვინო, ჩემო სამუოზლო მხარეო!", რომელიც მიეძღვნა ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წლისთავს. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ 169-ე და 130-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ბავშვებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ჩვენი დიდი წინამორბედი, მსოფლიო მასშტაბის მოაზროვნე. გადმოგვცეს და წარმოგვიდგინეს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ეპიზოდები. ვაჟა-ფშაველა ხომ ყველაფერს ცხოვრებიდან იღებდა, სინამდვილიდან და იმას უდებდა საფუძვლად თავის ნაფიქრალს. ამიტომაც არის მისი შემოქმედება ასე ახლოს ხალხის

ცობის დამფასავნიო, შენ შენფერნიო", მაგრამ შევეცადეთ, რომ ღირსეულნი ვყოფილიყავით. ამ მცდელობაში თავი არ დაზოგეს მთავარმა ბიბლიოთეკარებმა: ორგანიზატორმა ნინო აფციურიმა და მისმა კოლეგებმა მანანა ანდრიაშვილიმა და ნატალია კობახიძემ.

ბავშვებმა გაიხსენეს, თუ როგორი იყო ვაჟა-ფშაველა ჩვეულებრივ ადამიანურ ყოფაში, როცა იყო სოფელში და სოფლისთვის ზრუნავდა. რა ადამიანური თვისებები გამოარჩევდა მას სხვათაგან. ამ მოგონებათა მიხედვით ვაჟა გულთა რაინდია, ამასთან, ფიცხი და შეურიგებელი. ლხინის თავკაცი, ქვრივობოლთა გამკითხავი და დაჩაგრულთა ქომაგი. იგი ისეთივე მარტივი ცხოვრებით ცხოვრობდა, როგორც მისი თანამედროვენი, ნათესავები თუ კარის მეზობლები: ხნავდა, თესავდა, მკიდა, თიბავდა, მოჰყავდა მოსავალი და უვლიდა საქონელს, მაგრამ შინაგანი კულტურით, განათლებისა და აზროვნების სტილით, მასშტაბურ პრობლემებზე დაფიქრებით, იგი აშკარად გამორჩეული იყო და ეს ნათლად ჩანს არა მხოლოდ შემოქმედებით სფეროში, არამედ ყოველდღიურ ყოფაშიც. იგი პირად ცხოვრებაშიც ისეთივე გაუტეხელი იყო, ვით მის მიერ წარმოსახული უკვდავი გმირები, რომლებიც ასე ოსტატურად წარმოგვიჩინეს ნიჭიერმა მოსწავლეებმა ჩვენს პატარა სცენაზე.



გულთან.

მოსწავლეებმა წარმოგვიდგინეს როგორც ლიტერატურული მონტაჟი, ასევე საინტერესო სცენა ვაჟას უკვდავი "სტუმარ-მასპინძლიდან". ამ სცენაში მონაწილეობას იღებდნენ 130-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომელთა გამოსვლამ და მსახიობურმა ოსტატობამ აღტაცება და დიდი ემოციები გამოიწვია მაყურებელში. ღონისძიების მსვლელობას ფონად გასდევდა სიმღერები ვაჟა-ფშაველას ტექსტზე ვიდეოჩვენებით. იყო ცოცხალი შესრულებაც ფანდურის თანხლებით.

გიგი ხორნაულის სიტყვებს - "რა თქმა უნდა, სრულიად არ მიგვაჩნია, რომ ჩვენ ყველაფერი ისა ვთქვით და ისე ვთქვით, როგორც ვაჟას ეკადრება. ხევსური ხმით მოტირალისა არ იყოს: "შენ შენფერნი გინდან მატირალნიო, შენის კა-

ბავშვებმა ილიას სიტყვები გაიხსენეს: "რუსთაველის შემდეგ ასეთი პოეტი ჩვენ არა გვეოლიაო" და ხაზი გაუსვეს მსგავსებას ამ ორ შემოქმედს შორის: "გარდა ზოგადსაკაცობრიო იდეებისა და პრობლემებისა, უდიდესი ჰუმანიზმისა და ოპტიმიზმისა, ვაჟას რუსთაველთან ანათესავებს პოეტური ხედვის უმაღლესი ხელოვნება". პოემა "მოხუცის ნათქვამზე" კი ილიას წამოუძახია: "-არა, ჩვენ, ძველებმა, ახლა კალამი უნდა ძირს დავსდვათ! გზა ვაჟას უნდა დავეუთმოთ".

შთამბეჭდავი იყო საქართველოს ისტორიული წარსულის, კერძოდ, ქართველ მთიელთა ისტორიის მიმოხილვა და მათი საგმირო საქმეების გახსენება. აღინიშნა, რომ სწორედ ასეთი "კაი ყმები" იყვნენ პროტოტიპები ვაჟას პერსონაჟებისა - ალუდა ქეთელაურისა, ზვი-ადაურისა, გიგლიასი და სხვების.



ბავშვებმა აგრეთვე გაიხსენეს ვაჟა-ფშაველას მძიმე, მაგრამ სიანტერესო ცხოვრების ეპიზოდები. ხოლო მისი სატრფიალო სიმღერა, რომელიც თავის სიყრმის სიყვარულს, "მოლოდინაანთ სალომეს" მიუძღვნა, დარბაზმა მუსიკის თანხლებით მოისმინა.

დასასრულს, დარბაზში აჟღერდა ვიდეო



ჩანაწერი - ცანგალას არია "დამისხი, დამალევინი" - ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერიდან "დაისი", რომელსაც ვაჟა-ფშაველას ლექსი უდევს საფუძვლად. არიას ასრულებდა მსოფლიოს პირველი ბანი პაატა ბურჭულაძე.

## ნაირა სარჯველაძე

### ბიბლიოთეკის მუშაობა ბენეფიციარებთან

უნარი ადამიანის ინდივიდუალური თავისებურებაა, რომელიც წარმოადგენს გარკვეული სახის მოქმედების წარმატებით განხორციელების სუბიექტურ პირობას. სამწუხაროდ, მსოფლიოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ამ უნარებს მოკლებულია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1993 წელს მიღებულ "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შესაძლებლობათა გათანაბრების თაობაზე სტანდარტულ წესებში" აღნიშნულია, რომ ტერმინი "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი" მოიცავს მრავალ განსხვავებულ ფუნქციურ შეზღუდვას. იგი შეიძლება იყოს გონებრივი, ფუნქციური თუ სენსორული დარღვევის გამო. ეს პროცესი მეტად მტკივნეულად აღინიშნება განსაკუთრებით ბავშვებში.

საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა რეალური რაოდენობა არ არის დაზუსტებული, თუმცა მათი რაოდენობა არც ისე ცოტაა. დიდია მცდელობა იმისა, რომ რაც შეიძლება სწრაფად და რაციონალურად მოხდეს ამ ბავშვების ინტეგრირება

ლონისძიებას ესწრებოდნენ პოეტები: მაია მიქიაია, კახა შალამბერიძე, ედუარდ უგულავა, მანანა ქურდაძე, ლაშა ბიბიჩაძე და ლიკა ჭელიძე. მათ დადებითად შეაფასეს ღონისძიება. თითოეულმა მათგანმა წაიკითხა ლექსები თავისი შემოქმედებიდან. პოეტმა მაია მიქიაიამ, რომლის ოჯახის წევრი (დედამთილი) ვაჟა-ფშაველას შთამომავალია, ბავშვებს გააცნო ისტორია, რომელიც შეეხება მათ ოჯახურ რელიქვიას, კერძოდ, ვაჟა-ფშაველას ხანჯალს, რომელიც ოჯახში აქვთ. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ქალბატონ მაიას შემოქმედებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ფშავის თემატიკას. მან ბავშვებს შესანიშნავი ლექსები წაუკითხა.

ბიბლიოთეკის გამგემ, ქალბატონმა ნაირა სონდულაშვილმა, დიდი მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს, მასწავლებლებს - მანანა მერაბიშვილს, ციციო თხინვალებს და მაკა დევდარიანს. ასევე ღონისძიების სულის ჩამდგმელებს და მოწვეულ პოეტებს. იმედი გამოთქვა, რომ ურთიერთობა სკოლასა და ბიბლიოთეკას შორის, რომელიც ნაყოფიერია ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის, კვლავაც გაგრძელდება.



საზოგადოებაში. არსებობს გონებრივად და ფიზიკურად სერიოზულად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთათვის განკუთვნილი დაწესებულებები. იმ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შორის, რომლებსაც აკისრიათ ამ ბავშვებთან ურთიერთობის მისია, გვინდა გამოვყოთ ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ღ. ასათიანის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკა, რომელიც პერსონალურად ემსახურება ბენეფიციარებს, როგორც ბიბ-





ლიოთეის მკითხველებს. ბავშვები ადგილზე სარგებლობენ ხმოვანი, სათამაშო წიგნებით, ხატავენ, მღერიან და ა.შ. მათ მშობლებს სშირად გააქვთ ბიბლიოთეკიდან წიგნები და უკითხავენ ბავშვებს.

2013 წლიდან ბიბლიოთეკა მუშაობს სამწლიან პროექტზე, რომელშიც ჩაბმული ჰყავს დიდმის სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღი (გამგე ო.ჩიკვაიძე) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრი "პირველი ნაბიჯი\_საქართველო" (მენეჯერი გ. დემეტრაშვილი). პროექტის მიზანია, ბიბლიოთეკამ ითანამშრომლოს მათთან და თავისი წვლილი შეიტანოს აღნიშნული კატეგორიის ბავშვებთან კომუნიკაციის დამყარებასა და ინფორმაციის მიწოდებაში. ეს პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა სახის ღონისძიებას. მაგ.: 2013 წლის 4 დეკემბერს ბიბლიოთეკის უმცროსი ასაკის სამსახურის თანამშრომლებმა ჩაატარეს ღონისძიება "ვანუქოთ სიხარული ბავშვებს" სმენის პრობლემების მქონე ბავშვთა ბაგა-ბაღში, რომელიც მიემდგვნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა უფლებებზე

ბის დაცვის საერთაშორისო დღეს.

2015 წლის 27 თებერვალს საბავშვო ბიბლიოთეკას სტუმრობდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრის "პირველი ნაბიჯი\_საქართველო" ბენეფიციართა ერთი ჯგუფი (პედაგოგი კ. მეტრეველი). ბიბლიოთეკის თანამშრომელთა გულისხმიერებამ და სითბომ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვებზე. ბიბლიოთეკარებმა მათ წაუკითხეს ზღაპრები, ლექსები და ა.შ. დღის ცენტრის პედაგოგებმა ბიბლიოთეკაში სშირი სტუმრობისა და თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს. ამის შედეგია ის, რომ 2015 წლის 27 მაისს ბიბლიოთეკის უმცროსი ასაკის სამსახურმა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრმა ერთობლივი ძალისხმევით გადაწყვიტეს მოეწყოთ ქალაქში გასვლითი ღონისძიება და ესტუმრნენ ზოოპარკს, რათა ბავშვები ეზიარებინათ ცოცხალ ბუნებასთან. ღონისძიება "გასეირნება ზოოპარკში" ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, 1 ივნისს მიემდგვნა. ეს დღე დაუვიწყარი აღმოჩნდა მათთვის. ბავშვებმა მოინახულეს გარეული ცხოველები, მათ ემოციებს საზღვარი არ ჰქონდა. ზოოპარკის მუზეუმის თანამშრომლებმა დიდი სითბოთი და გულისხმიერებით მიიღეს სტუმრები, დაათვალიერებინეს სხვადასხვა ცხოველთა ფიტულები. ბავშვები ხელით ეხებოდნენ მათ და სიხარულს ვერ მაღავდნენ.

ეს დღე დაუვიწყარი და შთამბეჭდავი იყო მათთვის. სიხარულიც იყო, დაღლაც, მაგრამ, ამავდროულად, სასიამოვნო დაღლა.

ბიბლიოთეკა კვლავ გააგრძელებს ბენეფიციარებთან ურთიერთობას. წინ კიდევ ბევრი საინტერესო ღონისძიება ელით მათ.


**მანონ სორაჰვა**

**ბიბლიოთეკის 106-ე წლისთავის აღნიშვნაზე**

ამა წლის 18 მაისს თბილისის მთავარ ბიბლიოთეკას დაარსების 106 წელი შეუსრულდა. ბიბლიოთეკა ყოველწლიურად აღნიშნავს ამ თარიღს. ამ დღეს ტრადიციულად ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ქნი ციალა კალმახელიძე აჯილდოებს ფულადი თანხით 6 ბიბლიოთეკარს. საზეიმო საღამო გახსნა ქნ-მა ცისანა ქოჩეჩაშვილმა. მან მოკლედ მიმოიხილა ბიბლიოთეკის ისტორიის განვითარების ეტაპები. აღნიშნა ძველი და ახალი პერსონალის განსაკუთრებული ღვაწლი ბიბლიოთეკის საქმი-







ანობაში. სადამო მიჰყავდა ცისანა ქოჩეჩაშვილსა და მანონ ხორავას.

ფოიეში გამოფენილი იყო ბიბლიოთეკისადმი მიძღვნილი მასალები, ბიბლიოთეკის ბეჭდური გამოცემები. ცალკე სტენდზე წარმოდგენილი იყო გენერალური დირექტორის, ციალა კალმახელიძის შესახებ არსებული ბეჭდვითი მასალა. სადამოზე ქალბატონმა ციალამ საპატიო სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა ბიბლიოთეკის 15 თანამშრომელს, ასევე დააჯილდოვა ყველაზე პატარა და ყველაზე ხანდაზმული მკითხველები.


ამავე სადამოს დამსწრეთა წინაშე წასრდგნენ კრებულის - „ქალი სათნობას“ შემდგენლები - მანონ ხორავა და დემიკო ლოლაძე. კრებულში თავმოყრილია მეცნიერების, მწერლების, ჟურნალისტების,



მადლიერი მკითხველების წერილები. ცალკეა გამოყოფილი კოლეგებისა და თანამშრომლების, აგრეთვე პოეტების ლექსები ქნ ციალასადმი.

ქნი ციალა თბილისის საპატიო მოქალაქე - „იმედის გმირი“, თანამშრომლების მიერ დაწესებული „სიყვარულის ორდენის“, მრავალი სიგელის და დიპლომის მფლობელია. წიგნს დართული აქვს ფოტომასალა, სიგელების ფოტოასლები, რომლებიც ასახავს ქნ ციალას დეაწლს. სადამოს ესწრებოდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები, მკითხველები და კოლეგები.

ქნ ციალას გულითადი სიტყვებით მიმართეს მამა ანტონმა და მეუფე დემეტრემ. მიესალმნენ: ჟურნალისტები: ვანო ჯაფარიძე, გულნარა სტურუა, თამარ კაპანაძე,



ჟუჟუნა ნიუარაძე-მაჭავარიანი; პოეტები: მზია ხეთაგური, შოთა ტოგონიძე, მიმოზა ცანავა; მხატვარი რუსუდან ტოზაშვილი; მეცნიერები: ინგა ფილაური, გურამ თაყნიაშვილი, ვიოლა კვირიკაშვილი, ომარ შურაძე, გრეტა ჩანტლაძე-ბაქრაძისა; კოლეგები: ლელა ასკურავა, მანანა ინასარიძე, ნათელა ჭონიშვილი და სხვ. სკოლის პერიოდი მოიგონა პოეტმა ოთარ ურუშაძემ. საკუთარი ლექსები წაიკითხეს ნანა ხომერიკმა, ცისანა ქოჩეჩაშვილმა, მანონ ხორავამ.

წიგნის შემდგენლებმა, მანონ ხორავამ და დემიკო ლოლაძემ, ისაუბრეს წიგნის შედგენის პროცესზე, რამდენი სიამოვნება და სიამაყე მიანიჭა მათ ამ უანგარო ადამიანის შესახებ წერილებმა.

სადამო დაამშვენა ქართულმა ჰანგებმა ცნობილი რეგენტის. პოეტის. მეცნიერის მარინა კოლხიდაშვილის შესრულებით.



### სტუმრად პოლონელ კოლეგებთან

მიმდინარე წლის 22–29 მარტს დასავლეთ საქართველოს ოთხი მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკართა ჯგუფი სპეციალური მივლინებით იმყოფებოდა პოლონეთში. სპეციალური პროექტის ფარგლებში ბიბლიოთეკარები გაეცნენ პოლონეთის ხუთი წარმატებული ბიბლიოთეკის საქმიანობას. საქართველოს მხრიდან პროექტის პარტნიორია ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე რიტა წაქაძე და გიორგი კილაურიძე – საქართველოს რეგიონალური კოორდინატორი. ბიბლიოთეკები პოლონეთში, ისევე, როგორც ჩვენთან, ექვემდებარებიან ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, პოლონეთის კულტურის სამინისტრო უზრუნველყოფს მუნიციპალური ბიბლიოთეკების ფინანსურ მხარდაჭერას.

საინტერესო იყო შეხვედრა ვარშავის კულტურის მართვის ბიუროში, სადაც გვაცნობეს, რომ ქალაქს ემსახურება 204 საქალაქო ბიბლიოთეკა. ბიუჯეტი ყოველწლიურად შეადგენს 50 მლნ ევროს – ქალაქის კულტურული მომსახურებისათვის, საიდანაც 10% გამოიყოფა ბიბლიოთეკებისათვის. მივლინების დროს დავათვალიერეთ პოლონეთის სახალხო (ეროვნული) ბიბლიოთეკა, რომლის საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდი შეადგენს 9 მლნ–ს. ბიბლიოთეკას აქვს საკუთარი გამომცემლობა, სისტემატურად ქვეყნდება სპეციალური ლიტერატურა. ეროვნული ბიბლიოთეკის დათვალიერების შემდეგ ბიბლიოთეკარებმა დავათვალიერეთ წიგნის ინსტიტუტი, რომელიც, მასპინძელთა ინფორმაციით, აშენდა სტალინის ინიციატივით. პოლონეთში ბიბლიოთეკებს მხატვრული სახელები აქვთ შერჩეული: „ბიბლიოთეკა–წიგნების გალერეა“, ბიბლიოთეკა–წიგნების გაჩერება“ და ა. შ.

პროექტის მონაწილეებმა ასევე მივიღეთ ინფორმაცია ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის შესახებ, რომელიც გერმანელებმა ააშენეს. ქალაქი კრაკოვი, პოლონეთის ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო, სამრეწველო და კულტურული ცენტრია. აქ მოქმედებენ პოლონეთის წამყვანი აკადემიები და უმაღლესი სასწავლებლები. ქალაქ ოსვენციმში 40 ათასამდე მცხოვრებია. აქ მოქმედ ბიბლიოთეკას „ბიბლიოთეკა–წიგნების გალერეას“ უწოდებენ. ბიბლიოთეკის მკითხველთა რაოდენობა ყოველ-

დღიურად შეადგენს 1500–ს. ბიბლიოთეკაში ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, ფონდებთან თავისუფალი დაშვების ფორმები.

ვარშავის საბავშვო ბიბლიოთეკაში ბავშვ–მკითხველთა საბიბლიოთეკო მომსახურება წარმოებს ასაკობრივი პრინციპით. მედიაცენტრი აღჭურვილია ხმოვანი წიგნებით, ანიმაციური ფილმებით. საბავშვო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 34 ათასს. ბავშვებისათვის გახსნილია ხატვის, მუსიკის, ქიმია–ბიოლოგიის, სპორტული და სხვა საგნობრივი განყოფილებები. ბიბლიოთეკის ეზოში მოწყობილია სხვადასხვა სახის გასართობი სივრცეები: სათამაშო სახლები, „ხალიჩის მოედანი“, დიდი დარბაზი ეკრანით, პროექტორით, ასაწყობი სცენით. აქვე ეწყობა ფილმებისა და სპექტაკლების ფესტივალები.

პროექტის მონაწილეები ასევე ვესტუმრეთ ქალაქ ველიჩკას – პოლონეთის ერთ–ერთ უძველეს ქალაქს. ამ ქალაქში კულტურის პოლიტიკა ახალგაზრდებსა და აქცენტირებული. „თუ ახალგაზრდა კითხულობს, ესე იგი, ერი კითხულობს“ – ასეთია აქაური ბიბლიოთეკარების აზრი. ამ ქალაქის ბიბლიოთეკაში განსაკუთრებული მზრუნველობით ბავშვები სარგებლობენ. პოლონელები ამაყობენ თავიანთი ცნობილი პიროვნებებით, მწერლებით, მუსიკოსებით, მსოფლიოში განთქმული მეცნიერებით.

ვფიქრობთ, ჩვენი ერთკვირიანი მივლინება პოლონეთში მრავალმხრივ იყო საინტერესო. ბიბლიოთეკარები ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ საბიბლიოთეკო საქმის სრულყოფისათვის ესოდენ საჭიროა მოწინავე გამოცდილების გაზიარება, მისი შეძლებისდაგვარად გადმოტანა საქართველოს ბიბლიოთეკების მუშაობაში.

პროექტში  
მონაწილე ბიბლიოთეკარს ესაუბრა  
ქეთევან ნაკაშიძე,  
სტატია შემოკლებული სახით  
გადმოღებულია  
გაზეთიდან „ლანჩხუთი“, 2015,  
24 აპრილი.



### „პიონერფილმი“ სტუმრად მთავარ ბიბლიოთეკაში

11 მარტს თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში ლიტერატურული საღონის „საგულისონის“ ორგანიზაციით მოეწყო შეხვედრა მოსწავლე - ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სტუდია „პიონერფილმთან“. ბიბლიოთეკას აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატის გრიგოლ ჩიგოვიძის თავკაცობით ესტუმრნენ როგორც ახლანდელი, ისე ადრინდელი სტუდიელები.

როგორც ცნობილია, სტუდიამ ახლახან 55 წლის იუბილე იზეიმა. იგი მრავალი სიგელითა და მადლობების გამოხატულებებით არ შემოფარგლულა - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა სტუდიას საჩუქრად ახალთახალი ძვირფასი კამერა „SONI“ გადასცა.

„პიონერფილმი“ დიდი სიყვარულით სარგებლობდა და სარგებლობს არა მარტო ჩვენს მომავალ თაობას შორის; მას მუდამ ადევნებდა თვალყურს ყველა, ვისაც სერიოზულ საქმედ მიაჩნია ბავშვთა ესთეტიკური აღზრდა და განათლება. აქ ბავშვები თვითონ წერენ სცენარებს, თვითონ არიან რეჟისორები, ოპერატორები, მსახიობები, მემონტაჟეები. აქ გადღებულ ფილმებს მოპოვებული აქვს პრიზები სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე.

„პიონერფილმის“ გაერთიანებაში ბავშვებს მხოლოდ ფილმების გადაღება როდი იტაცებს. აქ ისინი თავისუფლად გრძნობენ თავს, მეგობრულ გარემოში არიან; სისტემატურად იმართება აგრეთვე შეხვედრები, საღამოები, სხვადასხვა სახალისო და შემეცნებითი ღონისძიებები. სტუდია ყოველ წელს საქართველოს რაიონებში აწყობს გასვლებს, ხსნის „კინო - ქალაქ სინემას“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აკაკის რაჭა - ლეჩხუმში მოგზაურობის 100 წლისადმი მიძღვნილი მოგზაურობა იმავე მარშრუტით, რომლითაც დიდმა მეოსანმა იმოგზაურა, რასაც თავის დროს სპეციალური ფილმი მიეძღვნა. ახლა კი კინომოყვარულებმა თვითონ გადაიღეს თავიანთი მოგზაურობა ამ მარშრუტით.

იმ დღეს კი თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში დიდი ზეიმი იყო, რომელსაც არა მარტო სტუდიის ყოფილი და ახლანდელი წევრები, არამედ მკითხველთა ფართო აუდიტორია ესწრებოდა. დარბაზს ავსებდა ბავშვების ჟრიამული, მუსიკისა და სიმღერის ჰანგები, პატარებმა წარმოადგინეს ლიტერატურული მონტაჟი თამაზ სანებლიძის წიგნის მიხედვით.

საღამო მიჰყავდა „პიონერფილმის“ 52-ე პრეზიდენტს ქეთი ბალარჯიშვილს. სტუდიის ხელმძღვანელმა გრიგოლ ჩიგოვიძემ დამსწრეთ წარუდგინა სასახლის პედაგოგები: სვეტლანა მარჯანიშვილი, მაია ლანდია, ნინო ჩიგოვიძე, ნანა ბუდალაშვილი, ვახტანგ ჯოჯუა.

14 ფილმი წარმოადგინეს პიონერფილმელებმა, რომელთაგან ბევრს პრიზი აქვს მიღებული, მათი ფრაგმენტები გამომსვლელთა სიტყვებს შორის პერიოდულად გადიოდა ეკრანზე.

დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა საღამოე კენჭუაშვილის ფილმმა „ტრავიატა“, რომელშიც ცნობილი მსახიობი ლამზირა ჩხეიძე მონაწილეობს. ის ესწრებოდა ამ ღონისძიებას და აღტაცებული სიტყვითაც გამოვიდა. ერთმანეთს ცვლიდნენ დამსწრეები, რომლებიც თბილად იხსენებდნენ და აფასებდნენ სტუდიის მოღვაწეობას, მაღლიერებით იგონებდნენ მის ხელმძღვანელებს, გამოხატავდნენ თავიანთ შეხედულებებსა და მოსაზრებებს, თავიანთ ემოციებსა და განცდებს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ახლანდელი სტუდიელი ბავშვების მხატვრული გამოსვლები.

მთავარი ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა ციალა კალმახელიძემ საჩუქრები გადასცა სტუდიელებს.

ღონისძიების ორგანიზატორმა, საღონ „საგულისონის“ ხელმძღვანელმა, ამ საქმის დილოსტატმა ცისანა ქოჩეჩაშვილმა საბოლოოდ შეაჯამა ეს ღონისძიება და მადლობა მოახსენა დამსწრე საზოგადოებასა და მონაწილეებს.



# ქართული წიგნის კუთხე ნიუ-იორკში

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტის ფარგლებში, ქართული წიგნის კუთხეები უკვე მსოფლიოს ოცამდე ბიბლიოთეკასა და უნივერსიტეტში გაიხსნა. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს კი ქართული წიგნის პირველი კუთხის გახსნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ნიუ-იორკში, ქუინსის ფორესტ ჰილის ბიბლიოთეკაში, საზეიმოდ აღნიშნეს.


Tbilisi Garden". აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ჯგუფი ანაზღაურების გარეშე მონაწილეობდა, რისთვისაც უდიდესი მადლობა მათ. მოვლენა ნიუ-იორკიდან გააშუქეს: "საქართველოს ხმის" ქართული ოფისის წარმომადგენლებმა - ნანა საჯაიამ და თეა თუაშვილმა; უურნალისტმა ია მერკვილაძემ, რომელიც ათ წელზე მეტია, ამერიკის შეერთებული შტატების ქართულ სიახლეებს უსასყიდლოდ აცნობს ქართველ მკითხველებს.

**Queens Library**  
Enrich your life™

**NEW AMERICANS PROGRAM**  
present

**PROGRAM IN GEORGIAN AND ENGLISH**

**GEORGIAN BOOK CORNER**  
**An Afternoon of Books, Dance Music and Food**




**Georgian Independence Day**  
May 26

**THE NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA**

**Tuesday, May 26**  
**4:00-5:30 p.m.**  
**Forest Hills**  
108-19 71 Avenue  
718-268-7934  
Train: E, F, M, R to 71 / Continental Ave.  
Bus: Q23, Q60, Q64

- Please join us as we inaugurate the Georgian Book Corner at Forest Hills, made possible through the generosity of The National Parliamentary Library of Georgia in Tbilisi. The program will feature:
- Opening Remarks by Ms. Nino Gachechiladze, Vice-Consul of the Consulate General of Georgia in New York.
  - Book Presentation of *Georgia Diary* by author and academic Thomas Goltz and Georgian translator Giorgi Kolava. Copies of the book will be available for sale and signing.
  - Music by Supnili, a New York City-based choir, directed by Carl Linich, devoted to performing traditional polyphonic songs from the Republic of Georgia.
  - Dance by Pesvebi Georgian Cultural Center, a Brooklyn-based center offering classes in music, voice and language arts, and dance instruction with choreographers Shorena Barbakadze, Jurxa Lomtadze and Giorgi Togonidze.
  - Traditional Georgian Dishes provided by Old Tbilisi Garden Restaurant, available on a first-come, first-served basis.




აღნიშნული პროექტი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მარჯვორი და ოლივერ უორდროპების სახელობის ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზის ხელშეწყობით განხორციელდა; სოციალური ქსელის მეშვეობით, ამერიკიდან დაგვიკავშირდა კოლუმბიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მანანა ხერგიანი და გვეითხა, რამდენად შევძლებდით მსგავსი კუთხის ნიუ-იორკში გახსნას და ემიგრანტებისა და საქართველოთი დაინტერესებული მკითხველების ახალი ლიტერატურით დახმარებას. მოგვიანებით გაირკვა, რომ ნიუ-იორკის ქუინსის ბიბლიოთეკის ახალი ამერიკელებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით დირექტორის მოადგილე, ფრედ გიტნერი ამ იდეით დაინტერესდა და ერთწლიანი მომზადების პროცესიც დაიწყო.

გახსნის ცერემონიალს ესწრებოდა საქართველოს საკონსულოს ვიცე-კონსული ნინო გაჩეჩილაძე. გაიმართა მონტანას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, თომას გოლციის წიგნის "საქართველო" წარდგენა ორივე ენაზე, ინგლისურად და ქართულად (მთარგმნელი გიორგი ქოიავა), გამომცემლობა "არტანუჯი", 2014. პრეზენტაციის მეორე ნაწილში კონცერტი გაიმართა. ქართული ცეკვები წარმოადგინა ანსამბლმა "ფესვებმა", რომლის ხელმძღვანელი შორენა ბარბაქაძე, უკვე ოცი წელია, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწეობს და ქართულ ხელოვნებას ასწავლის; ამერიკელთა ანსამბლმა "სუფრულმა", კარლ ლინიქის ხელმძღვანელობით, ქართული სიმღერები შეასრულა. ღონისძიების მონაწილეებს ქართული კერძებით გაუმასპინდლა ნიუ-იორკში მოქმედი ქართული რესტორანი "Old

ბატონი ფრედ გიტნერის სურვილი იყო, რომ ქართული წიგნის კუთხე საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გახსნილიყო. მისივე თხოვნით, ქართული წიგნის კუთხისთვის ეროვნული ბიბლიოთეკიდან გაიგზავნა ასამდე ქართული წიგნი, ოცდაათზე მეტი ქართული ფილმის ვიდეოდისკი და 300-მდე ქართული



სიმღერის აუდიოჩანაწერები. მათ შორის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, კონსტანტინე გამსახურდიას, თამაზ ბიბილურის ნაწარმოებები, ქართული მწერლობის ტომები, თანამედროვე ქართველი ავტორები, ბავშვებისთვის ქართული სასკოლო სახელმძღვანელოები და ქართულად წერის სასწავლო რეგულაბი.



თომას გოლცი ამერიკელი ავტორია. მას ეკუთვნის წიგნები აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ყარაბახის ომის, ჩეჩნეთის ტრაგედიის, საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომის შესახებ. თომას გოლცი ომის დროს ეპიცენტრში იმყოფებოდა და შეულამაზებლად გვაცნობს 1992 წლიდან 2008 წლამდე საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. როგორც მთარგმნელი გიორგი ქოიავა აღნიშნავს, მან ეს წიგნი იმისთვის თარგმნა, რომ მამას წაკითხვა შეძლებოდა. თომას გოლცი საქართველოს ისტორიის შესახებ პრეზენტაციაც გამართა, მან სტალინის პერიოდიდან, ფილმ "მონანიების" ისტორიისა და აფხაზეთის ომის ჩათვლით უამბო დამსწრეებს საქართველოს უახლესი ისტორია. აღსანიშნავია, რომ იგი ერთ დროს ბროდვეის მსახიობიც იყო, მოგვიანებით კი "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტი, ამდენად, ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად ამადელებელი იყო მსმენელებისთვის ეს გამოსვლა. პრეზენტაციის პირველი, დრამატული ნაწილით დაფიქრებული მსმენელი ქართულმა ფოლკლორულმა კონცერტმა გაამხიარულა. პატარა მოცეკვავეებმა მათ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცეკვა გააცნეს, ხოლო ვოკალურმა ანსამბლმა სხვადასხვა ქართული სიმღერა შეასრულა. ჯგუფის წევრებმა ქართული

ენა ჯერ არ იციან, მაგრამ მშვენივრად ასრულებენ ქართულ სიმღერებს.

"დიდი ხანია, რაც ამ ბიბლიოთეკაში ვმუშაობ, მაგრამ არ მახსოვს, პატარა წიგნის კუთხის გახსნას ამხელა ზეიმი მოყოლოდეს. ჩვენ დღეს საუკეთესო ლექცია მოვისმინეთ ისტორიისა და კულტურაში და გვიხარია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ერთად ვიხეიმიეთ." - აღნიშნა ფრედ გიტნერმა.

ქუინსის 62 ბიბლიოთეკაში ლიტერატურა 59 ენაზე ინახება. ქართული წიგნები წელს პირველად მიიღეს. ამ ბიბლიოთეკას მილიონზე მეტი მომხმარებელი ყავს და დიდი დიასპორით გამოირჩევა. საინტერესოა, რომ ქართული წიგნის კუთხისთვის ბიბლიოთეკის ფილიალის არჩევამდე, თანამშრომლებმა შეისწავლეს, თუ სად ცხოვრობდა ყველაზე მეტი ქართველი და სწორედ ასე გადაწყდა აღნიშნულ უბანში მისი გახსნა. ფრედგიტნერი პროექტს "სპეციალურს" უწოდებს და აღნიშნავს, რომ ის მრავალფეროვან მკითხველებს შორის ქართველი მკითხველების მოზიდვაშიც დაეხმარება. ქართული წიგნის კუთხის კურირება ბიბლიოთეკის პროგრამების მენეჯერმა, ქეთი ჩენმა ითავა. მისი განმარტებით, ამ უბნის მკვიდრები ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ მკითხველებად ითვლებიან და პრეტენზიებიც აქვთ, რომ ბიბლიოთეკის გარემო გაუმჯობესდეს. ამიტომაც, ცდილობენ, რომ ახალი მკითხველებიც მოიზიდონ და შემოქმედებით საქმიანობაში უფრო ჩართონ. ქუინსი ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი რაიონია ნიუ-იორკში, რომლის მცხოვრებლები 160 ენასა და დიალექტზე საუბრობენ, ბიბლიოთეკის აღნიშნულ ფილიალს კი თვეში დაახლოებით 300 000 მკითხველი სტუმრობს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა, რომლებმაც ქართული არ იცოდნენ, ინგლისურ-ქართული ლექსიკონების დახმარებით მოამზადეს წიგნების კატალოგი. ელიზაბეთ არკენსენმა, რომელიც ამ პროცესს ხელმძღვანელობდა, უკვე ქართული ანბანიც ისწავლა. ერთსაც დავამატებდი, თანამშრომლობის პროცესი იმდენად სინქრონული იყო, რომ კონტინენტსა და დროის ათვლას შორის განსხვავებაც არ გვიგვრძნია.

რამდენიმე დღის წინ, "ამერიკის ხმის" ქართული ოფისიდან შეგვატყობინეს, რომ ქართველი ემიგრანტების სურვილია, ქართული წიგნების კუთხე ბრუკლინის ბიბლიოთეკაშიც გაიხსნას, სადაც ქართული დიასპორის დიდი ნაწილი ცხოვრობს. ასევე, დავგიკავშირდნენ ატლანტას შტატიდანაც.

ახლო მომავალში ქართული წიგნისა და საინფორმაციო კუთხის გახსნა ბარსელონის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიის, პორტუგალიისა და პოლონეთის ბიბლიოთეკებშიც იგეგმება.



## თამარ კაპანაძე

მელიტონ კელენჯერიძე — 150

ცისანა ქორჩიაშვილი — 80

### სიღი ძველსა და ახალ თაობას შორის

ქალბატონი ცისანა ქორჩიაშვილი - ადამიანი, რომელიც ჩემთვის ცხოვრების ბოლო სამი წლის განმავლობაში ნამდვილ აღმოჩენად იქცა. იგი დიდი ცხოვრებისეული სიბრძნით, გონიერებით, სიყვარულის უდიდესი ნიჭით და ყველაფერის ღრმა, აკადემიური განსწავლულობით გამორჩევა, ორატორული ხელოვნების ჭეშმარიტი დიდოსტატია. ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურულ საღონ "საგულისონში" (რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობს), გასული წლის 18 მარტს, 80 წლის იუბილე გაუმართეს.



“80 წელი”, ფაქტია, ეს უბრალო სათვალავია მხოლოდ და გულისა და სულის მდგომარეობასთან საერთო არაფერი აქვს. მართლაც რომ არაფერს ნიშნავს წელთა სიმრავლე!

ცოტა ხნით ადრე - 2014 წლის 26 თებერვალს შვილიშვილმა სახელგანთქმულ ბაბუას 150 წლისთავის აღსანიშნავი არაჩვეულებრივი საღამო გაუმართა ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან და მკითხველთა მომსახურების სამსახურებთან ერთად. მან საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა და უფრო ახლოს გააცნო კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, ქართული ლიტერატურის, ფოლკლორისა და საეკლესიო ისტორიის მკვლევარი, ხალხური შემოქმედების ნიმუშთა

შემკრები, არაერთი საინტერესო წიგნის ავტორი, დეკანოზი მელიტონ კელენჯერიძე.

სამწუხაროა, რომ საეკლესიო პირთა განმოსვლის პერიოდის მსხვერპლად ქცეული მელიტონ კელენჯერიძის სახელი საქართველოში წლების მანძილზე მივიწყებული იყო და ვერაფერს წარმოიდგენდა, თუ მის იუბილეს, ამდენი წლის შემდეგ, სწორედ დეკანოზის ხარისხში, პანაშვიდის გადახდითა და მგალობლების თანხლებით, ზედიზედ ორჯერ აღნიშნავდა ფართო საზოგადოება.


წლების წინათ, დიდ პარტიულ, თუ კომკავშირულ თანამდებობებზე მუშაობის შემდგომ, როდესაც ქალბატონი ცისანა ორათეულზე მეტი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს ხალხური შემოქმედების სამეცნიერო ცენტრს, საცაგებში აღმოუჩენია დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძის ნაშრომები, მის მიერ შეკრებილი ხალხური შემოქმედების ნიმუშები და კიდევ ერთხელ დარწმუნებულა, რამდენად მნიშვნელოვანი ფიგურა ყოფილა ქართული სინამდვილისთვის ის ქათქათა წვერიანი, საწოლს მიჯაჭვული ბაბუ, ერთხანს რომ აკაკი წერეთელი ეგონა თურმე და როცა საუბარი აღარ შეეძლო, სითბოთი და სიყვარულით უდიმოდა მის ირგვლივ მოთამაშე პატარა შვილიშვილებს. მოზრდილებს კი, კედელზე გაკრული ანბანის საშუალებით, უხმოდ, საჩვენებელი ჯოხის მინიშნებით, პუნქტუაციის სრული დაცვით, აწერინებდა თავის უკანასკნელ შრომებს, მოგონებებსა და ზღაპრებს.

იმ საოცარი, მოულოდნელობით აღსავსე დღეებიდან დაიწყო კვლევა-ძიებათა მრავალი წელი ქალბატონი ცისანას ცხოვრებაში. უძილო ღამეებს, არჩივებსა და საცაგებში მოძიებული მასალებით განცდილ სიხარულსა თუ იმედგაცრუებას შედეგი მოჰყვა: საგვარეულოს თანადგომითა და კეთილ ადამიანთა დახმარებით გამოიცა წიგნი “მელიტონ კელენჯერიძე – ფოლკლორის ამაგდარი”. თანდათანობით დაიბეჭდა თვითონ მელიტონ კელენჯერიძის წიგნებიც: “ქართული საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტო-



რია”, “სადმართო სჯული ყმაწვილთათვის”, “ილოცე, ბავშვო”, “უკანასკნელი დღენი გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრებისა,” რომელსაც მოგვიანებით მოჰყვა მეტად საინტერესო, დიდტანიანი ნაშრომი: “გაბრიელი – ეპისკოპოსი იმერეთისა”.

ნამდვილად დიდი პატივია, გერქვას იმ ადამიანის შვილიშვილი, ვისაც ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა, ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელმა ილია მეორემ, “სოფლის მნათობისა” და “მწყემსი კეთილის” მაგალითი უწოდა. ორმაგად სასიხარულო და საამაყოა, როდესაც ამ პატივის ასეთი ღირსებით ტარება შეგიძლია! ქალბატონმა ცისანამ კიდევ ერთხელ დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ საუკეთესო ოჯახიშვილობისა და გენეტიკური კოდის ერთობლიობა მელიტონ კელენჯერიძის შთამომავლებშიც ღირსეულად განივთდა. სადამოს განმავლობაში ისმოდა უამრავი ცნობილი ადამიანის – შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების, სიძეების გვარ-სახელები, რომლებმაც საქართველოს ისტორიაში, კულტურასა თუ ხელოვნებაში გარკვეული კვალი დატოვეს და, რომლებმაც ასე ასახელეს თავისი დიდი წინაპარი. ერთნათელ მაგალითად თუნდაც კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილიც გამოდგება, რომლის მიერ შექმნილი საქართველოს ჰიმნი “დიდება” მრავალი ათეული წლის მანძილზე გაისმოდა ეთერში.



მელიტონ კელენჯერიძის 150 წლისთავთან დაკავშირებით საგანმანათლებლო-მართლმადიდებლურმა ჟურნალმა “ქაროზმა” ოთარ ციციშვილი-ფანასკერტელის საკმაოდ ვრცელი, ამომწურავი, საინტერესო მასალა გამოაქვეყნა სათაურით: “წარსული წამეშალა, აწმყო წამერთვა”. “საპატრიარქოს უწყებანიც” საინტერესო ინფორმაციებით სავსე სტატიით გამოეხმაურა წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტში 2014 წლის 13 თებერვალს გამართულ შესანიშნავ სადამოს,

სადაც უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძის მართლაც რომ დიდებული, გულისამაჩუყებელი წარდგენა შესთავაზა საზოგადოებას სხვა გამომსვლელებთან ერთად, მაგრამ, “სისხლის ყივილმა” თავისი გაიტანა და ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკაში ჩატარებული სადამო კიდევ უფრო თბილი, მეტი და საინტერესო პასაჟებით იქნა გამდიდრებული.

სადამოს მიწურულს ეკრანზე ქალბატონი ცისანას შვილიშვილი და დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძის შვილთაშვილი, ანსამბლ “შავნაბადას” სოლისტი მიხეილ ჯავახიშვილი გამოჩნდა, რომელმაც ისეთი სიღრმით, ისეთი ნიუანსებით, ისეთი ჯადოსნური ხმით და მოწიწებით შეასრულა “ურმული”, ისეთი ღირსებით ჰქონდა მორგებული ჩოხა, ისე გამოიყურებოდა, ისეთი აკადემიური იყო, ვიფიქრეთანამედროვე, 30-წლამდე ახალგაზრდა კაცი კი არა, წინა საუკუნეებიდან გადმოსული, დიდებული ქართველი დგას-მეთქი ჩვენ წინ.

ემოციებისგან დაცლილი, დაღლილი, მაგრამ ბედნიერი, კეთილი სურვილებით სავსე, ერთგვარი ხიდივით იღვა ქალბატონი ცისანა ძველსა და ახალ თაობას შორის, და ავლელდი, ცრემლი მომერია. ასეთი ქართველებით ვართ, ასეთი ქართველებით ვცოცხლობთ, ასეთი ქართველებით ვუძღვებთ მრავალ განსაცდელს და ღვთის ნებით, იმედია, არც არასოდეს დავკარგავთ იმ ღვთიურ ნიშანს, ჩვენს სამშობლოს რომ მოენიჭა ოდითგან.

მადლიერი ვარ! აკი სულ იმას ვამბობ, ძალიან ბევრს ვსწავლობ ქალბატონი ცისანასგან-მეთქი. ყოველი ახალი შეხვედრა და გასაუბრება მასთან, ყოველი ახალი სადამო, შინაგანად და სულიერად მამდიდრებს. საოცარი ფრაზაც, “ღმერთო, მაპატიე, რომ მეწყინა” (მაგანისაგან რამე!), მისგან გავიგონე პირველად. “შეუძლოდ ვარ, მაგრამ არ მაქვს უფლება, შინ ვიჯდე.” – ეს სიტყვებიც ბევრჯერ მსმენია მისგან. ამ სადამომ კიდევ ერთი, ახალი აღმოჩენა გამაკეთებინა – აი, როგორ უნდა ზრუნავდე შენი სახელოვანი წინაპრის სახელის უკვდავსაყოფად და პატივსაცემად, როგორი შვილიშვილი თუ შვილთაშვილი უნდა იყო, როგორ უნდა გააცნო საზოგადოებას მის მიერ ქმნილი კეთილი საქმენი, როგორ უნდა გაუჩინო ინტერესი სხვასაც, მიეხლოს, შეისწავლოს, შეიმეცნოს ის სიბრძნე, რაც ამ ადამიანში დაუვანებია უფლის განგებას.

ფიქრებს ვაყვევი. ალბათ როგორ ელიან ჩემი დიდი წინაპრები, როდის გამოვიღებ ხელს, როდის დავიწყებ ძიებას, როდის მივხვდავ მათ სულებს, რომელთაგან ერთს, მამა სარდიონ კაპანაძეს სამრევლო სკოლა



ჰქონდა გახსნილი მოწამეთას ეკლესიაში, ყველაზე უმცროსს, მამა სერგის, კაცხის სკოლის დირექტორობის პატივიც ერგო, ყველაზე უფროსს კი, მამა ილარიონ კაპანაძეს, ბერად აღკვეცისას, ხელი სწორედ იმერეთის ეპისკოპოსმა, გაბრიელ ქიქოძემ დაასხა და გამორიცხული არაა, მეღიგონ კელენჯერიძის მიერ საზოგადოებისათვის დარიგებულ კითხვარზე, რომლის წყალობითაც შემდეგ საოცრად კარგი წიგნი დაიბადა, მამაჩემის პაპისა და ჩემი დიდი წინაპრის პასუხებიც იქნა გამოყენებული! იქნებ მეგობრობდნენ კიდევ და, ჩემი და ქალბატონი ცისანას შეხვედრაც,

უბრალო, ბედნიერი შემთხვევითობა კი არა, მათი სულების დამსახურებაცაა?..

ძალიან მინდა მოვეფერო ჩემს ძვირფას, სამაგალითო, საყვარელ იუბილარს, კეთილი ნერვის კეთილ ნაყოფს, ქალბატონ ცისანა ქონჩაშვილს, სხვათა სიკეთისა და ნიჭიერების აღმომჩენს, დამფასებელსა და სწორად შემფასებელს და ვუსურვო, კიდევ მრავალი ათეული წელი ჯანმრთელსა და მხნეობით აღსავსეს ეცოცხლოს და ჩვეული პროფესიონალიზმით, სიამოვნებით ეკეთებინოს თავისი საყვარელი საქმენი. ამინ!

## გაჟან სორაჰა, გიორგი სარაჯიშვილი

### ღვანდომოსილი იუბილარის უსაზღვრო ღვანდი

(აკაკი ბრეგაძე - 80)

საზოგადო მოღვაწის ბ-ნ აკაკი ბრეგაძის დაბადებიდან 80 წლის, შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისა და აღმანახ “ციციანათელას“ გამოსვლიდან 20 წლის იუბილეები ოჯახის წევრებმა, მეგობარ-ნათესავებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, სასულიერო პირებმა სიყვარულითა და მადლიერებით, იუბილარის დაბადების დღეს, 1 ივნისს რესტორან „იბერიაში“ კონფერენცია-ნადიმით აღნიშნეს რესტორნის ფართო ეზოში, ზეიმის მონაწილეებს ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი იუბილარი წარმოუდგა და მიიპატიჟა

შენობაში.

ივანე მაჩაბლისა (2004) და იაკობ გოგებაშვილის (2015) სახელობითი პრემიების ლაურეატი ჟურნალისტი, მწერალი, მთარგმნელი, ინდ.მეწარმე ბ-ნი აკაკი დაიბადა ქუთაისში 1935 წლის 1 ივნისს. 1954 წ. ოქროს მედალზე დაამთავრა ქუთაისის ვაჟთა მე-8 საშუალო სკოლა. ამავე წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სწავლა დაასრულა 1959 წ. 1960 წ. მუშაობა დაიწყო საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა „ნაკადულში“, სადაც თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურა ქართული წიგნის გამომცემის საქმეს, ამაგი დასდო ცალკეული წიგნებისა თუ სერიების გამომცემას, მათ შორის ქართული პოეზიის ჩვიდმეტრომეულს (იყო მისი უცვლელი რედაქტორი), ქართული მწერლობის ოცდაათმეტომეულს (იყო ამ გამომცემის ინიციატორი).

ბ-ნმა აკაკიმ დაიწყო აქტიური მთარგმნელობითი მოღვაწეობა 1955 წლიდან. ერთ-ერთმა პირველმა თარგმნა რუსი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ივანე ბუნინის ნაწარმოებები (1961), ასევე პირველმა თარგმნა შვედი მწერლის აგუსტ სტრინდბერგის პიესები (1984, 1990, 1991); თარგმნა და დაბეჭდა ლ. ტოლსტოის, თ. დოსტოევსკის, ლ. ანდრეევის, ანდრეი პლატონოვის მოთხრობები, ა. პუშკინის მთელი მხატვრული პროზა (1977, 1983, 2006); ა. ტოლსტოის ტრილოგია (1984-1985, 1988, 1988); იაპონელი მწერლების – კობო





აბეს (1978), ქენდაბურო ოეს (1986), ნობელის პრემიის ლაურეატის, შვედი მწერლის სელმა ლაგერლოფის (1971, 2007), ასევე ნობელის პრემიის ლაურეატის, რუსი მწერლის ბ. პასტერნაკის (2004), ყირგიზი მწერლის ჩ. აიტმატოვის (2005), ა. დიუმას, ე. ოჟეშკოს, მ. სელიმოვიჩის, ჟ. ამადუს და სხვათა რომანები.

ბ-ნმა აკაკიმ 90-იან წლებში, თავისი ოჯახის წევრებთან ერთად თავს იღო გაზეთ „ციცინათელას“ გამოცემა (გაზეთი გამოდის 1995 წ. აგვისტოდან). ასევე, 2004 წლიდან ოჯახის წევრებთან ერთად იწყებს პატრიოტულ-შემეცნებითი კრებულების (საბავშვო წიგნების) სერიას, ოცდაათტომეულს „საკითხავნი ყმაწვილთათვის“. 2007 წლიდან წამოიწყო ურთულესი საქმე – გამოცემა ახალი მრავალტომეულისა - „მწიგნობრობა ქართული“. იგი შედგება რამდენიმე მონაკვეთისაგან - „ხალხური სიტყვიერება“ (ტ. I), „სასულიერო მწერლობა“ (ტ. II-XVI), „საერო მწერლობა“.

2012 წელს გამოიცა ფერადი სასახუქრო წიგნი-კრებული „იავნანა“, ანუ ქართველი ქალი – „დედა ქართველისა“. წიგნში შესულია იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა“-სთან ხალხური და ქართველ პოეტთა „იავნანები“.

საბავშვო ალმანახ (გაზეთი) „ციცინათელას“ გამოცემლობის დაფუძნებით ფეხბედნიერი აღმოჩნდა „ციცინათელა“. „კითხულობ „ციცინათელას“, სიცოცხლე ხდება ადვილი, ეს ალმანახი კი არა, „დედაენა“ ნამდვილი“ (ჯანსუღ ჩარკვიანი).

საიუბილეო სადამოხე მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) მიესალმა და ეპარქიის უმაღლესი ჯილდო – „ოქროს ჯვარი“ გადასცა ბატონ აკაკის. იუბილარს მიესალმნენ – შავნაბადას გიმნაზიის დირექტორი, რუის-ურბნისის ეპარქიის მღვდელი გიორგი აბდუშელიშვილი, „ასი ათასი მოწამის“ ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი ლუკა სუბიტაშვილი, აკადემიკოსი ავთანდილ არაბული, პროფესორი ელდარ ნადირაძე, მხატვარი რეზო ადამია და სხვები.

მცირე ამონარიდები ბ-ნ აკაკის ინტერვიუში მონაყოლიდან: „მამა ნიკოლოზ ბრევაძე სამხედრო კომისარიატის ცნობით მეორე მსოფლიო ომში უგზო-უკვლად დაიკარგა ქერჩის ბრძოლების დროს. შევრჩით დედას, მარიამ შავგულიძეს ოთხი შვილი, სამი ვაჟი და ერთი ქალი. მან ზუსტად ნ. ლორთქიფანიძის ნოველის – „თავსაფრიანი დედაკაცის“ ცხოვრების გზა განვლო, მაგრამ ამ ნოველის მეორე ნახევრის ტრაგიზმი არ განუცდია.

მიგვაჩვია შრომას, სხვისი ნაოფლარის პატივისცემას, ადამიანებისადმი კეთილგანწყობას, სიყვარულს, თანადგომას ... ისე პურდვინოსა და ქეიფზე უარს არ ვამბობდი. ჩემს ჩამოსვლას არდადეგების შემდეგ გულმხიარულად ელოდნენ ბიჭები, რადგან ჩამომქონდა დედაჩემის კეცებზე გამომცხვარი მჭადები, ნიგვზით შეკაზმული თეთრი ფხალი, ლობიო, ღვინო, იმერული ყველი და იმართებოდა ნადიმი ზოოპარკის გვერდით, მდინარე ვერეს ნაპირზე. კარგი ყმაწვილკაცები სწავლობდნენ ჩვენს კურსზე (რასაკვირველია, ქალიშვილებიც), ბევრი ცნობილი პიროვნება – პროზაიკოსი, პოეტი, კინორეჟისორი, ჟურნალისტი, მეცნიერ-მუშაკი დადგა – მათ შორის რეზო ჭეიშვილი, ემზარ კვიციანიშვილი, თეიმურაზ მაღლაფერიძე, პავლე ჩარკვიანი, გივი შეყილაძე, ზაალ შვანია, გივი ხორნაშული, შალვა აღმომლიშვილი, რეზო სირაძე, გრივერ ფარულავა, თამაზ მამულაშვილი, ბორის დარჩია, გადასახლებიდან დაბრუნებული ოტია პაჭორია, გივი მაღულარია, ამ გუნდს შემოემატნენ ფილოსოფოსები: რეზო გორდუზიანი, ლერი ჩანტლაძე და სხვ... „ნაკადულში“ გასული საუკუნის 60-იან წლებში დიდი შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობდა. „ნაკადულში“ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე ნათელა ჯოლოსხვა და ოჯახი შევქმენი. მე და ჩემმა მეუღლემ ასე თუ ისე ქართული ოჯახი დაგაფუძნეთ. ქვეყანას ადვუზარდეთ სამი წესიერი შვილი – დავითი, გიორგი და კონსტანტინე, რომლებსაც ერისა და ქვეყნის სიყვარულს ვუნერგავდით ... აპრილის საბედისწერო დღეებში მთელი ოჯახი მიტინგებსა და თავყრილობებზე დაგდიოდით. გვახარებდა ერის საერთო განწყობა ქვეყნისათვის მსახურებისა და თავდადეგისა. გოგონები ფიცს დებდნენ, სამზე ნაკლები შვილი არ გაეჩინათ. იმ დღეებში ჩემმა მეუღლემ სამფეროვანი დროშა შეკერა, რომელსაც ჩვენი შვილები დააფრიალებდნენ. იგივე დროშა გაიტანეს მათ 1990 წ. „დინამოს“, სტადიონზე, სადაც პირველი ეროვნული ჩემპიონატი გაიხსნა“.

ბ-ნი აკაკი უახლოეს ხანებში აპირებს გამოსცეს „ციცინათელას ბიბლიოთეკის“ სერიით ქართული საზოგადოებრივი, კულტურული, ისტორიული, ლიტერატურული, ხელოვნობრივი და ა.შ. ცხოვრების ამსახველი მცირე მოცულობის წიგნები.



იუბილარს ვუსურვებთ მხნეობას, ენერგიას, ჩანაფიქრების შესრულებას, ახალგაზრდა თაობის საკეთილდღეოდ.



### ორი ნიგნი ერთი მოღვაწის შესახებ

მკითხველთა და სპეციალისტთა ფართო ფენისათვის საკმაოდ ცნობილია თბილისის საპატო მოქალაქის, მთავარი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის ქალბატონ ციალა კალმახელიძის პიროვნება. მისი მოღვაწეობა არაერთ ჯილდოთია აღნიშნული. ის უბადლო და გამორჩეული პიროვნებაა, კარგი ორგანიზატორი, თავისი საქმის პროფესიონალი, ღირსეული მოქალაქე და ქველმოქმედი. სწორედ, ამან განაპირობა მის მიმართ ფართო საზოგადოების დიდი პატივისცემა, რაც ზედმიწევნითაა გამჟღავნებული იმ წიგნებში, რომლებიც ახლახან გამოიცა და მის სახელთანაა დაკავშირებული. პირველია გამომცემლობა ემ-პი-ჯი „წიგნიერის“ მიერ გამოქვეყნებული კრებული „ქალი - სათნოება“ (თბ., 2015.-17 გვ.) წიგნის შემდგენლები არიან მანონი ხორავა და დემიკო ლოლაძე.

გამოცემას წინ უძღვის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის გამონათქვამი, რომელიც მან მთავარ ბიბლიოთეკაში ყოფნისას წერილობით დატოვა. მან აღნიშნა: „ქალბატონი ციალა საოცარი გულშემატკივარია ჩვენი ერის, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი კულტურის“. ამ გვერდს ამშვენებს კათალიკოსისა და ციალა კალმახელიძის ერთობლივი ფოტო. შემდეგი გვერდები ეძღვნება შემდგენლების წერილებს, რასაც მოყვება ცნობილი პიროვნებების შეხედულებების გამოხატვა ქ-ნ ციალაზე. ცალკეა გამოყოფილი თავი - „კოლეგები, თანამშრომლები“. ყველა წერილი, რომელთა რაოდენობა 115-ს აღემატება, გამოხატავს ქ-ნ ციალასადმი მაღლიერებას, მისი ღვაწლის დაფასებას. ეს წერილები და თვით ეს წიგნი ნიმუშია იმისა, თუ როგორ აფასებენ ადამიანები პროფესიულობას, სათნოებას, კეთილშობილებას,



საქმისადმი ერთგულებას, ხალხისათვის სამსახურს.

წიგნში თავმოყრილია მრავალი ფოტო, რომელიც ქ-ნ ციალას ადრინდელ თუ ახლანდელ ცხოვრებისეულ სურათებს ასახავს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს გამომცემლობა „ემ-პი-ჯი“-ის მაღალპოლიგრაფიული დონე, რომლითაც გამოირჩევა ეს წიგნი. საერთოდ, ეს გამომცემლობა უდავოდ დასაფასებელია თავისი საქმიანობით, მაღალი კულტურითა და მოღვაწეობით, მით უმეტეს საგულისხმოა, რომ ის ყოველთვის მხარს უჭერს და

გვერდით უდგას საბიბლიოთეკო სისტემის განვითარების საქმეს. ამის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ სწორედ მან გამოაქვეყნა ქ-ნ ციალასადმი მიძღვნილი სხვა გამოცემაც, ბროშურა „ციალა კალმახელიძე“ (2015), რომელიც შეადგინეს მზია ტოგონიძემ და ნუნუ აბუაშვილმა; რედაქტორია გურამ თაყნიაშვილი, ბიბლიოგრაფიული რედაქტორი - მანონი ხორავა, რეცენზენტი-მანანა საგანელიძე, შედგება 36 გვერდისაგან. გამოცემაში გამოქვეყნებულია გ. თაყნიაშვილის, მ. ტოგონიძის, ნ. გოგატიშვილის სტატიები, რომლებიც ეხება ციალა კალმახელიძის მოღვაწეობას. ამას მოსდევს პარაგრაფები: ციალა კალმახელიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები; ციალა კალმახელიძის პუბლიცისტური წერილები; ციალა კალმახელიძის რედაქტორობით გამომცემული შრომები; ლიტერატურა ციალა კალმახელიძის შესახებ; გამოუქვეყნებელი მასალა ციალა კალმახელიძის პირადი არქივიდან.

ყოველივე ეს დასტურია იმისა, რომ ადამიანის ღვაწლის დაფასება დამოკიდებულია პირადად ამ ადამიანის პიროვნებაზე, მის ღვაწლსა და პროფესიონალიზმზე, მის პირად ზნემაღალ თვისებებზე.



დავით გიგინეიშვილი



ლექილაკი სელონეაჯე

ახლახან გამომცემლობა "სვეტ +"-მა გამოსცა ექიმისა და პედაგოგის, პროფესორ დავით გიგინეიშვილის "წერილები ხელოვნებაზე". კრებულში თავმოყრილია ავტორის მიერ ქართულ პერიოდულ პრესაში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიები, ესეები და ჩანაწერები ხელოვნების სხვადასხვა დარგებზე. მკითხველი, რომელსაც აინტერესებს აღნიშნული დარგები, ინტერესით გაეცნობა დ. გიგინეიშვილის მოსაზრებებსა და მსჯელობას კინოსა, სახელოვნების, რეჟისორების, დრამატურგებისა და კინოს შესახებ, ასევე საინტერესოა მისი ჩანაწერები კლასიკურ მუსიკაზე. ავტორი ე-

როპისა და ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში მოგზაურობის დროს პირადად ესწრებოდა სპექტაკლებს ცნობილ საოპერო თეატრებში. კრებულში საყურადსაღებოა არა მხოლოდ ავტორის მიერ დანახული კინო და მუსიკალური ხელოვნების სამყარო, არამედ მისი თხრობა, დაკვირვების უნარი და ანალიზი. ავტორმა მუსიკის შესწავლა ყრმობის ასაკიდან დაიწყო, როდესაც მათი ოჯახი გერმანიაში ცხოვრობდა. ოჯახურმა გარემომ ხელი შეუწყო მის პიროვნებაში ქართული სულისკვეთების განმტკიცებას, რაც შემდგომში ასე ნათლად გამოსჭვივდა მის პრაქტიკულ თუ შემოქმედებით საქმიანობაში. კინოსა და მუსიკის საუკეთესო შედეგების შესახებ მის მიერ გამოქვეყნებული სტატიები დაწერილია დიდი უშუალოდით, განცდისეული მიდგომებითა და პროფესიული ხედვით. წიგნში ვხვდებით "ლა სკალას", ლოს - ანჯელესის ოპერის თუ ვენის სახელმწიფო ოპერის თეატრებიდან მიღებულ ცოცხალ შთაბეჭდილებებს, სადაც ავტორი სიამაყის გრძნობით აღვსილი გვიყვება აქ ქართველი მომღერლებისა და მუსიკოსების მონაწილეობის შესახებ.

მსჯელობს რა ევროპელი მსმენელისა და მაყურებლის ესთეტიკური შეხედულებების შესახებ, ავტორი გულისტკივილით წერს: "ასეთი ევროპული პროვინცია ჩვენში სრულიად წარმოუდგენელია, რამდენი საუკუნე უნდა გავიდეს, რომ სოფელში მცხოვრებ დღევანდელ ქართველს ასეთი ესთეტიკური გემოვნება ჩამოუყალიბდეს".

წიგნი გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. დართულ ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილია ყველა იმ სტატიისა თუ მიმოხილვების ჩამონათვალი, რომლებიც ქართულ პრესაშია გამოქვეყნებული 1985 - 2013 წლებში.

### მემკვიდრეობით დატოვაზული შემოქმედება

გიორგი სიხარულიძე იმ ადამიანებს შორის მოიხსენიება, რომლებიც ნაადრევად წავიდნენ ჩვენგან. წავიდნენ, მაგრამ მათ უკვდავსაყოფად დარჩა მათი ნაღვაწი - შემოქმედებითი მემკვიდრეობა.



მიმდინარე წელს გამომცემლობა „პეგას-მა“ გამოსცა გ. სიხარულიძის ორტომეული, რომელიც ავტორის მხატვრულ შემოქმედებას გვაცნობს. პირველი ტომი თავს უყრის პოეზიას, მეორე - პროზაულ ნაწარმოებებს. ორივე ტომის შემდგენელ - გამომცემელია ფერიდე კვაჭანტირაძე; რედაქტორი ზურაბ კალანდაძე; კონსულტანტი და წინასიტყვაობის ავტორი -

ემზარ კვიციანიშვილი. ეს უკანასკნელი საკმაოდ ვრცლად იხილავს პირველ ტომში გ. სიხარულიძის პოეტურ მემკვიდრეობას, კრიტიკოსის თვალთ აფასებს მას და საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს. „ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შემოქმედია განვაცხადო, - წერს ის, - წიგნმა სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა. აშკარად არის გამოკვეთილი ავტორის ფართო თვალსაწიერი, აზროვნების სიღრმე, ფრაზის მოქნილობა. უმრავლეს შემთხვევაში ზუსტად არის მიგნებული ინტონაცია, რითაც შენარჩუნებულია განწყობილების მთლიანობა; ლექსში არ შეიმჩნევა ზედმეტსიტყვაობა, ოს-



ტატურად არის შეკრული კომპოზიცია, რასაც ლირიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. გიორგი სიხარულიძის კიდევ ერთი უმთავრესი ღირსება ის არის, რომ ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ფლობს ვერსიფიკაციის ნაირგვარ ფორმებს (ტრადიციული, კლასიკური ლექსისა და ვერლიბრის ზომიერი მონაცვლეობა), რაც დღევანდელ ქართულ პოეზიაში ერთობ იშვიათია“. ამის შემდეგ წინასიტყვაობის ავტორი თავისი მოსაზრებების დასაბუთების მიზნით კონკრეტულ ნაწარმოებებს ეხება და მაღალპროფესიულად განიხილავს მათ.

თხრობის იგივე სიმსუბუქე იგრძნობა მთლიან ცრო მოთხრობებსა და ესეებში. გიორგი სიხარულიძე არანვეულებრივი კრძალვითა და მოწიწებით გვიხატავს ნიკოლორთქიფანიძის პორტრეტს. მკაფიოა და, თითქმის, სრულყოფილი გრიგოლ რობაქიძის პორტრეტიც ესეში - "მჭევრმეტყველი". თვალნათლივ წარმოგვიდგება აზრიანი, მრავალმხრივ განათლებული, თხრობის თავისებური მანერით გამორჩეული ორატორი - სულგანაბული აუდიტორიის წინაშე მდგარი მწვერალი, რომლის წერისა და აზროვნე-



პირველ ტომში თავმოყრილი ლექსები სამი ძირითადი რუბრიკის ქვეშაა განთავსებული: 1. „დროა სხვაგვარი“ (პატრიოტული), 2. „მეორე გული“ (ლირიკული) და 3. „მზიანი დამე“ (ფილოსოფიურ-მსოფლმხედველური). სამივეს ერთად რედაქტორმა "სარკე" დაარქვა, რომელშიც მკაფიოდ და ცხადად აირეკლება გულდია, გულწრფელი და გულითადი შემოქმედის მდიდარი სულიერი სამყარო.

რაც შეეხება მეორე ტომს: მასში შესულია დაუმთავრებელი რომანი "ლურჯი ფრინველი", რომელიც იშვიათი უანრის - პოლიტიკური პამფლეტია, ალგორითული გროტესკი და გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების გასაქილიკებლადაა გამიზნული. თუმცა სიუჟეტი დაუმთავრებელია, თვალნათელია მწერლის ინტელექტუალური დიაპაზონი, წერის ლაღი და მსუბუქი სტილი, რაც ესოდენ აუცილებელია რომანის უანრის ნაწარმოებისთვის.

ბის ახალმა სტილმა და მანერამ სრულიად დაატყვევა გასული საუკუნის დასაწყისის სიტყვაკაზმული ლიტერატურის მოყვარული საზოგადოება და ახალი აზროვნების სული შთაბერა მას.

გიორგი სიხარულიძის ლიტერატურული შემოქმედების ორტომეულის პრეზენტაცია 2015 წლის 7 ივნისს შედგა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში. დამსწრე საზოგადოებას მწერლის შემოქმედებაზე ესაუბრნენ: ზურაბ კალანდაძე, ემზარ კვიციანიშვილი, გიორგი სიამაშვილი, ალექსანდრე ლორია. ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისი მოღვაწეობა და მისი ღვაწლი ხელნაწერ ჟურნალ, "არილის" გამოცემაში აღნიშნეს ლევან თაქთაქიშვილმა და ვერიკო ნინიძემ.

მისი ლექსები წაიკითხეს: ფერიდე კვაჭანტირაძემ, ვერიკო ნინიძემ და საგარეჯოს საჯარო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლე გვანცა ქურდოვანიძემ.




დავით გიგინეიშვილი

ვეპარის მუსიკა პარლინში

მუსიკალური თვალსაზრისით, გერმანიის გამორჩეულ ქალაქში, ბერლინში მოგზაურობა მუსიკაში შეყვარებული ადამიანისთვის დღესასწაულია. ამჟამად, ერთი გადახედვით, საკმაოდ საინტერესო პროგრამა მქონდა – ვებერის „თავისუფალი მსროლელი /Der Freischütz“ ნაციონალურ ოპერაში (Staatsoper im Schiller Theater Berlin), სადაც თანამედროვე, საუკეთესო გერმანულმა ვოკალურმა შემსრულებლებმა მოიყარეს თავი. ბერლინის ნაციონალური ოპერა, რომელიც, ტრადიციულად, „უნტერ დერ ლინდენზე“ მდგომარეობს, შენობის რეკონსტრუქციის გამო გადაბარგდა შილერის თეატრში, ქალაქის დასავლეთ ნაწილში, კერძოდ, ბისმარკის ქუჩაზე, სხვათა შორის, „დოიჩე ოპერის“ სიახლოვეს.

ბერლინში იანვარი ცივი, სუსხიანი და ოდნავ თოვლიანი იყო. შილერის თეატრი–მომცრო ზომის თანამედროვე ფასადის მქონე პატარა თეატრი ერთი იარუსითა და თექვსმეტრიგანი პარტერიით, არც ინტერიერის თვალსაზრისით ტოვებდა შთაბეჭდილებას. სცენა საშუალო ზომისა იყო და ორკესტრი სავსებით იმალებოდა სცენის წინ ჩაღრმავებულ სივრცეში. აღნიშნული დადგმა საპრემიერო იყო ნაციონალური ოპერის 2014–2015 სეზონისათვის და მე 30 იანვარს გამართულ წარმოდგენას დავესწარი.

აკუსტიკა არ იყო გათვლილი მუსიკალური სპექტაკლებისათვის – ხმა ყრუდ მოდიოდა,



რის გამოც რაღაც ძველ გერმანულ რადიო-ჩანაწერს ემსგავსებოდა. დასაწყისში ამან გული გამიტეხა, მაგრამ ოპერის მსვლელობისას გერმანულმა რომანტიკულმა მუსიკამ მაინც თავისებური, საინტერესო ელფერი შესძინა სპექტაკლს. ორკესტრმა ჩინებულად დაიწყო – ვებერი თავის მუსიკით არ ტოვებს არანაირ კითხვას, თუ რა მიმართულებასა და ეპოქას მიეკუთვნება მისი ნაწარმოები. ჩემთვის, იტალიურ ბაროკოს, ბელკანტოს და ვერ-

ისტული მუსიკას მიხვეული მსმენელისთვის ძალზე მომაჯადოებლად ჟღერდა ვებერის რომანტიზმით დატვირთული ულამაზესი მუსიკა და თან სად – გერმანიის შუაგულში! უნდა ვაღიარო, რომ დირიჟორმა (სებასტიან ვაიგლე/Sebastian Weigle) და ბერლინის ნაციონალური კაპელის ორკესტრმა (Staatskapelle Berlin) დიდი შთაბეჭდილება დატოვეს ჩემზე.

დადგმა (მიხაელ ტალჰაიმერი/Michael Thalheimer) – ორიგინალური და არატრადიციული იყო. ლეგენდამ ზღაპრული და „ფანტაზიის“ ელემენტები შეიძინა, ოპერის მიმდინარეობისას მაგიური შავი ჯადოქრის – მონადირე სამუელის სახე მუდამ ფიგურირებს. იგი ლანდით დაჰყვება გმირებს, უთვალთვალებს და აკონტროლებს მათ ნაბიჯებს. სამყაროც, დამდგმელი რეჟისორის ჩანაფიქრით, რაღაც სივრცეებად არის დაყოფილი – აქეთ სცენისაკენ, სადაც მოქმედება ტარდება – ჩაბნელებულია და გამხმარი ტოტებით არის მოფენილი. იქეთ კი – უკანა პლანზე – კაშკაშა შუქი და ნათელი ხვრელია, საიდანაც ჩნდებიან და ისევ უკან ბრუნდებიან პერსონაჟები. მაგრამ მათი ძირითადი ქმედებები ხორციელდება დაბნელებულ და სამუელის გავლენის ქვეშ მყოფ სამყაროში. ამიტომაცაა, რომ მაქსი, მთავარი პერსონაჟი და წარსულში კარგი მსროლელი და მონადირე, თავისი სიყვარულისა და ბედის გამო იხლართება მისი ნაცნობი მონადირის, კასპარის არაკეთილმოსურნე რჩევებში და თავის ბედს სამუელს ჩაუგდებს ხელში. არადა, მიზანი ლამაზი და სუფთაა – მაქსს სურს თავისი შეყვარებულის, ახალგაზრდა ქალწულის აგატას ხელი დაიმსახუროს ახლად გამოცხადებულ მსროლელთა შეჯიბრში. აგატა თანაგრძნობით პასუხობს მაქსს და თავის გულის სიდრმეში ემზადება ამ ქორწილისთვის, თუმცა რაღაც ცუდი სიზმრები და თავსმოხვეული აზრები მას საშიშროებას უწინასწარმეტყველებს, რასაც იგი ჯერ თავის ერთგულ მეგობარ ქალიშვილს – ანხენს უმხელს. მერე კი, შეჯიბრებაში, უკვე მაქსსაც გაუზიარებს. დემონურ ძალებს კი არ სძინავთ – კასპარი სამუელის ჯადოქრობის დახმარებით სპეციალურ ტყვიებს ადნობს და გადასცემს მაქსს. უკანასკნელი ტყვია აგატასთვის არის განკუთვნილი, თუმცა მაქსმა არაფერი იცის ამაზე. ტურნირის დღეს სოფელი სადღესასწაულოდ არის მორთული – აგატა პატარძლის ტანისამოსშია და მის ირგვლივ ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი სოფლის ქალიშვილები მზად არიან მას



საქორწილო ფატა მიაღწევს. მაგრამ აგატას უცნაური და ტრაგიკული ხილვები აწუხებს. იმართება შეჯიბრი – გუგუნებს სახელგანთქმულ მონადირეთა გუნდი (Was gleicht wohl auf Erden), მღერია სტუმრები: გრაფი ოტაკარი თავის მეგობრებთან და სოფლის მცხოვრებლებთან




სასიამოვნო სანახაობის მოლოდინშია. მაქსი დაწინაურდება შეჯიბრში, მაგრამ როდესაც გრაფი მას სთხოვს ესროლოს თეთრ მტრედს, ტყვია ხვდება კასპარს და აგატაც ვარდება. დათრგუნული და შეცბუნებული მაქსი უმხელს სტუმრებს თავის საიდუმლოებას. გრაფი ოტაკარი განრისხდება, მაგრამ ახლად გამოჩენილი განდევნილი მოუხმობს პარტიებისაკენ და საბოლოოდ ყველა მიიღებს ამ გადაწყვეტილებას.

ვებერის მუსიკა! – არ შეიძლება მან არ მოგხიბლოს. ოპერის უვერტიურა წარმოადგენს რომანტიზმისა და სიმფონიზმის საუკეთესო ნიმუშს და წინასწარ განგაწყოებს საოცარი მუსიკალური თხზულების მოსასმენად, სადაც ხალხურ მელოდიებს ანაცვლებს არაჩვეულებრივი რომანტიკული საოპერო არიები და დუეტები და, სადაც ტყეებისა და მთების ჯადოსნური ბუნება აირეკლება მოქნილ მუსიკალურ მელოდიაში, რომელიც ზოგჯერ, მოულოდნელად იძენს დემონურ და ბნელ ელფერს (კერძოდ, ჯადოს სცენაში). ამიტომაცაა ოპერის ულამაზეს ფურცლებს მიეკუთვნება ანხენისა (No.7: Kommt ein schlanker) და აგატას (No.8: Leise, leise, Fromme Weise) რომანსები და არიები, სადაც კომპოზიტორმა მანდილოსნის ბუნებისა და რთული განცდების გადმოსაცემად მიმართა ობლიგატურ სიმებიან ინსტრუმენტებს (No.12: Und ob die Wolke sie verhülle; No.13: Trübe Augen, Liebchen, taugen). ხალხური მელოდიების ანარეკლს ატარებს უმშვენიერესი სცენა (No.14: Wir winden dir), სადაც მელოდიას იმეორებს სოფლის სამი მანდილოსანი გუნდის თანხლებით. ეს სცენა განსაკუთრებით ლამაზი და ბუნებრივი გამოვიდა ოპერაში, სხვათა შორის, ზემოხსენებული მონადირეთა გუნდთან ერთად. რაც ესება ვოკალურ შესრულებას – ქალებისაგან ანა პროჰასკას (Anna Prohaska) გამოვეყოფდი, რომელმაც თავისი ხასიათობრივი, მოქნილი და ლამაზი ხმით მოახერხა სწორად გადმოყვა

თავისი გმირის სახე. უფრო რთული ამოცანა ჰქონდა სახელგანთქმულ დოროთეა რიოშმანს (Dorothea Röschmann) აგატას როლში. ან მომღერალი ფორმაში არ იყო, ან გადამეტებით მისდევდა ღირიჟორის მითითებებს, შედეგი ცხადი იყო – მისი ხმა ზედმეტად ვიბრირებდა, აკლდა სინარნარე და, მაშასადამე, ღირიზმი და რომანტიზმი. სხვა მხრივ, მისი ხმა – დრამატული სოპრანო კარგად ავსებდა დარბაზს. ბევრს ველოდი მაქსის შემსრულებლისაგან – გერმანელი ტენორი ბურკჰარდ ფრიცისაგან (Burkhard Fritz). მას დადებითი კრიტიკა ჰქონდა ვერდის ოპერების ტენორის ძნელ პარტიებში. მაგრამ მისი პატარა, ტიპური არაიტალიური შეფერილობის ხმა იმით იყო კიდევ დამძიმებული, რომ იმ სადამოს ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ სუნთქვა ესუთებოდა (უპატიებელი შეცდომა მომღერლისათვის). აი კასპარის როლის შემსრულებელი – ფალკ შტრუკმანი (Falk Struckmann) კი ნამდვილად მომეწონა. მისი მაღალი რეგისტრის ბანი ბრწყინვალედ გაუმკლავდა კასპარის რთულ როლს – მისი მღვლები იყო უბადლო, განსაკუთრებით არიაში (No.5: Schweig, schweig damit dich niemand). მეორეხარისხოვანი როლების შემსრულებლები ზოგად ფონს არ ცვლიდნენ.

ვებერის ოპერის მოსმენა სცენიდან წარმოადგენს განუწყვეტელ სიამოვნებას – დადგამს ეს მუსიკის ჯადოსნური ვაგლენა არანაირად არ დაჩრდილა. იგი საინტერესო და ნოვატორული იყო. მაგრამ რადგან მთელი სპექტაკლის განმავლობაში ფიგურირებს



ბნელი ძალა – შელოცვის სცენამ ავბედითობა დაკარგა და იგი უკვე დრამის საკვანძო ნაწილი არ იყო.

ჩემდა გასაკვირად, ოპერა წარმოადგინეს ერთიანი შესრულებით, ყველანაირი შესვენების გარეშე. მსმენელი ამან არ დადალა – მოხერხებულმა ბერლინელებმა კი მცირე ვახშამი და სასმელები სპექტაკლის წინ ფოიეში მიირთვეს.

დადგმა – 4.0; ვოკალი – 4.0; ორკესტრი – 4.5



### საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები.

1 აპრილს „დინამო არენას“ საპრესკონფერენციო დარბაზში გაიმართა გიორგი კეკელიძის ახალი წიგნის „ცხრათავიანი ფეხბურთის ზღაპრი–ს“ წარდგენა. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „არტანუჯმა“;

7 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ქართული წიგნის ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის თანახმად, შეიქმნება უცხოენოვან თარგმანებში ქართული ლიტერატურის მონაცემთა ბაზა. ინტერნეტ სივრცეში შესაძლებელი გახდება ქართული ლიტერატურის თარგმანების მოძიება. ბაზას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის საქმეში. ბაზაზე მუშაობა უმოკლეს დროში დასრულდება და მუდმივად განახლდება.

7 აპრილს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წლისადმი მიძღვნილი მუსიკალური ლიტერატურული საღამო;

15 აპრილს ახალციხის რაიონის სოფელ პატარა პამაჯის სომხურ სკოლას საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ საჩუქრად გადასცა 500 ეგზ. წიგნი. სკოლაში ქართული ბიბლიოთეკის გახსნას მადლიერებით შეხვდა ადგილობრივი მოსახლეობა, თვითმმართველი ორგანოების პასუხისმგებელი პირები;

15 აპრილს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა საფრანგეთში მოღვაწე მხატვრის ლევან მოსიაშვილის პერსონალური გამოფენა „ფრანგული სიზმარი“;

21 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამართა წიგნის - „საბჭოთა საქართველოს გასაიდუმლოებული ისტორიის“ წარდგენა;

28 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში „საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდმა“ გამართა გაზეთ „საქართველოს დემოგრაფიის“ პირველი ნომრის წარდგენა;

8 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა „ისტორიის ერთი ფურცელი-ვასილ მჟავანაძე“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ვასილ მჟავანაძის ფოტოკოლექცია, პირადი ნივთები და უნიკალური დოკუმენტები პირადი არქივიდან. მათ შორის იყო მიმოწერა ვ. უკუკოვთან, ლ. ბრეჟნევთან, გ. კოსიგინთან და ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან. ვ. მჟავანაძის ფოტოარქივის სრული ვერსია ბიბლიოთეკას გადასცა მისმა ქალიშვილმა ნ. მჟავანაძემ;

11 მაისს თბილისის მთავარ საქალაქო ბიბლიოთეკაში ოფიციალურად დაიხურა საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული-2015. მუნიციპალიტეტების მთავარი ბიბლიოთეკების ერთმა ნაწილმა წარმოად-

გინა ჩატარებული მასობრივი ღონისძიებების შინაარსი და თვალსაჩინოებანი;

15 მაისს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის რესტავრაცია-კონსერვაციის განახლებული და ახლად აღჭურვილი ლაბორატორიის წარდგენა. განყოფილება აღჭურვილია გრანიტის ხედაპირიანი სპეციალური სარესტავრაციო 10 მაგიდით, რომლებიც კომპანია „კამარამ“ დაამზადა;

18 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მე-3 კორპუსის ეზოში გაიმართა „მობილური აუდიობიბლიოთეკის“ წარდგენა. ასეთი ტიპის ბიბლიოთეკა სმარტფონის, პლანშეტური კომპიუტერის თუ სხვა მობილური მოწყობილობის მქონე მომხმარებელს საშუალებას აძლევს, მოუსმინოს აუდიოწიგნებს და მუსიკას, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ აუდიომასალებს;

20 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არაფორმალური განათლების ახალგაზრდულმა ცენტრმა „მზიანი სახლი“ წარადგინა პროექტი „ცოცხალი ბიბლიოთეკა“. წარმოდგენილი იყო ბიბლიოთეკის იმიტირება. წიგნებს წარმოადგენდნენ ცოცხალი ადამიანები;

21 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა „ინტელექტუალური ბიბლიოთეკის“ პროექტის წარდგენა. პროექტის ავტორები არიან შ. დიღმელაშვილი, ს. ასათიანი, ზ. ჯიშკარიანი და პ. სამუგია;

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ნიუ-იორკში, ქუინსის ფორესთ ჰილის ბიბლიოთეკაში გაიმართა „ქართული წიგნის კუთხის“ გახსნის ცერემონიალი. ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა ნიუ-იორკში საქართველოს საკონსულოს ვიცე-კონსულმა ქნმა ნინო გაჩეჩილაძემ. აქვე გაიმართა მონტანას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის თომას გოლცის წიგნის „საქართველო“ წარდგენა. ქართული წიგნის კუთხისათვის ეროვნული ბიბლიოთეკიდან გაიგზავნა ასამდე ქართული წიგნი, ოცდაათზე მეტი ქართული ფილმის ვიდეოდისკი და 300-მდე ქართული სიმღერის აუდიოჩანაწერი. ეროვნულმა ბიბლიოთეკამ პროექტის „ქართული წიგნების კუთხეები საზღვარგარეთ“ მიმდინარეობისას ასეთი კუთხეები გახსნა მსოფლიოს 20 ქვეყანაში;

29 მაისს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ერთდღიანი სემინარი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკარებისათვის;

1 ივნისს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა ბავშვთა დაცვისა და წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. მოწვეულ პატარებს მიესალმნენ ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ვ. კეკელიძე და დეკანოზი თეოდორე გაგნიძე. გაიმართა წიგნის „პოეზია გამოცემებიდან“ დედოფლის წარდგენა.



## ღვანულადი ადამიანის გამოთხოვა

### (ბრიგოლ კიპაროიძე)

აღესრულა საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი გრიგოლ კიპაროიძე. იგი დაიბადა 1921 წელს საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ, 1945 წელს სწავლა გააგრძელა თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტში კადრების განყოფილების ინსპექტორის თანამდებობაზე.



1952–1953 წწ. მუშაობდა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის სამეცნიერო-მეთოდურ კაბინეტში, 1953–1961 წწ. - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდურ განყოფილებაში უფროს მეთოდისტად, 1962–1972 წწ. ამავე განყოფილებაში განაგებდა. 1972–1992 წწ. გრიგოლ კიპაროიძე მუშაობდა მის მიერვე ჩამოყალიბებულ კულტურის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დირექტორად.

რად. ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი პროფესიული ცოდნის სრულყოფას შეაღლია მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება, ორგანიზატორული ნიჭი და ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი უნარი.

1992–2013 წლებში მუშაობდა დ. ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. თავისი ხანგრძლივი პარტიული და სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის მანძილზე გ. კიპაროიძე გამოირჩეოდა საქმის ცოდნით, პასუხისმგებლობითა და საშემსრულებლო დისციპლინით. საბიბლიოთეკო დარგში მისი მოღვაწეობა მიმდინარეობდა ისეთ პერიოდში, როდესაც ბიბლიოთეკები მუშაობდნენ კომუნისტური იდეოლოგიის გატარების პირობებში. თუმცა ეს გარემოება არ წარმოადგენდა გ. კიპაროიძისათვის ხელისშემშლელ პირობას, რომ მას ბიბლიოთეკებში დაენერგა და გაეტარებინა ღრმად პატრიოტული შინაარსის ღონისძიებები. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გ. კიპაროიძემ შეაღლია ქართული წიგნისა და ბიბლიოთეკის პოპულარიზაციის, ბიბლიოთეკართა პროფესიული დახელოვნების საპატიო საქმეს. იგი გახლდათ ყურადღებიანი, მისაბაძი მეგობარი და მოქალაქე, რომელმაც ღირსეულად მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი და პირნათლად წარსდგა ღვთიური სამსჯავროს წინაშე.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

უურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“

### მარიამ ჯაფარიძე

თბილისის საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანებას უდროოდ გამოაკლდა საბიბლიოთეკო საქმის ჩინებული სპეციალისტი მარიამ ჯაფარიძე. იგი დაიბადა ქალაქ ოზურგეთში 1955 წელს. უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტი 1974 წლიდან მუშაობდა იწყებს თბილისის აღ. ჯაფარიძის სახ. ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში უმცროსი ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე. 1988 წლიდან მუშაობს ბიბლიოგრაფიის თანამდებობაზე ამავე ბიბლიოთეკაში.




1988–1992 წწ. პროფესიულ საქმიანობას ეწეოდა თბილისმცოდნეობის განყოფილებაში, სადაც მისთვის ჩვეული დაკვირვებით ოპერატიულად აგროვებდა მასალებს თბილისის შესახებ. შექმნა

მდიდარი საცნობარო აპარატი დედაქალაქის შესახებ. 2005–2008 წწ. მარიამ ჯაფარიძე მუშაობდა ამავე ბიბლიოთეკის კატალოგების განყოფილებაში ჯერ წამყვანი, ხოლო შემდეგ მთავარი ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე. კატალოგებთან მუშაობის პრაქტიკულმა გამოცდილებამ საშუალება მისცა, შეექმნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საცნობარო აპარატი, რომლითაც წარმატებით სარგებლობენ ბიბლიოთეკის ყველა კატეგორიის მკითხველები. 2013 წლიდან მ. ჯაფარიძე ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკაში ასრულებდა კოორდინატორის მოვალეობას.

თავის საქმიანობაში იგი გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, თავმდაბლობით; კოლეგებთან ურთიერთობაში იყო ადამიანური თვისებებით შემკობილი და გაწონასწორებული პიროვნება. ასეთი ემასხოვრებათ იგი მის თანამშრომლებს, მკითხველსა და საზოგადოებას.

ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის დირექცია,  
გაერთიანების თანამშრომლები.





ნ. 19/78



# PRINT OFFICE


We Build Your Brand

## ციფრული სტამბა

სრული კოლიგრაფიული მომსახურება


წიგნების ბეჭდვა

# 1



## ეზბეშკოსრიცხ

- სავიზიტო ბარათები
- ფლაერები
- ბროშურები
- წიგნები
- ჟურნალები
- მრავალი სხვა



ალ.ყაზბეგის გამზ. 43  
 თბილისი  
 +995 (32) 2 39 23 03  
 +995 557 14 32 32

დ. აღმაშენებლის გამზ. 147  
 თბილისი  
 +995 (32) 2 24 04 20  
 +995 593 24 00 04



